პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მაია თოიძე
წევრები:
ზაირა ბერიძე
გიული გურგენიძე
იაზონ დანელია
გივი დოლიძე
ზაზა პაპიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ერქვანი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 222934671

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ **დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანში" ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 26 აპრილის №447169 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: მაია თოიძე (ჯგუფის თავმჯდომარე) და წევრები: ზაირა ბერიძე (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), იაზონ დანელია (დარგის ექსპერტი), გივი დოლიძე (დარგის ექსპერტი), გიული გურგენიძე (დარგის ექსპერტი) და ზაზა პაპიძე (დარგის ექსპერტი) განახორციელა სსიპ კოლეჯ ერქვანის საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულება განმეორებით გადის ავტორიზაციის პროცესს და ცენტრში თვითშეფასებით წარმოადგინა 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტი განხორციელდა ქალაქ ამბროლაურში, 2025 წლის 03 -05 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ვიზიტზე იმყოფებოდნენ 2025 წლის 03-05 ივნისს. დარგის ექსპერტები: ზაზა პაპიძე და გივი დოლიძე ვიზიტზე იმყოფებოდნენ 2025 წლის 04 ივნისს, ხოლო დარგის ექსპერტები: გიული გურგენიძე და იაზონ დანელია - 2025 წლის 05 ივნისს. დარგის ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებაში.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი თვითშეფასება თანდართული მტკიცებულებებით და ვიზიტის პერიოდის (3 დღე) გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია და გამოითხოვა დაწესებულების მიერ თვითშეფასებაში ასახულ მექანიზმთა დანერგვის მტკიცებულებები, ძირითადად ინსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებით, რაც დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნა . მეორე სტანდარტთან მიმართებით მტკიცებულებები კი, პროგრამების შესაბამისად, შესწავლილი იქნა ადგილზე.

მტკიცებულებათა წინმსწრებად გამოთხოვამ და შესწავლამ ხელი შეუწყო ადმინისტრაციული პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ ვიზიტის პროცესში ძირითადი დრო დაეთმო ინტერვიუებს ადმინისტრაციასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ადგილზე რესურსების შეფასებას.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტისას შეიცვალა დღის წესრიგი. კერძოდ, ვიზიტის პირველივე დღეს დადგინდა რომ დაწესებულების ყველა პროგრამა ხორციელდება იმიტირებული ფორმით და ელექტროობისა და მშენებლობის მიმართულების პროგრამებში მითითებულ 2 პარტნიორთან კოლეჯს მხოლოდ ინფო ტურზე მიჰყავს პროფესიული სტუდენტები. შესაბამისად აღნიშნულ კომპანიებში ვიზიტი არ განხორციელებულა.

ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა ორ მისამართზე: ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N10; ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქუჩა N10, როგორც ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის შეფასების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. ჩატარდა არაერთი ინტერვიუ. ელექტროობის პროგრამის ფარგლებში განათლებისა და დარგის ექსპერტი დაესწრნენ მეცადინეობას და შეაფასეს პროცესი.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფი გასცემდა უკუკავშირს ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა. გაცემულია შესაბამისობისა და განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტთა საბოლოო შეფასებები წარმოდგენილია ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობისა (III ნაწილი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ელექტროობა, იატაკის და ფილის სამუშაოები, თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა და ბუღალტრული აღრიცხვა მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის (X ნაწილი) ცხრილების სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
ელექტროობა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		ქ. ამბროლაური; ვაჟა-ფშაველას ქუჩა N10
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		ქ. ამბროლაური; ვაჟა-ფშაველას ქუჩა N10
ბუღალტრული აღრიცხვა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		ქ. ამბროლაური; ვაჟა-ფშაველას ქუჩა N10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

იატაკის და ფილის სამუშაოები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		ქ. ამბროლაური; გურგენიძის ქ N10
თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		ქ. ამბროლაური; გურგენიძის ქ N10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ელექტროობა	12	9	0	0
ბუღალტრული აღრიცხვა	15	7	1	4
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	14	6	0	4
იატაკის და ფილის სამუშაოები	15	0	0	1
თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	15	0	0	0

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებას დანერგილი აქვს პროფესიულ სტუდენტებისთვის, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ლეპტოპების გადაცემის პრაქტიკა. მსგავსი პრაქტიკა სხვა დაწესებულებებსაც ჰქონდათ, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში განსხვავებული პრაქტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკაში სპეციალურად აღნიშნული მიზნებისთვის გათვალისწინებულია 10 ლეპტოპი და საშინაო დავალების შესასრულებლად, შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტს გააქვს ლეპტოპი ბიბლიოთეკიდან მსგავსად სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსისა და აბრუნებს მას დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით თავიანთი კმაყოფილება დააფიქსირეს კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი ურა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი ურა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1) პსდ-ს მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ელექტროობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ბუღალტრული აღრიცხვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
იატაკის და ფილის სამუშაოები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4. 2.1 (1) - პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას.

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დაამტკიცა და წარმოადგინა ,, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება, რომლის თანახმად, მაქსიმუმ 6 თვის პერიოდში კოლეჯი, პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, შეიმუშავებს პერსონალის შეფასების მეთოდოლოგიას და 2025 წლის 29 ნოემბრამდე დაასრულებს პერსონალის შეფასების პროცესს.

კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, მაქსიმუმ 6 თვის ვადაში უზრუნველყოს პერსონალის შეფასება.

5.1.2 (3) - **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

თვითშეფასების განაცხადით კოლეჯმა წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, რომელიც არ არის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა შესაბამისობის გეგმა (სსიპ კოლეჯი „ერქვანი“- მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება). რომლის თანახმად კოლეჯი მაქსიმუმ 6 თვის პერიოდში უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცებას.

კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, მაქსიმუმ 6 ვადაში უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები ინსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებით

1.1.1 (2) - მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან

2025 წელს კოლეჯმა უნდა დაამტკიცოს ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ამ მიმართულებით უკვე მუშაობს ჯგუფი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს კოლეჯის მისიას და უფრო მეტად მიუახლოოს ის კოლეჯ ერქვანის უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას რაჭა- ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში, რეგიონში - სადაც მოსახლეობის მიგრაცია ყველაზე მაღალია.

(დეტალური ინფორმაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში.)

ბმაშია (1.1.1. (3)

1.1.1.(3). დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ღირებულებების ნაწილში გააძლიეროს ორი მიმართულება:

- სოციალური პასუხისმგებლობა რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის მიმართ;
- ინკლუზიური და თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1..2.1 (1) - პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

კოლეჯის ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

და ანგარიშგების წესი“ არ ითვალისწინებს მინიმალურ ვადას რა პერიოდშიც უნდა დაიწყოს დაწესებულებამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება არსებულის გეგმების ვადის გასვლამდე.

კოლეჯს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმვასთან დაკავშირებით - რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში ცალსახად განისაზღვროს, რომ სტრატეგიული გეგმის მომდევნო ციკლზე მუშაობა დაიწყოს არანაკლებ **6 თვით ადრე** მოქმედი სტრატეგიის ვადის დასრულებამდე. ანალოგიური რეკომენდაცია ვრცელდება სამოქმედო გეგმების შემუშავებაზეც – საჭიროა მეთოდოლოგიაში აისახოს მითითება იმ ვადაზე, რა დროით ადრე უნდა დაიწყოს მომდევნო წლის გეგმის შემუშავება.

1..2.1 (1)-1.2.1 (3)

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმაში თითოეულ მიზანს მითითებული უნდა ჰქონდეს თავისი ამოცანა, განსაზღვრული უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი აქტივობები, რესურსები, შესრულების ვადა, ინდიკატორები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.

რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს ადამიანური რესურსების სეგმენტში პასუხისმგებელ პირთან ერთად შემსრულებელი პირების განსაზღვრას. ეს ხელს შეუწყობს პროცესების გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობის მკაფიო გადანაწილებას და სამუშაოს შესრულების ეფექტურ მართვას.

1..2.1 (3) - დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

სამოქმედო გემაში ცალკეული ინდიკატორი იმგვარად არის ფორმულირებული რომ სრულად ვერ ასახავს მიღწევას.

რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში არსებული ინდიკატორები წარმოადგენდეს ზუსტი შეფასების შესაძლებლობას — იყოს რაოდენობრივი ან ხარისხობრივი, მიზნებზე და შედეგებზე ორიენტირებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ინდიკატორები უნდა იძლეოდეს მიღწევის შეფასების შესაძლებლობას, მაგალითად: მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა, შესრულებული აქტივობების მაჩვენებლები ან სპეციფიკური შედეგების აღწერა.

4.1.1 (2) პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

კოლეჯის სტრუქტურაში დომინირებს **ვერტიკალური დაქვემდებარება** – თითქმის ყველა თანამშრომელი ექვემდებარება დირექტორს.

კოლეჯის ორგანიზაციული მართვის გაძლიერების და განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლისთვის რეკომენდებულია დელეგირების სისტემის გაძლიერება, კერძოდ, რეკომენდებულია გაძლიერდეს მენეჯმენტის შუა რგოლი (დირექტორის მოადგილე; სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი).

(დეტალური ინფორმაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში.)

5.2.3 (1) - პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

ვიზიტის პერიოდში ვებ. გვერდზე განთავსებული იყო ძალიან დიდი მოცულობის ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც რეალურად მხოლოდ ავტორიზაციის პროცესისთვის იყოს განკუთვნილი და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის (პროფესიული სტუდენტებისთვის, მშობლებისთვის, დამსაქმებლებისთვის) ძნელად გასაგებია ან საერთოდ არ არის რელევანტური.

რეკომენდებულია კოლეჯმა მიზანმიმართულად გახედოს ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაციის შინაარსსა და ვებ. გვერდზე განთავსდეს დაინტერესებული მხარეებისთვის რელევანტური ინფორმაცია – გამარტივებული და მომხმარებელზე ორიენტირებული ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორიცაა: პროფესიული პროგრამები, მიღების წესები, პრაქტიკის შესაძლებლობები, კარიერული მხარდაჭერა, პარტნიორობა დამსაქმებლებთან და სხვა. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ვებსაიტის როგორც კომუნიკაციის, ისე მარკეტინგული ინსტრუმენტის ფუნქციის გაძლიერებას და მისი ამოყენებადობის გაზრდას ფართო აუდიტორიისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ბ. მეორე სტანდართან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები (გაცეულია ყველა პროგრამასთან მიმართებით

2.2.1.2 - **განმავითარებელი რეკომენდაცია:** პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც.

ზოგადი რეკომენდაცია

ცალკეულ დოკუმენტებში ფიქსირდება ტექნიკური ხასიათის შეცდომები და დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს შეცდომები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში).

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს (ცენტრში რეგისტრაციის №MES 8 25 0000797058; .02.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების წესი. ბოლო რედაქციით მეთოდოლოგია განახლდა 2025 წლის იანვარში. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ძველი რეგულაციაც და მის შესაბამისად შეაფასა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობები.

დაწესებულების მისია შემუშავებულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად. ბოლო ცვლილება მისიაში განხორციელებულია 2020 წელს,.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯ ერქვანის მისიაა - ,,შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად ბენეფიციარებს, კოლეჯის მრავალპროფილურობის და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ასაკის შეუზღუდავად მისცეს შესაძლებლობა, დაეუფლონ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით: პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე წარმატებული დასაქმებისათვის და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზდა მისია და დადასტურებულია მისი შესაბამისობა პროფესიული განათლების პირველ, მეორე და მესამე მიზნებთან: ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან

დაწესებულების არსებული მისია 2018 წელს შემუშავდა და საანგარიშო პერიოდში მასში ცვლილება განხორციელდა 2020 წელს. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და წარმოდგენილი მტკიცებულებით ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.1.1. (2) ინდიკატორთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების მისიაში შეიტანეს ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულება არის მრავალპროფილური.

კოლეჯი ერქვანი ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებაა რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. ის ძირითადად ემსახურება ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებს, ასევე, კოლეჯში სწავლობენ მსმენელები ცაგერის მუნიციპალიტეტიდანაც. რაჭა-ლეჩხუმში არსებული მიგრაციის ფონზე პროფესიული განათლების კერის არსებობა უმნიშვნელოვანესია. კოლეჯში ვიზიტის პირველივე დღეს რაც ექსპერტებმა სამუშაო დაფაზე ნახეს ოთხივე მუნიციპალიტეტის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაა, კლასების მიხედვით და სტატისტიკა საკმაოდ სავალალოა, ჩანს თუ რამდენად რთულ ვითარებაში უწევს კოლეჯს საქმიანობა. აღნიშნული დადასტურდა კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს, როცა გაანალიზდა რეგიონში არსებული არაერთი გამოწვევა რაც პირდაპირ აისახება კოლეჯის საქმიანობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

როცა საუბრობენ პროფესიული განათლების მიზნებზე, პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, პირის დასაქმებასა თუ თვითდასაქმებას ასახელებენ, მაგრამ იმ ფონზე როცა რაჭა- ლეჩხუმში არ გვაქვს ეკონომიკური აღმშენებლობა და რეგიონი იცლება, განსაკუთრებით ახალგაზრდებისაგან, ვფიქრობთ ერქვანის მისიაში უნდა იკითხებოდეს არსებული რეალობა და ასევე, გამოიკვეთოს რომ კოლეჯისათვის პრიორიტეტულია პირის პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯს შეუძლია ორინტირებული იყოს არამხოლოდ ეკონომიკურ განვითარების ხელშეწყობაზე, არამედ პირდაპირ უპასუხოს რეგიონის სოციალური დაცლის რეალობას — იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც ეს შესაძლოა ბოლო შანსია დარჩნენ რეგიონში და განავითაროონ თავიანთი პოტენციალი.

2025 წელს კოლეჯმა უნდა დაამტკიცოს ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ამ მიმართულებით უკვე მუშაობს ჯგუფი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს კოლეჯის მისიას და უფრო მეტად მიუახლოოს ის კოლეჯ ერქვანის უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას რაჭა- ლეჩხუმის მხარეში - რეგიონში სადაც მოსახლეობის მიგრაცია ყველაზე მაღალია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

დაწესებულებას მისიიდან გამომდინარე შემუშავებული აქვს ხედვა, ღირებულებები და თავის საქმიანობას წარმართვას შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ ხედვა გათვლილია კონკრეტულ პერიოდზე და 2025 წლის ივლისის ბოლოს უკვე გადის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ვადა, დაწესებულება შეიმუშავებს ახალ ხედვას. აღნიშნული მიზნებისთვის უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი.

მისიასთან დაკავშირებით გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია. ცხადი აღნიშნული ბმაშია წინამდებარე ინდიკატორთანაც და გაზიარების შემთხვევაში გავლენას მოახდენს ხედვის ჩამოყალიბების პროცესზეც. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის დირექტორი, ადმინისტრაცია საკმაოდ კარგად აანალიზებენ პროცესებს.გამოვლინდა, რომ საკმაოდ მრავალმხრივი მოკვლევა აქვთ ჩანატარები. ეძებენ კოლეჯის განვითარების გზებს, აწყდებიან ჩიხებს ან ფიქრობენ რომ ეს ჩიხია და ეძებენ გამოსავალს. სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის კოლეჯის შენობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დამსაქმებელთა სიმწირე ან/და დამსაქმებელთა შესაძლებლობები აქტიურად ჩაერთონ პროფესიულ განათლების მიწოდების პროცესში, არ იძლევა ფართო გასაქანის შესაძლებლობას და შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შემაფერხებელი ფაქტორი ფართო ხედვის ჩამოყალიბების პროცესში.

ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კოლეჯი გეგმავს ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულებით პროგრამების დანერგვას. საჯახო სასტუმროების მომრავლებამ გააჩინა მოთხოვნა ახალი ტიპის კადრებზე (მაგ. სასტუმროს მომსახურება, მზარეული), თუმცა აფიქსირებენ გამოწვევას რომ დასაქმება სეზონური იქნება. აპირებენ საქმიანობის გააქტიურებას აგრარული მიმართულებითაც, ისაუბრეს სატყეოს მიმართულებით კადრების მოთხოვნაზე, აქვთ გეგმები ინტეგრირებული პროგრამის დანერგვის კუთხითაც მაგრამ აანალიზებენ რა სკოლებში მოსწავლეთა სტატისტიკას ფრთხილობენ - შეძლებენ თუ არა ჯგუფების დაკომპლექტებას და ა.შ. ჩამოყალიბებული აქვთ ხედვა, რომ აქტიურად უნდა იმუშაონ მომზადება- გადამზადების პროგრამების კუთხით, მეტი ყურადღება მიაქციონ ზრდასრულთა განათლებას.

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ღირებულებების ნაწილში გააძლიოროს ორი მიმართულება:

- **სოციალური პასუხისმგებლობა რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის მიმართ;**
- **ინკლუზიური და თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

მისია, ხედვასა და ღირებულებებზე კომუნიკაცია წარიმართა სხვადასხვა ტიპის შეხვედრების დროს და დადასტურებულია, რომ ადმინისტრაცია, პროფესიულო განათლების მასწავლებლები, პროფესიულო სტუდენტები იცნობენ მისია, ხედვასა და ღირებულებებს (გამოკრულია კოლეჯში, განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერდზე).

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ,,სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი“-ში, მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი წესების და ახალი 2018-2024 წლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №35 ,,ო“ ბრძანება;
- ,,სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი“-ს განახლებული ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2018 წლის 17 ივლისის №57 ,,ო“ ბრძანება;
- ,,სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი“-ს მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის“-ს დამტკიცებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2019 წლის 14 თებერვლის №8 ,,ო“ ბრძანება;
- ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს კორექტირებული 2018-2024 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“ს-ს დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის №26 ,,ო“ ბრძანება;
- მისიის გადახედვის მტკიცებულება (2020 წელი);
- სსიპ - კოლეჯის **„ერქვანი“** მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი ,, ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 იანვრის N 5 „ო“ ბრძანება **(მოქმედი მეთოდოლოგია);**
- ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს კორექტირებული 2018-2025 წლების განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 28 იანვრის №12,,ო“ ბრძანება **(მოქმედი სტრატეგიული და მისია)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- კოლეჯის შენობის დათვალიერების შედეგი;
- კოლეჯის ვებ გვერდის დათვალიერების შედეგი;
- კოლეჯის თანამშრომლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი. მეთოდოლოგია არეგულირებს შემდეგ საკითხებს: მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობის მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხილვა, დამტკიცება, მათში ცვლილებების შეტანა და გაზიარება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი პირები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის აღწერა. მეთოდოლოგია მოიცავს ინფორმაციას შეფასების კრიტერიუმების (შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა და არ შესრულდა) თაობაზე.

ბოლო რედაქციით სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განახლდა 2025 წლის იანვარში. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ძველი რეგულაციაც და მის შესაბამისად შეაფასა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები: წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმების, გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების თაობაზე ბრძანებების, შეხვედრების მტკიცებულებების ანალიზითა და კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავდა მის მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ არც ძველი 2019 წლის 14 თებერვლის №8 ,,ო“ ბრძანებით დამტკიცებული და არც განახლებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (2025 წლის 20 იანვრის N 5 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული) არ მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის იწყება ახალ სტრატეგიულისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

არსებული პრაქტიკის მიხედვით, კოლეჯი ერთწლიან სამოქმედო გეგმაზე მუშაობას იწყებს კალენდარული წლის ბოლოს და სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებულ გეგმას ამტკიცებს ახალი კალენდარული წლის იანვარში და გეგმა მოიცავს თებერვლიდან - თრებერვლამდე პერიოდს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კოლეჯის არსებულ სტრატეგიული განვითარების გეგმას ვადა გასდის 2025 წლის ივლისის ბოლოს. ვიზიტის პერიოდში კოლეჯს უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა ახალ სტრატეგიულ გეგმაზე. აღნიშნული მიზნებისთვის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით დამტკიცებულია სამუშაო ჯგუფი. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 21 მაისი №60 ,,ო“ ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს დაევალა სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მისი წარდგენა 2025 წლის ივლისის თვის ბოლომდე. მიგვაჩნია, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავება საკმაოდ რთული პროცესია და მასზე მუშაობა უნდა დაიწყოს არსებული სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, რაც უნდა განისაზღვროს მეთოდოლოგიით. ანალოგიურად, სასურველია სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან მიმართებაშიც მეთოდოლოგიაში აისახოს ინფორმაცია ვადის გასვლამდე რამდენი თვით ადრე დაიწყებს სამუშაო ჯგუფი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

კოლეჯს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმვასთან დაკავშირებით - რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში ცალსახად განისაზღვროს, რომ სტრატეგიული გეგმის მომდევნო ციკლზე მუშაობა დაიწყოს არანაკლებ **6 თვით ადრე** მოქმედი სტრატეგიის ვადის დასრულებამდე. ანალოგიური რეკომენდაცია ვრცელდება სამოქმედო გეგმების შემუშავებაზეც – საჭიროა მეთოდოლოგიაში აისახოს მითითება იმ ვადაზე, რა დროით ადრე უნდა დაიწყოს მომდევნო წლის გეგმის შემუშავება.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიასთან მიმართებით ექსპერტებს აქვთ ასევე განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც არის 1.2.1 (3) ინდიკატორის შეფასების შედეგი.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმაში თითოეულ მიზანს მითითებული უნდა ჰქონდეს თავისი ამოცანა, განსაზღვრული უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი აქტივობები, რესურსები, შესრულების ვადა, ინდიკატორები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.

რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს ადამიანური რესურსების სეგმენტში პასუხისმგებელ პირთან ერთად შემსრულებელი პირების განსაზღვრას. ეს ხელს შეუწყობს პროცესების გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობის მკაფიო გადანაწილებას და სამუშაოს შესრულების ეფექტურ მართვას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის N 5 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“ ს-თანახმად, ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის შედგენისას გასათვალისწინებელია ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი.

2018 - 2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია ,,გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) მხარდაჭერით და ეს არის საკმაოდ ანალიტიკური დოკუმენტი, რომელშიც მოცულობითი ინფორმაციაა წარმოდგენილი რეგიონის პრიორიტეტებისა და რეგიონში არსებული გამოწვევების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ ისინი განაგრძობენ რეგიონის საჭიროებების შესწავლას, რომელსაც ითვალისწინებენ ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას (ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით ჯგუფი უკვე შექმნილია).

სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჯგუფმა უკვე გაანალიზა შრომის ბაზრის არსებული კვლევები. მაგალითად: ,,ევროკავშირი საქართველოსთვის“ დაფინანსებით „პი-ემ-სი კვლევითი ცენტრი“-ს მიერ ჩატარებული კვლევები: ,,ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის კლასტერის დიაგნოსტიკური კვლევა”; ,,ონის მუნიციპალიტეტის პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტების კლასტერის დიაგნოსტიკური კვლევა”; 2024 წელს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაკვეთით, ,,ეისითი გლობალი“ - ს-ის ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა.

გარდა ამისა, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ ბოლო 2022-2025 წლებში ჩატარებულია შრომის ბაზრის სეგმენტური მოკვლევები: ,,ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა - სამშენებლო სექტორის მიმართულებით (2025); ,, ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა - IT მიმართულებით“ (2024); ,,არსებობს თუ არა ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოთხოვნა შემდუღებლის პროფესიაზე? (2022); ,,კვლევა მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრის მიზნით“ (2022); ,,სასტუმროების საჭიროებების კვლევა (2023). კოლეჯის მიერ ასევე შესწავლილია ცალკეულ პროფესიათა მიმართებით სწავლის მსურველთა ინტერესები, მაგალითად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

,,პოტენციური ბენეფიციარების განწყობების კვლევა: რამდენად ისწავლიდნენ ადმინისტრაციული სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე“ (2023).

სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში კოლეჯი გეგმავს ჩაატაროს შეხვედრები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და სტრატეგიული დაგეგმარებისას გაითვალისწინოს რეგიონის პოტენციური განვითარების შესაძლებლობები. კოლეჯის დირექცია ფლობს ინფორმაციას რაჭა-ლეჩხუმის მხარეში უახლოეს პერიოდში დაგეგმილი პროექტების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულით დადასტურებულია, რომ კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს

მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის თანახმად, კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმარებისას განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავდება სამუშაო ჯგუფების ფარგლებში. ცვლილებების განხორციელებაც მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფებში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. კოლეჯის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა 2018 წელს და მასში ცვლილები განხორციელებულია 2- ჯერ, 2020 და 2025 წლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა სამუშო ჯგუფების შექმნის ბრძანებები, ჩატარდა ინტერვიუ სამუშაო ჯგუფების წევრებთან და გამოიკვეთა, რომ ორთავე შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის ცვლილების მიზანს მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა შეადგენდა. 2025 წლის ცვლილებისას გახანგრძლივდა გეგმის ვადა, ვინაიდან გეგმა არ იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სრულად შვიდწლიანი. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, დაწესებულება პროცედურულად თავის საქმიანობას წარმართავს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანალიზიდან გამომდინარე, ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია შესრულების ინდიკატორებთან მიმართებით, რათა ინდიკატორები იყოს მეტად გაზომვადი და ხარისხზე, შედეგზე ორიენტირებული. მაგალითად: 2025 წლის გეგმაში აქტივობა - ,,კურსდამთავრებულთა გამოკითხვა“ და შესრულების ინდიკატორი - კოლეჯში არსებობს სპეციალური კითხვარი და გამოკითხვის ანალიზი. უმჯობესი იყო ინდიკატორად იმგვარად განსაზღვრულიყო რომ შეგვეფასებინა მაგალითად, მინიმუმ რამდენი კურსდამთავრებული მიიღებს კვლევაში მონაწილეობას თითოეული პროგრამის მიხედვით ან კიდევ: აქტივობა - ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამების განსაზღვრა“ და ინდიკატორები: კვლევის ანალიზის შედეგებით განსაზღვრულია მოთხოვნადი პროფესიული პროგრამები; დაიგეგმა მიღება და/ან მიმდინარეობს პროგრამის დამატების პროცედურები. უმჯობესია დაგეგმარებისას დაწესებულებამ განსაზღვროს მინიმუმ რამდენი პროგრამის დამატების მზაობა აქვს სამოქმედო წელში ან უკეთეს შემთხვევაში უკვე ჩატარებული კვლევებისა და სამინისტროსთან შეთანხმების პროცედურის გავლით ასახოს სამოქმედო გეგმაში კონკრეტული პროგრამის/პროგრამების დამატების საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია, **სამოქმედო გეგმაში არსებული ინდიკატორები** წარმოადგენდეს **ზუსტი შეფასების შესაძლებლობას** — იყოს **რაოდენობრივი ან ხარისხობრივი, მიზნებზე და შედეგებზე ორიენტირებული. ინდიკატორები უნდა იძლეოდეს მიღწევის შეფასების შესაძლებლობას, მაგალითად: მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა, შესრულებული აქტივობების მაჩვენებლები ან სპეციფიკური შედეგების აღწერა.**

ასევე, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმაში თითოეულ მიზანს მითითებული აქვს თავისი ამოცანა, განსაზღვრულია ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი აქტივობები, რესურსები, შესრულების ვადა, ინდიკატორები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმით არ არის განსაზღვრული შემსრულებელი პირები. დირექტორის განმარტებით კოლეჯის ადმინისტრაციაში იმდენად მცირე პერსონალია წარმოდგენილი ძირითადად თავად უხდებათ იყვნენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პასუხისმგებელი და შემსრულებელი პრებიც. თუმცა მაინც გამოიკვეთ, რომ ხშირ შემთხვევაში აქტივობა საჭიროებს პასუხისმგებელ და არაერთ სხვა შემსრულებელ პირსაც.

შესაბამისად რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს ადამიანური რესურსების სეგმენტში პასუხისმგებელ პირთან ერთად შემსრულებელი პირების განსაზღვრას. ეს ხელს შეუწყობს პროცესების გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობის მკაფიო გადანაწილებას და სამუშაოს შესრულების ეფექტურ მართვას. ***(აღნიშნული არ გამორიცხავს რომ პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირი ერთი და იგივეა, თუმცა მიდგომა იძლევა მათი გამიჯვნის შესაძლებლობას).***

აღნიშნული რეკომენდაცია ეხება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას - 1.2.1 (1) ინდიკატორი

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმებში ამოცანების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ საჭირო გახდა კონსულტირება სამოქმედო გეგმის წაკითხვის მიზნით. შესაბამისად, რეკომენდებულია სამოქმედო გეგმების ტექნიკური გამართვა, რათა ინფორმაციის წაკითხვა და ინტერპრეტაცია შესაძლებელი გახდეს დამატებითი განმარტებების გარეშე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი ,, ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 იანვრის N 5 „ო“ ბრძანება **(მოქმედი მეთოდოლოგია);**
- ,,სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი“-ში, მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი წესების და ახალი 2018-2024 წლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №35 ,,ო“ ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- ,,სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი“-ს განახლებული ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2018 წლის 17 ივლისის №57 ,,ო“ ბრძანება;
- ,,სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი“-ს მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის“-ს დამტკიცებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2019 წლის 14 თებერვლის №8 ,,ო“ ბრძანება;
- ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს კორექტირებული 2018-2024 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“ს-ს დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის №26 ,,ო“ ბრძანება;
- ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს კორექტირებული 2018-2025 წლების განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 28 იანვრის №12,,ო“ ბრძანება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2021-2022; 2022 -2023; 2023-2024; 2024-2025; 2-5 (6 თვე)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრების მტკიცებულებები;
- კოლეჯის თანამშრომლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი;
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს შედეგი;
- ვებ. გვერდის დათვალიერების შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გემების მონიტორინგისა და შეფასების წესსა და პროცედურა. გათვალისწინებულია თანამშრომელთა მიერ კვარტალური და წლიური ანგარიშების წარმოდგენა. შეფასების პროცესი კი გულისხმობს სამოქმედო გეგმის ფარგლებში ცალკეული აქტივობის შესრულების შეფასებას (შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა).

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია - კოლეჯის დირექტორი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები ანგარიშვალდებული არიან კოლეჯის დირექტორთან. წლიურ ანგარიშს ამზადებს მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.

წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ადმინისტრაციის თანამშრომლების ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს დადგენილი წესის შესაბამისად. თანამშრომლები წელიწადში ორჯერ კვარტალურად წარადგენენ ანგარიშებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებას. ანგარიშგების დროს პასუხისმგებელი პირები თავადაც ახდენენ ინდიკატორთან მიმართებით შეფასებას, რასაც შემდეგ უკვე ანგარიშის სახით აჯამებს დირექტორი. წარმოდგენილი მტკიცებულებებით (პერსონალის ანგარიშები, სამოქმედო გეგმის ფარგლებში შესრულებული აქტივობების შეფასება) და ინტერვიუთი დადგინდა, რომ დაწესებულება შეფასების შედეგებს იყენებს მომავალი წლის დაგეგმარებისთვის. თუ მიზნის/ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობა ვერ შესრულდა ან ნაწილობრივ შესრულდა და ისევ აქტუალურია გადადის მომდევნო წლის გეგმაში..

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია

კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ვებ. გვერდზე განთავსებას. ვებ გვერდის ანალიზით დადასტურებულია რომ დაწესებულებას ვებ. გვერდზე განთავსებული აქვს საანგარიშო პერიოდის ყველა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი ,, ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 იანვრის N 5 „ო“ ბრძანება (მოქმედი მეთოდოლოგია);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- თანამშრომელთა ანგარიშები;
- ერთწლიანი სამომედო გეგმების შესრულების ანგარიშები და შეფასებები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“- ს რეგულაციებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები, რაც ეფუძნება ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად კოლეჯის მიერ შემუშავებულ შიდა რეგულაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კანონმდებლობით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის უფლებები დაცულია და რეალიზდება შემდეგ დოკუმენტებზე დაყრდნობით: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (N24, 20.02.2025); „შინაგანაწესი“ (N17, 07.02.2025); „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები“; „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის კოდექსი“; „ბიბლიოთეკის დებულება“.

აღნიშნული რეგულაციები განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროგრამის შეცვლას ან გაუქმებასთან დაკავშირებულ გარანტიებს, შეფასების წესებს, კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებს, ინკლუზიური გარემოს შექმნისა და მხარდაჭერის მექანიზმებს.

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტს გარანტირებულად აქვს შესაძლებლობა: მიიღოს ხარისხიანი განათლება და ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით; გამოიყენოს მობილობის, სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობა; ისარგებლოს სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების სისტემით; გაასაჩივროს გადაწყვეტილებები სამართლებრივი გზით; მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამებისა თუ საკუთარ უფლებებთან მიმართებით; გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და ჩაერთოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში; საჭიროების შემთხვევაში ისწავლოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმით; მოითხოვოს კოლეჯის მხრიდან რეგულაციების შესრულება და დროული რეაგირება.

საკითხები, რომლებიც არ არის ასახული შიდა დოკუმენტებში, რეგულირდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კანონქვემდებარე აქტებით.

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს იმაზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო გარემო, რაც ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობასა და განვითარებას.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებს შეხვდნენ როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს. ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტებს რეალურად ეძლევათ ხმა და შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების და ინტერესების დაფიქსირება;
- ხელმისაწვდომია რესურსები (ბიბლიოთეკა, კომპიუტერები, პროგრამები);
- ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია გამჭვირვალეა და რეაგირება — დროული;
- პროფესიული სტუდენტები აცნობიერებენ თავიანთ უფლებებს და სარგებლობენ მხარდაჭერის მექანიზმებით;
- სასწავლო გარემო აღიქმება როგორც უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული;
- სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული კოლეჯის ცხოვრებაში და მათ ეძლევათ თვითგამოხატვის და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს

წარმოდგენილი რეგულაციების ანალიზით, რეგულაციათა დანერგვის მტკიცებულებებისა და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, რაც ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

- სასწავლო წლის დაწყებისთანავე პროფესიული სტუდენტები იღებენ ძირითად ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. პირველ დღეს ტარდება გაცნობითი შეხვედრა, სადაც მათ ეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის შიდა რეგულაციების, პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული პროცედურების, მხარდაჭერის მექანიზმებია და სამართლებრივი დაცვის გზებთან დაკავშირებით. შეხვედრები დოკუმენტურად ფორმდება შესაბამისი სამუშაო შეხვედრის ფორმაზე სტუდენტების ხელმოწერით და დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- ხდება ინფორმაციის მიზნობრივი გავრცელება: კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომელს (სასწავლო პროცესის და სასწავლო - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი) აქვს ვალდებულება სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტს. იგი პასუხისმგებელია ინფორმაციის შინაარსსა და სიზუსტეზე.
- უზრუნველყოფილია საჯარო სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა: დირექტორის მიერ გამოცემული პროფესიული სტუდენტის უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია: კოლეჯის ვებსაიტზე www.erkvani.ge, ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე და სხვა ელექტრონული კომუნიკაციის არხებით;
- უზრუნველყოფილია შიდა რეგულაციების გაცნობა: დოკუმენტაციასთან სტუდენტებს წვდომა აქვთ როგორც ელექტრონული, ისე ფიზიკური ფორმით, მათ შორის სატელეფონო შეტყობინებებითა და პირადი კომუნიკაციით.
- პროფესიულ სტუდენტთან (მათ შორის არასრულწლოვანთან (მშობლებთან) გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულება დეტალურად ასახავს სტუდენტის უფლებებსა და გარანტიებს. ხელმოწერით, პროფესიული სტუდენტი /კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს რეგულაციებთან გაცნობასა და თანხმობას.
- გაცნობითი შეხვედრების ფარგლებში, სტუდენტებს ეცნობიან ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირებს;
- უზრუნველყოფილია შეფასებისა და გასაჩივრების მექანიზმების გაცნობა: სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და გასაჩივრების წესების შესახებ. ასევე ფლობენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება მათი აქტიური ჩართულობითა და კანონმდებლობის დაცვით.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ: სტუდენტები ფლობენ სრულ ინფორმაციას თავიანთ უფლებებსა და დაცვის მექანიზმებზე; გაცნობითი პროცესიდანვე იციან ვის უნდა მიმართონ საჭიროების შემთხვევაში; ადასტურებენ დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას როგორც ონლაინ, ასევე ფიზიკური სახით; დადებითად აფასებენ ადმინისტრაციასთან კომუნიკაციასა და მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დრო შესწავლილი იქნა 2024 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საგაზაფხულო მიღების N18 ჯგუფის ორი პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესი, რომლებმაც ისარგებლეს შიდა მობილობით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის „კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (ბრძანება N19, 24.04.2019) მესამე და მეოთხე თავის შესაბამისად და შიდა მობილობით გადავიდნენ 2024 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საშემოდგომო მიღების N20 ჯგუფში. მობილობა განხორციელდა კოლეჯის მხარდაჭერით მათ მიერ გაწერილი რეგულაციების შესაბამისად.

აღნიშნული პრაქტიკები აჩვენებს, რომ კოლეჯი სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორთან და მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვას, ინფორმირებულობასა და უსაფრთხო, სამართლიან სასწავლო გარემოს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით**

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას შეფასების სისტემისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, რაც დეტალურად გაწერილია:

- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, სადაც განსაზღვრულია შეფასებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები;
- ინფორმაციის გავრცელება-მიწოდების წესში (დამტკიცებული 2018 წლის 31 მაისის №41 „ო“ ბრძანებით), რომელიც ავალდებულებს ადმინისტრაციას სწავლის დასაწყისშივე მოახდინოს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის.

კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებისათვის იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პირველ საინფორმაციო შეხვედრაზე სტუდენტებს გადაეცემათ დეტალური ინფორმაცია შეფასების სისტემისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების წესისა და პროცედურის თაობაზე. შეხვედრის ჩატარება და ინფორმაციის გაცნობა დასტურდება პროფესიულ სტუდენტთა ხელმოწერით;
- ჯგუფებში თვალსაჩინოდ გამოკრულია განმსაზღვრელი შეფასების თარიღები;
- გასაუბრებით ასევე დასტურდება, რომ ყოველი მოდულის დაწყებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი აწვდის პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციას: შეფასების მიმართულების, დადებითი შეფასების მინიმალურ მოთხოვნების, გადაბარებისა და აპელაციის პირობების შესახებ.

სტუდენტებთან ზემოაღნიშნული კომუნიკაცია დასტურდება, როგორც პედაგოგების მიერ, ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით. ყველა შესაბამისი დოკუმენტი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე — www.erkvani.ge

აღსანიშნავია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება არ ფიქსირდება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა**

დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში კოლეჯი ხელშეკრულებას აფორმებს პროფესიული სტუდენტის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

ვიზიტის დროს, ექსპერტებმა შერჩევითი პრინციპით შეისწავლეს პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ), მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და საჭიროებიდან გამომდინარე დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის №16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი – „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც ადგენს იმ პროცედურებსა და პრინციპებს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შექმნა ზემოხსენებული სტუდენტებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც: ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას; ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებს; სტუდენტის ჩართულობით განსაზღვრავს სწავლების ფორმატს, ტემპს და შედეგების მიღწევის გზებს.

კოლეჯის დირექტორის მიერ შემუშავებულია დამატებითი მექანიზმები, კერძოდ: 2019 წლის 28 ნოემბრის №68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“. ინკლუზიური განათლების მიმართულებით გუნდი ჩამოყალიბდება იმ შემთხვევაში, როცა კოლეჯში ჩაირიცხება სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტი. გუნდი უფლებამოსილია: საჭიროების შემთხვევაში, პირადად სტუდენტთან ან/და მის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად, მიიღოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შემუშავებასა და შესაბამისი დამატებითი მომსახურებების დანიშვნის შესახებ; დააკვირდეს ინდივიდუალური გეგმის მიმდინარეობას.

დაწესებულებას, ექსპერტების ვიზიტის დროს, არ ჰყავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული სტუდენტი, თუმცა ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ არსებული პრაქტიკის მტკიცებულებებს - 2023 წლის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" N17 ჯგუფის სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის განხორციელებულ მხარდაჭერით აქტივობებს. განხორციელებულია სასწავლო პროცესის ადაპტირება თუ სხვა ტექნიკური მხარდაჭერა, როგორიცაა მაგალითად უფასო ტრანსპორტირება, სასწავლო პროცესზე შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შეფასების მტკიცებულებები, ასევე განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადასტურდა მათი ჩართულობა სასწავლო გარემოს თუ შეფასების პროცესის ადაპტაციის პროცესში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" 2025 წლის 20 თებერვლის N24 ,,ო'' ბრძანება);
- „შინაგანაწესით" (2025 წლის 7 თებერვლის N17 „ო" ბრძანება);
- „კოლეჯის პერსონალზე, პროფესიულ სტუდენტებზე და დაინტერესებულ პირებზე ინფორმაციის გავრცელება-მიწოდების წესი (2018 წლის 31 მაისის N41 „ო" ბრძანება)
- „სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი" (2021 წლის 16 მარტის №16 „ო" ბრძანება);
- „ ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი" (2019 წლის 28 ნოემბრის N68 „ო" ბრძანება)
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" (2018 წლის 14 მაისის N 26 "ო" ბრძანება (ცვლილება - 2020 წლის 17 ივნისის N29 ,,ო'' ბრძანება);
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებები (მათ შორის არასრულწლოვნებთან);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- პროფესიულ სტუდენტთა შიდა მობილობასთან დაკავშირებული ბრძანებები;
- ადგილზე ვიზიტი და გასაუბრების შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-გან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ აქტიურად მუშაობს პროფესიული სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით. დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია შესაბამისი მექანიზმები, რაც რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N45 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „პროფესიული სტუდენტის კონსულტირებისა და მხარდაჭერის აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების წესი“.

აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების სისტემატურ მხარდაჭერას განმავითარებელი შეფასების ეტაპზე. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად, საჭიროებისამებრ, მიმართოს დამატებითი კონსულტაციის მოთხოვნით მასწავლებელს, ხოლო განმახორციელებელი პირი ვალდებულია, ასეთ შემთხვევაში, განსაზღვროს კონსულტაციის ფორმატი, ვადები და თარიღები და სტუდენტს წინასწარ აცნობოს გრაფიკი.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ უფლება სწავლების მიზნებისთვის გამოიყენონ კოლეჯის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (ბიბლიოთეკა, სასწავლო საშუალებები და სხვა). ეს რესურსები ხელს უწყობს მათი ცოდნის გაღრმავებას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში, როგორც კურსდამთავრებულებთან, ასევე მოქმედ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პრაქტიკაში სტუდენტები სარგებლობენ აღნიშნული მომსახურებით: შეფასებამდე იღებენ განმარტებებს, საჭიროებისას – განმახორციელებელი პირისგან დამატებით კონსულტაციებს, რაც ინდივიდუალურად ეფუძნება სტუდენტის საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ პროცესის ფარგლებში დაცულია კონფიდენციალურობა და ყურადღება ექცევა სტუდენტის პერსონალურ პროგრესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასების კრიტერიუმის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა აკადემიური წარმატების ხელშეწყობის მიზნით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

კოლეჯი „ერქვანი“ აცნობიერებს, რომ პროფესიული სტუდენტები ხშირად პირველად ხვდებიან ფორმალურ პროფესიულ სივრცეში ან გარკვეული წლების შემდეგ უბრუნდებიან სწავლის პროცესს დიდი პაუზის შემდეგ. შესაბამისად, კოლეჯი სწავლების დაწყებისთანავე უწყობს ხელს სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობისა (დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის №31 „ო“ ბრძანება) და ინფორმაციის მიწოდების წესი (დირექტორის 2018 წლის 31 მაისის №41 „ო“ ბრძანება) ითვალისწინებს სტუდენტების გაცნობას კოლეჯის ინფრასტრუქტურასთან, სერვისებთან, მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებთან.

მატერიალური რესურსების კოორდინატორი, საჭიროების შემთხვევაში, სხვა პასუხისმგებელ თანამშრომლებთან ერთად, უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის ფიზიკურ ორიენტაციას სასწავლო გარემოში.

ასევე, რეგულარული პრაქტიკაა ყოველ ახალ ნაკადთან გამართული გაცნობითი შეხვედრები, სადაც სტუდენტები იღებენ დეტალურ ინფორმაციას კოლეჯის წესების, შესაძლებლობების, სერვისების, ეთიკური ნორმების, უსაფრთხოების წესების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

დამატებით, კოლეჯის შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება ერთობლივად უზრუნველყოფს იმ ფორმალურ საფუძველს, რაც სტუდენტის ადაპტაციას სისტემურად უზრუნველყოფს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

ადმინისტრაციული მხარდაჭერა პროფესიული სტუდენტისთვის მოიცავს ისეთ სერვისებს, როგორიცაა: ცნობის, სერტიფიკატის ან დიპლომის გაცემა, შიდა ან გარე მობილობის უზრუნველყოფა, წინარე განათლების აღიარება და სხვა. აღნიშნული პროცედურები რეგულირდება: სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით; საქმისწარმოებისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით (eflow); პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

სერვისების გაწევის ვადები განსაზღვრულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ფარგლებში და არ აღემატება კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადებს.

ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მოთხოვნილი მხარდაჭერის მიზნებიდან გამომდინარე და პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად. მათ განაცხადეს რომ აქვთ ინტენსიური კომუნიკაცია შესაბამის თანამშრომლებთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნეს, რომ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო თუ ინტერნეტ კომუნიკაციითაც და ამ მხრივ არავითარი პრობლემა ან შეფერხება არ შეჰქმნიათ. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კოლეჯი ქმნის სტრუქტურირებულ და მხარდამჭერ გარემოს პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართვის დასაწყისიდანვე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

კოლეჯი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის არაფორმალური/დამატებითი აქტივობების წახალისებასა და მათ ინიციატივებზე რეაგირებას. განხორციელებულია არაერთი პროექტი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდა ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარებას:

- 2020–2021 წწ. – „ახალგაზრდული მუშაკის მომზადების სასერთიფიკატო პროგრამა“
- 2022–2023 წწ. – „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების გაუმჯობესება ადგილობრივი პარტნიორობის გამოყენებით“
- 2023–2024 წწ. – „ახალგაზრდული საქმიანობა პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში“

აღნიშნული პროექტების ფარგლებში კოლეჯში:

- მუშაობდნენ ახალგაზრდული მუშაკები სტუდენტებთან სხვადასხვა რბილი უნარების განვითარებაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- შეიქმნა ახალგაზრდული თემატური კლუბები;
- სტუდენტების ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა სპორტული აქტივობები, ლაშქრობები, ფილმების ჩვენება, სამაგიდო თამაშების სესიები და სხვა არაფორმალური ღონისძიებები;
- მოეწყო სპეციალური სივრცე — ახალგაზრდული სივრცე, რომელიც დღემდე გამოიყენება სტუდენტური ღონისძიებებისთვის.

გარდა ამისა, კოლეჯში შეიქმნა სტუდენტური თვითმმართველობა, რისთვისაც შემუშავდა და დამტკიცდა შესაბამისი დოკუმენტი: „სტუდენტური თვითმმართველობის შექმნისა და საქმიანობის წესი“. დოკუმენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობის მექანიზმებს, მათ შორის — წარმომადგენლობას, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას, ინიციატივების წარდგენას და ორგანიზების შესაძლებლობას.

იმ შემთხვევისთვის, როცა სტუდენტური თვითმმართველობა არ ფუნქციონირებს ან საჭიროებას ვერ პასუხობს, კოლეჯს გააჩნია დამატებითი რეგულაცია — „დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის წესი“, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის აქტიურობის მხარდაჭერას ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ზემოხსენებული დოკუმენტაცია და წარმოდგენილი იყო სტუდენტების აქტივობების კონკრეტული მაგალითები, რაც ასევე დადასტურდა სტუდენტებთან, გასაუბრების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ვებგვერდი, ფეისბუქგვერდი, სხვადასხვა ჩანაწერები, ანგარიშები და დოკუმენტები (ფოტო მასალა) განხორციელებული აქტივობებისა პროექტების შესახებ, რითაც დადასტურდა ზემოაღნიშნული.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესება კოლეჯში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილება. სტუდენტთა უკუკავშირი სისტემურად გამოიყენება მომსახურების ხარისხის ანალიზისა და გაუმჯობესების მიზნით.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების რეგულარულ ჩართულობას უკუკავშირის პროცესში, რაც ხორციელდება როგორც პერიოდული გამოკითხვებით, ასევე მიმდინარე პროცესებზე რეაგირების შესაძლებლობებით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ფარგლებში. სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარში გათვალისწინებულია სერვისებთან დაკავშირებული ბლოკი, რომლის მეშვეობითაც კოლეჯი იღებს ინფორმაციას სხვადასხვა მიმართულებით — დაწყებული ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანობიდან, ადმინისტრაციული სერვისების მიწოდების ხარისხამდე. უკუკავშირის სისტემა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N31 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების, უკუკავშირის მიღების, დამუშავებისა და რეაგირების მექანიზმი“. დოკუმენტის შესაბამისად, უკუკავშირის შეგროვება, ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების ინიცირება ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით.

უკუკავშირის შედეგების საფუძველზე, დაწესებულებამ უკვე განახორციელა რიგი ინიციატივები, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია რეგიონული ტრანსპორტის უფასოდ გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათი დროულად და შეუფერხებლად სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
- ბიბლიოთეკის რესურსი გაძლიერებულია კომპიუტერების ცალკეული ოდენობით, რომლითაც პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ მთელი სწავლის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში კი — ბიბლიოთეკიდან გატანითაც;
- დაწესებულებაში მოწყობილია სამუშაო და მოსასვენებელი სივრცეები, ასევე კაფეტერია, იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ტრანსპორტის ლოდინის გამო კოლეჯში გახანგრძლივებულად ყოფნა უხდებათ.

აღნიშნული მიდგომები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კოლეჯი რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და სისტემურად მუშაობს მათ გაუმჯობესებაზე.

სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესები კოლეჯში გააზრებულია და მტკიცებულებებზე დაფუძნებით ხორციელდება, მათ შორის, უზრუნველყოფილია ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მნიშვნელოვნად და უზრუნველყოფს სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის კონსულტირებისა და მხარდაჭერის აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების წესი“(2020 წლის 15 ივლისის N45 „ო“ ბრძანება);
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (2020 წლის 17 ივნისის №31 „ო“ ბრძანება)
- ინფორმაციის მიწოდების წესი (2018 წლის 31 მაისის №41 „ო“ ბრძანება)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (2025 წლის 20 თებერვლის N24 ,,ო'' ბრძანება);
- შინაგანაწესი (2025 წლის 7 თებერვლის N17 „ო“ ბრძანება);
- კოლეჯის პერსონალზე, პროფესიულ სტუდენტებზე და დაინტერესებულ პირებზე ინფორმაციის გავრცელება-მიწოდების წესი (2018 წლის 31 მაისის N41 „ო“ ბრძანება);
- კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების, უკუკავშირის მიღების, დამუშავებისა და რეაგირების მექანიზმი (2020 წლის 17 ივნისის N 31,,ო“ ბრძანება);
- სტუდენტური თვითმმართველობის შექმნისა და საქმიანობის წესი;
- „დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის წესი“;
- პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და ხარისხის მართვის მენეჯერის კვლევები, ანგარიშები;
- ჩანაწერები განხორციელებული საკონსულტაციო, მხარდამჭერი მომსახურების შესახებ;
- პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.
- ებ გვერდზე განთავსებული სტუდენტური აქტივობების ფოტომასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

3.2.2. პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის სერვისს როგორც არსებულ, ისე პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებთან. აღნიშნული საქმიანობა მოიცავს როგორც ინდივიდუალურ კონსულტაციებს, ასევე თემატურ სესიებს, არაფორმალურ განათლებას და საინფორმაციო კამპანიებს.

კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის პოზიცია, რომლის ფუნქცია- მოვალეობები ითვალისწინებს არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოტენციური სტუდენტებისთვის, კოლეჯი ახორციელებს გასვლით შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, დასაქმების შესაძლებლობებისა და სწავლის პირობებზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია კოლეჯის მიერ ინიცირებული პრაქტიკა – რეგიონში არსებული სკოლების ბაზების შესწავლა და მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რაც დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვროს პოტენციური სტუდენტების აუდიტორია და მიზნობრივად დაგეგმოს ღონისძიებები.~

პროფესიული სტუდენტებისთვის, სერვისი მოიცავს ჯგუფურ შეხვედრებს და სპეციალურ სესიებს თემებზე: კარიერული მიმართულების შერჩევა; CV-სა და სამოტივაციო წერილის მომზადება; დასაქმების საიტების გამოყენება და ვაკანსიების მოძიება.

2023 წელს პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, კოლეჯმა განახორციელა არაფორმალური განათლების 20-საათიანი კურსი „კარიერული განათლება“, რომლის შინაარსი მოიცავდა შემდეგ თემატიკას: კარიერის ცნება და მისი განვითარება; კარიერული კონსულტაციის ძირითადი მეთოდები; ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება; შრომის ბაზრის შესწავლის მეთოდოლოგია; კარიერული გადაწყვეტილების მიღება და სამუშაოს ძიება; კარიერული კონსულტირება და კარიერის მართვის სტრატეგიები.

გარდა ამისა, კოლეჯი გადაუდებლად რეაგირებს კურსდამთავრებულების დასაქმების საჭიროებებზე და რეგულარულად აზიარებს აქტუალურ ვაკანსიებს საკუთარი სოციალური ქსელის საშუალებით.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური კონსულტაციები პროფესიის შერჩევის, კარიერული მიმართულების განსაზღვრისა და დასაქმების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით.

კოლეჯი უზრუნველყოფს მრავალმხრივ და პრაქტიკულ კარიერულ მხარდაჭერას. აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც მიმდინარე, ისე პოტენციური სტუდენტებისთვის და მოიცავს როგორც სტრუქტურულად ორგანიზებულ საქმიანობას, ისე პროექტულ მიდგომებს, მათ შორის ბაზების ანალიზს, ვაკანსიების გაზიარებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

არაფორმალურ განათლებას. ეს ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა კარიერულ განვითარებას და მათ რეალურ შრომის ბაზართან ინტეგრაციას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განახლებული და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებას დასაქმების შესაძლებლობებთან, მიმდინარე ვაკანსიებთან და კარიერული განვითარების გზებთან დაკავშირებით. აღნიშნული მხარდაჭერა სისტემურად ხორციელდება როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად, რაც იკვეთება შემდეგი მაგალითებიდან:

- კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მართავს კურსდამთავრებულთა ბაზას პროგრამების მიხედვით, ასევე დამსაქმებელთა ბაზას, რაც უზრუნველყოფს მიზნობრივი ინფორმაციის მიწოდებას სწორი ადრესატისთვის;
- კომუნიკაციის არხები მოიცავს: სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებსა და ჩატებს, ელ. ფოსტით ან/და, სატელეფონო კომუნიკაციას ან/და პირად შეხვედრებს;
- კოლეჯის ვებ.გვერდზე ფუნქციონირებს ვაკანსიების ველი, რომელიც რეგულარულად განახლდება და წარმოადგენს ღია რესურსს, როგორც სტუდენტებისთვის, ისე კურსდამთავრებულებისთვის;
- 2023 წელს, პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, კოლეჯმა სტუდენტებისთვის განახორციელა არაფორმალური განათლების კურსი – „კარიერული განათლება“ (20 საათიანი პროგრამა), რომელიც ფარავდა შემდეგ საკითხებს: კარიერის ცნება, განვითარების თეორიები, ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება, შრომის ბაზრის ანალიზი, კარიერული გადაწყვეტილებების მიღება და კარიერის მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- ასევე აღსანიშნავია, რომ კოლეჯი ეცნობა რეგიონის სკოლების ბაზებს და იღებს მოსწავლეების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, რაც ეფექტური პროფორიენტაციის დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს;
- კოლეჯი სოციალური ქსელის მეშვეობით აქვეყნებს რეგიონში არსებულ მიმდინარე ვაკანსიებს, მათ შორის კონკრეტული სპეციალობის კურსდამთავრებულებისთვის;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ინდივიდუალურად აწარმოებს კონსულტაციებს როგორც სტუდენტებთან, ისე პოტენციურ სტუდენტებთან, რაც მოიცავს პროფესიის შერჩევის, CV-ის შედგენისა და დასაქმების პროცესების საკითხებს.

დადასტურებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს დასაქმებაზე ორიენტირებულ კარიერულ მომსახურებას, რაც ეფუძნება როგორც შიდა ბაზებს, ისე აქტიურ კომუნიკაციას დამსაქმებლებთან. ვაკანსიების მიწოდების მრავალარხიანი სისტემა, სტუდენტთა მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული მიდგომა და პროფორიენტაციის აქტივობები ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა რეალურ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

კოლეჯი ახორციელებს კვლევებს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. კვლევები მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, კარიერული კმაყოფილებისა და პროფესიული პროგრამების ეფექტიანობის ანალიზს, რაც შემდგომ გამოიყენება გადაწყვეტილებების დასაბუთებისთვის.

კოლეჯის მიერ ტარდება კვლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, რომელიც ეფუძნება დაწესებულების მიერ შემუშავებულ კითხვარს. კვლევა მიმდინარეობს სწავლის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში, მათ შორის სატელეფონო გამოკითხვის ფორმატით.

- დაწესებულება ჩართულია პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ კურსდამთავრებულთა კვლევაში, რომელიც ხორციელდება "ევოლუშენის" პლატფორმის გამოყენებით. აღნიშნული კვლევა მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კურსდამთავრებულთა ზოგად კმაყოფილებას, მიღებული განათლების შეფასებას, დასაქმების სტატუსს და მოტივაციურ ფაქტორებს.

- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ატარებს რეგულარულად დასაქმებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების შეფასების კვლევას, რომლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პროგრამის შინაარსობრივი ან ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება.

კოლეჯი უზრუნველყოფს სისტემურ და მრავალწყაროვან მიდგომას დასაქმების მაჩვენებლების შეფასების კუთხით. როგორც შიდა კვლევები, ისე სააგენტოს დონეზე კოლეჯის ჩართულობა, იძლევა სრულყოფილ სურათს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატუსის და შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაციის შესახებ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კოლეჯში მიმდინარეობს კარიერული მომსახურების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც ხდება როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან რეგულარული კომუნიკაციის გზით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კარიერული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად ხდება უკუკავშირის შეგროვება და ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა კარიერული მომსახურების შეფასების ანკეტები, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე მიღებულია კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები. მათ შორის:

- კოლეჯში დანერგილია კარიერული კონსულტაციის სერვისები;
- აქტიურად მიმდინარეობს ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის სისტემატური მიწოდება;
- გაიზარდა დამსაქმებლებთან თანამშრომლობით დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

•ინტერვიუების დროს როგორც სტუდენტებმა, ასევე ადმინისტრაციულმა პერსონალმა დაადასტურეს, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე რეალურად იგეგმება და ხორციელდება ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სერვისების ეფექტიანობასა და სტუდენტთა კმაყოფილების ზრდას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შემუშავებული კითხვარებით და შესაბამისი ანგარიშებით;
- ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობები;
- სხვადასხვა აქტივობების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ. გვერდსა და სოც. ქსელშიც;
- პროფორიენტაციისა და კარიერის განვითარების მენეჯერის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

კოლეჯი ერქვანი წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

კოლეჯის მართვის ორგანოებია კოლეჯის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. წესდებით განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია- მოვალეობები.

დაწესებულებას ორგანიზაციული მოწყობის საკითხი დარეგულირებულია რამდენიმე დოკუმენტით: კოლეჯის საშტატო ნუსხით, რომელიც შეთანხმებულია მაკონტროლებელ ორგანოსთან და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და ორგანიზაციული მოწყობის მარეგულირებელი დოკუმენტით - ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის" პერსონალის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია მოვალეობები და ორგანიზაციული სტრუქტურა", რომლის ბოლო რედაქცია დამტკიცებულია 2024 წლის ბოლოს.

კოლეჯის საშტატო ნუსხის მიხედვით გათვალისწინებულია 26 თანამშრომელი: დირექცია - დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ადმინისტრაცია: სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, მთ. ბუღალტერი, იურისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი, ქსელისა ადმინისტრატორი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი; ტექნიკური პერსონალი: ინოვაციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ტექნოლოგიების ლაბორატორიის კოორდინატორი, ლოჯისტიკი/მძღოლი, დამხმარე თანამშრომელი. მედდა, ცეცხლფარეში, დამლაგებელი (3) დარაჯი (3).

თვითშეფასების თანახმად, 2024 წლის ბოლოს, სამუშაო ჯგუფმა, დირექტორის ხელმძღვანელობით გადაამუშავა არსებული ფუნქცია - მოვალეობები. ინტერვიუს ფარგლებში თანამშრომლებმა დაადასტურეს რომ ჩართული იყვნენ აღნიშნულ პროცესში. კიდევ ერთხელ გაანალიზდა მათი მოვალეობები და სრულ შესაბამისობაში მოვიდა ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებთან და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ზემოაღნიშნული რეგულაციის თანახმად, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პერსონალის გარდა, სამუშაო აღწერილობები ასევე შემუშავებულია და დამტკიცებულია შემდეგი პოზიციებისთვის: პროფესიული განათლების მასწავლებელი და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ამ ეტაპზე კოლეჯში სსსმ სტატუსის მქონე პირი და შესაბამისად, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტიც არ ჰყავს, თუმცა გამოცდილება აქვთ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზდა თანამშრომელთა ფუნქცია - მოვალეობები და დადასტურებულია, რომ თანამშრომელთა ფუნქცია- მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის №165 ,,ო“ ბრძანებით პერსონალის სამუშაო აღწერილობებთან ერთად დამტკიცებულია ორგანიზაციის სტრუქტურა. სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია: პოზიციის დასახელება; სტრუქტურული ერთეული (დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი), ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან; დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა, დაქვემდებარებულ თანამშრომელთა პოზიცია(ები);

სამუშოს მიზანი, კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები, კომპეტენციები, ძირითადი ფუნქცია - მოვალეობები, ძირითადი უფლებები, პასუხისმგებლობა, დამატებით ინფორმაციად წარმოდგენილია: სამუშაოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ადგილმდებარეობა; სამუშაოს გრაფიკი; სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები და სხვ.

თვითშეფასების ფარგლებში წარმოდგენილი თუ ვიზიტის პროცესში გამოთხოვილი დოკუმენტაციის ანალიზის, მათ შორის სამოქმედო გეგმებისა და პერსონალის ფუნქცია- მოვალეობათა შედარებითი ანალიზით, პერსონალთან თუ პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის პროცესში დადასტურებულია რომ კოლეჯის თანამშრომლები საქმიანობას წარმართავენ საკუთარი ფუნქცია - მოვალეობების შესაბამისად და უზრუნველყოფილია დაწესებულების გამართული საქმიანობა.

ამასთან, სტრუქტურისა და სამუშაო აღწერილობების ანალიზით გამოიკვეთა, რომ კოლეჯის სტრუქტურაში დომინირებს ვერტიკალური დაქვემდებარება – თითქმის ყველა თანამშრომელი ექვემდებარება დირექტორს (გამონაკლისია: დარაჯი, დამლაგებელი და ცეცხლფარეში) რაც ქმნის მართვის გადატვირთვის რისკს და ზღუდავს დელეგირების მექანიზმებს. მაგალითად, დირექტორის მოადგილე ფუნქციურად გამოყოფილია, განსაზღვრულია მისი ფუნქცია- მოვალეობები (ძირითადად ფინანსები და მატერიალური რესურსები: დირექტორთან და მთავარ ბუღალტერთან კოორდინაციით ხელმძღვანელობს კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენას; კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავებაში და შემდგომ მის განხორციელებაში; ხელმძღვანელობს და აკონტროლებს კოლეჯის ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებს; ზედამხედველობს კოლეჯის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს და ა.შ). თუმცა მას არ ჰყავს დაქვემდებარებული პერსონალი. სამუშაო აღწერილობის თანახმად. დირექტორის მოადგილეს ექვემდებარება კოლეჯის ყველა თანამშრომელი როცა ის ასრულებს დირექტორის მოვალეობას. ანალოგიურად ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ექვემდებარება დირექტორს და არა სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგა დირექციასთან კომუნიკაცია. დირექტორის განმარტებით კოლეჯი მცირე კონტიგენტიანია (ვიზიტის მომენტში კოლეჯში 3 პროგრამაზე მხოლოდ 22 სტუდენტი სწავლობდა) და ამგვარი მკაცრად განსაზღვრული ვერტიკალური სტრუქტურა ხელს არ უშლის მას მართვის პროცესში, ის თავად აქტიურად არის ჩართული თითქმის ყველა ძირითად პროცესში. ექსპერტები იზიარებენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ეტაპზე არსებული სტრუქტურა ხელს არ უშლის დაწესებულებას თავისი საქმიანობის წარმართვაში, მაგრამ კოლეჯის ორგანიზაციული მართვის გაძლიერების და განვითარების ახალ საფეხურზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

გადასვლისთვის რეკომენდებულია დელეგირების სისტემის გაძლიერება, კერძოდ, რეკომენდებულია გაძლიერდეს მენეჯმენტის შუა რგოლი (დირექტორის მოადგილე; სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი).

ექსპერტები ადასტურებენ რომ კოლეჯის თანამშრომლების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს

კოლეჯი სტრუქტურით გათვალისწინებულია ხარისხის მართვის მენეჯერის საშტატო ერთეული და მისი ფუნქცია - მოვალეობები განსაზღვრულია დირექტორის ბრანებით დამტკიცებული რეგულაციით - ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' პერსონალის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია და ორგანიზაციული სტრუქტურა".

კოლეჯს შემუშავებული აქვს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა), სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლს.

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა ხარისხის უხრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები; ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმები და გეგმების შესრულების ანგარიშები. შედგა ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან და კოლეჯის თანამშრომლებთან.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ,, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ერქვანის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორეტის სამინიტროს 2019 წლის 19 ივნისის №ბრძანება №122/ნ ბრძანება;
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' პერსონალის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია და ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ ერქვანის დირქეტორის მ/შ 2024 წლის 30 დეკემბრის №165 ,,ო“ ბრძანება;
- კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;

,, სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით (ცვლილება- 2020 წლის 26 ნოემბრის N 88 „ო“ ბრძანება);

- ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმები და ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა სახის კითხვარები, პროცესების ანალიზის ფორმები;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგი

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად

კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება 3 ძირითადი დოკუმენტით: კოლეჯის წესდება; მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და კოლეჯის შინაგანაწესი.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს შემდეგ საკითხებს: დასაქმების პოლიტიკის ეტაპები, ადამიანური რესურსის შერჩევა და დანიშვნა, სტაჟირების პროგრამები, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია, პერსონალის საქმიანობის შეფასება, პერსონალის ჩართულობა და მონაწილეობა კოლეჯის საქმიანობაში, პერსონალის მოტივაციის ზრდისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები.

კოლეჯში დამსაქმებლისა და დასაქმებულის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება კოლეჯის შინაგანაწესითა დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. შინაგანაწესი დასაქმებულებთან მიმართებით არეგულირებს შემდეგ საკითხებს: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა, თანამდებობრივი გადაადგილება; უფლება - მოვალეობები; დასაქმებულისა წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა; სამუშაო და დასვენების დრო; დასვენებისა და სადღესასწაულო დღეები, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ კოლეჯში ყოფნის პირობები და წესები; შვებულება და ზეგანაკვეთური საქმიანობის ანაზღაურება; კოლეჯში შრომა, დასვენება და ქცევის წესები.

არსებული რეგულაციის შესაბამისად, თანამშრომლებისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ცვლილებების გაცნობა ხორციელდება Eflow - საშუალებით.

წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და პერსონალთან ინტერვიუს გზით, დადასტურებულია რომ პერსონალი იცნობს ორგანიზაციის შინაგანაწესს და დაწესებულებაში პროცესები მიმდინარებს მართვის პოლიტიკისა და და შინაგანაწესის შესაბამისად, მათ შორის დასაქმებულთა უფლებების დაცვის ფარგლებში, შრომის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

მართვის პოლიტიკის თანახმად, კოლეჯში დასაქმების პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ადამიანური რესურსის საჭიროების დადგენა; კვალიფიციური კანდიდატების მოზიდვის უზრუნველყოფა; კვალიფიციური კადრების შერჩევა; ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია. ადამიანური რესურსის საჭიროება დგინდება კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, რა დროსაც მხედველობაში მიიღება, მათ შორის, სტუდენტთა რაოდენობის ზრდა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდის საჭიროება, დამატებითი სასწავლო პროგრამის და ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელება. ადამიანური რესურსის საჭიროებას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი, ადმინისტრაციულ პერსონალთან (მენეჯმენტის გუნდთან) შეთანხმებით განიხილავს ადამიანური რესურსის დამატების საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2020 წელს ჩატარებული კონკურსების გამოცხადების, შერჩევისა და დანიშვნის მასალები, რომლებიც ეხებოდა ადმინისტრაციული პერსონალისა (პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი) და ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამისთვის პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევას. შედგა ინტერვიუ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან კონკურსის მიმდინარეობის პროცედურასთან დაკავშირებით. ინტერვიუს გზითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ კოლეჯი ადამიანური რესურსის შერჩევისა და დასაქმების პროცესში ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და იცავს მის მიერვე შემუშავებულ რეგულაციებს.

კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის მიზნებისთვის კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, მათ შორის, ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტთან დაკავშირებით.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული ყველა პერსონალის პირადი საქმე საქმისწარმოების წესისა და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით და დადასტურებულია მათი შესაბამისობა. პირად საქმეებში განთავსებულია: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი საკვალიფიკაციო მოთხოვნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შესაბამისად; პირადობის მოწმობის ასლი; CV; ბრძანება პირის დანიშვნის შესახებ; სერტიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება აკმაყოფილებს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მიმდინარე პროგრამებზე დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სხვა შემთხვევაში გაფორმებულია წინარე შეთანხმებები სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე და შეთანხმებებს დანართად თან ერთვის იმ პროგრამების/ მოდულების ჩამონათვალი რომლის ფარგლებიც მხარეები თანხმდებიან სამომავლო თანამშრომლობაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეგულაციებით, მექანიზმთა დანერგვის მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

დაწესებულებას 2020 წელს დამტკიცებული აქვს ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი“. აღნიშნული წესის თანახმად, პოზიციებისთვის ინდივიდუალურად არ იყო ჩამოყალიბებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განსაზღვრული იყო: უმაღლესი განათლება/პროფესიული განათლება; სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა; კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა; ადმინისტრაციული თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა. შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება (სასურველია).

2024 წელს დაწესებულებამ ყველა პოზიციისთვის შეიმუშავა სამუშაო აღწერილობები, რომლის ფარგლებშიც უკვე დიფერენცირებულად განისაზღვრა თითოეული პოზიციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნა: განათლება; სამუშაო გამოცდილება; კომპეტენცია; ტრანსფერული უნარები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ყველა თანამშრომლის პირადი საქმე, ყველა თანამშრომელთან ჩატარდა ინტერვიუ მათ საქმიანობასთან მიმართებაში.

დადასტურებულია დასაქმებულ პირთა შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

კოლეჯის ღირებულებებს შორისაა - გუნდური მუშაობა. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიუთი და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით დადასტურებულია, რომ კოლეჯში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც გულისხმობს: ნებისმიერი პროცესი, რომელიც კოლეჯში ხორციელდება შეძლებისდაგვარად არის მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული. მთლიანი მართვის პოლიტიკა აგებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე (თვითშეფასების ფორმის შევსება, ცენტრში პროგრამის დამატებაზე განაცხადის გაკეთება; ფორს- მაჟორულ სიტუაციებთან გამკლავება და სხვა) თითოეული პირი ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე ჩართული არის ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,, სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' პერსონალის მართვის პოლიტიკა“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 10 თებერვლის № 19 ,,ო'' ბრძანება;
- ,,სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ შინაგანაწესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის მ/შ 2025 წლის 07 თებერვლის № 17 ,,ო“ ბრძანება;~
- ,,სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“ დირექტორის 2020 წლის 13 თებერვლის № 6 „ო“ ,, 13 '' ბრძანებით (ცვლილება დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N29 ,,ო'' ბრძანება)
- პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- პერსონალის დანიშვნის ბრძანებები;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის პოზიციაზე შესარჩევი კონკურსის ბრძანება; შერჩევის ოქმი და თანამშრომლის დანიშვნის ბრძანება; შრომითი ხელშეკრულება;
- ბუღალტრის პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ბრძანება; შერჩევის ოქმი და თანამშრომლის დანიშვნის ბრძანება;
- პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების მტკიცებულებები (სამუშაო შეხვედრების დოკუმენტაცია, ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსებული ფოტომასალა);
- პერსონალის პირადი საქმეების ანალიზი შედეგი;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ დაწესებულება ატარებს პერსონალის საჭიროებათა კვლევებს. ,,კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების, უკუკავშირის მიღების, დამუშავებისა და რეაგირების მექანიზმი“- ს თანახმად, დირექტორის მოადგილე, კოლეჯის პერსონალის შემდგომი განვითარების მიზნით, აწარმოებს პერსონალის საჭიროებების, მოთხოვნების და კმაყოფილების კვლევას. მტკიცებულებებად წარმოდგენილია კითხვარები, ჩატარებული კვლევის შედეგები და ინფორმაცია შესაბამისი რეაგირების თაობაზე. აღნიშნული დადასტურებულია პერსონალთან გასაუბრების გზით.

რაც შეეხება პერსონალის საქმიანობის შეფასებას, წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ ადასტურებს ინდიკატორთან სრულად შესაბამისობას. კერძოდ: დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების განაცხადსა და ინტერვიუს პროცესში აღნიშნული ინდიკატორის შეფასებისას აქცენტები გაკეთდა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ დაწესებულებას მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული აქვს თანამშრომელთა შეფასება, შეფასების მიდგომის თანახმად, თანამშრომლები წელიწადში ორჯერ წარმოადგენენ კვარტალურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება. რაც რეალურად ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების მიზნებისთვის.

დადასტურებულია, რომ კოლეჯის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას. რეგულაციის მიხედვით, პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება კოლეჯის თითოეული პოზიციის შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით. შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავება. პერსონალის შეფასებისთვის კოლეჯი იყენებს სხვადასხვა მეთოდებს (მიზნების მიხედვით შეფასება, კომპეტენციების მიხედვით შეფასება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და ა.შ) 3. შეფასების პროცესს კოორდინირებას უწევს კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების ჯგუფი. აღნიშნული რეგულაცია კოლეჯმა შეიმუშავა 2025 წლის დასაწყისში. შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია და შესრულების მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი.

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დაამტკიცა და წარმოადგინა ,, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება, რომლის თანახმად, მაქსიმუმ 6 თვის პერიოდში კოლეჯი, პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, შეიმუშავებს პერსონალის შეფასების მეთოდოლოგიას და 2025 წლის 29 ნოემბრამდე დაასრულებს პერსონალის შეფასების პროცესს.

კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, მაქსიმუმ 6 თვის ვადაში უზრუნველყოს პერსონალის შეფასება.
ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის მოტივაციის ზრდისა და პროფესიული განვითარების მექანიზმებს. ადმინისტრაციის პერსონალის განვითარებისთვის ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი. პერსონალის განვითარება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს: კვალიფიკაციის ტრენინგი, სასწავლო კურსი, დარგობრივი უნარების განვითარების მიზნით საწარმოში ვიზიტები, კონფერენციებსა და გამოფენებში მონაწილეობა და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ინტერვიუირებით დადგინდა რომ საანგარიშო პერიოდში დაწესებულების თანამშრომლებს კვალიფიკაცია ამაღლებული აქვთ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კვლევის ფარგლებში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. ყველაზე მეტი ოდენობით კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

გავლილი აქვთ: ხარისხის მართვის მენეჯერს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.

აღსანიშნავია, რომ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას კოლეჯი ითვალისწინებს ყოველი წლის სამოქმედო გეგმაში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას, რისი საჭიროების გამოვლენის მიზნით კოლეჯი ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭიროებათა კვლევას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებას, რომლის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება. გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე: კოლეჯში იგეგმება:სწავლების და შეფასების მეთოდებზე კონსულტაცია; სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს მასწავლებელთა ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ტრენინგებზე, მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვა.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების, უკუკავშირის მიღების, დამუშავებისა და რეაგირების მექანიზმის“ თანახმად, ხორციელდება მასწავლებელთა გამოკითხვა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი რომლის საფუძველზეც ის აფასებს საკუთარ თავს და აფიქსირებს განვითარების საჭიროებებს. წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ გავლილი ტრენინგების ჩამონათვალი, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავია. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები როგორც სწავლებასა და შეფასებაში, ასევე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები დარგის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს დამტკიცებულ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დაწესებულებამ გაითვალისწინა და ასახა ის ფაქტი, რომ 2026 წლიდან ძალაში შედის ,,პროფესიული განათლების მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის N162/ნ ბრძანება და პოლიტიკის დოკუმენტით განსაზრვრულია, რომ მასწავლებელთა შიდა შეფასება განხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დარგობრივი კომპეტენციების შეფასებას - პროფესიის სტანდარტის საფუძველზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

კოლეჯის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დასაქმების პოლიტიკის ეტაპებია: ადამიანური რესურსის საჭიროების დადგენა; კვალიფიციური კანდიდატების მოზიდვის უზრუნველყოფა; კვალიფიციური კადრების შერჩევა; ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია.

კოლეჯი ახალ თანამშრომლებს სამუშაო გარემოში ადაპტაციის მიზნით სთავაზობს საორიენტაციო პროგრამას, რაც გულისხმობს: ახალი თანამშრომლის წარდგენას კოლეჯში დასაქმებულ პერსონალთან ; ახალი თანამშრომლისთვის, სამუშაოა ადგილს, კოლეჯის მისიის, ხედვის, მიზნების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების, აგრეთვე შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული შიდა სამართლებრივი აქტების, მათ შორის, შინაგანაწესის და ეთიკის კოდექსის გაცნობას, მისი პოზიციის შესაბამისად; კოლეჯის სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსისა, სხვა დამხმარე შენობებისა და არსებული რესურსების გაცნობა, მისი კომპეტენციის ფარგლებში; კოლეჯის საგანმანათლებლო პოლიტიკას მისი კომპეტენციის ფარგლებში და ურთიერთობის კულტურის გაცნობას; შიდა სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მისი კომპეტენციის ფარგლებში. თანამშრომლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული არიან ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესში.

ვიზიტის პროცესში შედგა ინტერვიუ ადმინისტრაციის ახალ თანამშრომელთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან (ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა) რომლებმაც ისაუბრეს იმ მხარდამჭერ ღონისძიებებზე რაც მათ დაწესებულებისაგან მიიღეს სამუშაოს დაწყების პირველ ეტაპზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუსავებული აქვს სპეციალური ჟურნალი - ახალი თანამშრომლებისთვის კოლეჯის გარემოს გაცნობის ჟურნალი, სადაც თანამშრომელი ადასტურებს მიღებულ მხარდაჭერას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: კოლეჯში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა მათი პროფესიული შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოვლენისთვის; კოლეჯში დასაქმებულ პირთა ინოვაციური იდეების და ინიციატივების გამოვლენისა და განხორციელების ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნის დადასტურების მტკიცებულებად წარმოდგენილია სამსახურებრივი ბარათები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგებზე მივლინებასთან დაკავშირებით და მათი დაკმაყოფილების მტკიცებულებები.

ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს ჩართოს თანამშრომლები ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა თუ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა თუ დარგობრივი კომპეტენციების ასამაღლებელ შეხვედრებში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' პერსონალის მართვის პოლიტიკა“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 10 თებერვლის № 19 ,,ო'' ბრძანება;
- ,,კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების, უკუკავშირის მიღების,დამუშავებისა და რეაგირების მექანიზმი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისისი N 31,,ო“ ბრძანებით;
- თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების კვლევის კითხვარი და კვლევის შედეგები -სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი"-ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კითხვარის შედეგის ანალიზი
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი და თვითშეფასების დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- ანკეტები მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად;
- სსიპ კოლეჯ ერქვანის პერსონალის მიერ გავლილი ტრენინგები/კვალიფიკაციის ამაღლება
- სსიპ კოლეჯ ერქვანის პროფესიული მასწავლებლების მიერ გავლილი ტრენინგები/კურსები;
- კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიშები;
- ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის ფორმა;
- სამსახურებრივი ბარათები; ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მივლინების ბრძანებები; შიდა სამუშაო შეხვედრების მტკიცებულებები;
- ახალი თანამშრომლებისთვის კოლეჯის გარემოს გაცნობის ჟურნალი;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“- მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება,
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ერქვანის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის 122/ნ ბრძანების თანახმად, კოლეჯის იურიდიული მისამართია ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ N10. გარდა ამისა, 2017 წლს კოლეჯს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული აქვს ფართი მისამართზე - ქ. ამბროლაური გურგენიძის ქ N10, სადაც განთავსებულია სამშენებლო მიმართულების პროგრამების სასწავლო ფართები (შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წელს და სასწავლო პროცესი აღნიშნულ მისამართზე დაიწყო 2022 წელს). საკუთრების უფლება დასტურდება საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერებით. შესაბამისად, კოლეჯი საქმიანობას წარმართავს ორ მისამართზე.

დაწესებულების ფართების აზომვითი ნახაზების ანალიზითა და შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია შემდეგი ფართების არსებობა:

ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ N10 - სასწავლო ფართები: 5 - A/B გარემო, 2 A გარემო, დარგობრივი სპეციფიკის G გარემო (ელექტროობის პროგრამისთვის), ბიბლიოთეკა/ სამკითხველო დარბაზი, სივრცე არქივისთვის, სივრცეები ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვის, მედ. პუნქტი, კვების სივრცე, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია, საწყობი, 2 სანიტარიული კვანძი, მათ შორის, შშმ პირთათვის ადაპტირებული, ფოიე- სივრცე სტუდენტებისთვის.

ქ. ამბროლაური გურგენიძის ქ N10 - 2 თეორიული სწავლების აუდიტორია, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი 2 სახელოსნო, სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისათვის, 4 სანიტარიული კვანძი, მათ შორის, შშმ პირთათვის ადაპტირებული, ფოიე, დერეფნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ორთავე მისამართზე შენობა ადაპტირებულია. ძირითადი შენობა არის ორსართულიანი და შენობაში არის ლიფტი შშმ პირთა გადაადგილების მიზნებისთვის.

ყველა ფართი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება ბალანსზე რიცხული მატერიალური რესურსის ჩამონათვალითა და შესყიდვების დოკუმენტაციით.

საჯარო რეესტრის ამონაწერების თანახმად, ორთავე მისამართზე კოლეჯი ფართებს და სასოფლო სამეურნეო მიწებს ფლობს უვადოდ. გამონაკლისია გურგენიძის ქუჩაზე 200 კვ. მ (ამონაწერი - N 86.19.23.040) 99 წლის ვადით (გურგენიძის ქ. №10 – 2000 კვ. მ.)

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“. მატერიალურ ფასეულობებზე (უძრავ-მოძრავი ქონება) პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების კოორდინატორი, რომელიც საქმიანობას წარმართავს აღნიშნული წესისა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობის შესაბამისად.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ, კოლეჯში სწავლის პერიოდში ისარგებლონ კოლეჯის უძრავ-მოძრავი ქონებით სასწავლო მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, სივრცეები განსაზღვრულია სტუდენტურია აქტივობისთვის. ძირითად კორპუსში ფოიეებში მოწყობილია სპეციალური სივრცეები, ხოლო ახალ შენობაში დამოუკიდებელი

მათი საჭიროების შემთხვევაში, მატერიალური რესურსების კოორდინატორი, დროებით სარგებლობის უფლებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს კოლეჯის კუთვნილებაში არსებულ სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ ფასეულობებს. სწავლის დასრულების ან მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული ვადის გასვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შემდგომ, პირები რომლებიც სარგებლობდნენ კოლეჯის მატერიალური ფასეულობებით, ვალდებულნი არიან დააბრუნონ მათზე გადაცემული ფასეულობები დაზიანებების გარეშე იმავე წესით, როგორითაც განხორციელდა გადაცემა.

დაწესებულებას დანერგილი აქვს პროფესიულ სტუდენტებისთვის, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ლეპტოპების გადაცემის პრაქტიკა. მსგავსი პრაქტიკა სხვა დაწესებულებებსაც ჰქონდათ, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში განსხვავებული პრაქტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკაში სპეციალურად აღნიშნული მიზნებისთვის გათვალისწინებულია 10 ლეპტოპი და საშინაო დავალების შესასრულებლად, შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტს გააქვს ლეპტოპი ბიბლიოთეკიდან მსგავსად სასწავლო რესურსისა და აბრუნებს მას დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით თავიანთი კმაყოფილება დააფიქსირეს კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დამლაგებლის 3 საშტატო ერთეული. დამლაგებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით, ჰიგიენური საშუალებების შესყიდვების მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ შენობის ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

ორთავე მისამართზე დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებით და გათბობის საფასურის გადახდის მტკიცებულებებით.

დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ცეცხლფარეშის პოზიცია, რომელიც, სამუშაო აღწერილობის თანახმად, პასუხისმგებელია ზამთრის სეზონზე გათბობის სისტემების გამართულ მუშაობაზე.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის თანამდებობა. აღნიშნულ პოზიციაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კოლეჯს დასაქმებული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პირი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომი- გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი).

დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობის თანახმად, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ძირითადი ფუნქციაა კოლეჯში შრომის პირობების ინსპექტირება, კოლეჯში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემის შემუშავება/დანერგვა/ შესრულების კონტროლი. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის მარეგულირებელი აქტები: მაგ: სამუშაო სივრცეში პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი; სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი და სხვ.

ვიზიტის პერიოდში შედგა ინტერვიუ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, წარმოდგენილია მის მიერ განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები, მათ შორის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ტრენინგების ჩატარების მტკიცებულებები.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა</u>

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შეძენის, შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესი“. ვიზიტის პროცესში შესაბამისი მტკიცებულებების ანალიზისა და პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს გზით გაანალიზდა არსებული პრაქტიკა და დადგინდა, რომ დაწესებულებას ძალიან კარგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

აქვს აწყობილი სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის პროცედურა. წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელისა თუ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მასალა- ნედლეულის მოთხოვნის სამსახურებრივი ბარათები, პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელთა სამსახურებრივი ბარათები მასალა - ნედლეულის, მწყობრიდან გამოსული მატერიალური რესურსის ჩამოწერის თაობაზე, მატერიალური რესურსების კოორდინატორსა და შესაბამის განმახორციელებლებს შორის გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტები, ბუღალტერმა წარმოადგინა ჩამოწერის აქტები.

პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუთი დადასტურებულია რომ კოლეჯში პროცესები მიმდინარეობს დადგენილი წესის შესაბამისად. ელექტროობის პროგრამის სტუდენტები, სამშენებლო მიმართულების პროგრამის კურსდამთავრებულები და პროგრამების განმახორციელებლებიც ადასტურებენ რომ სასწავლო პროცესის მასალა-ნედლეულით მომარაგება მიმდინარეობს შეუფერხებლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კოლეჯში შემუშავებულია ადმინისტრაციული/სამეურნეო საქმიანობის და სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესები. უტილიზაციასთან დაკავშირებით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები: ამბროლაურის მუნიციპალიტეტთან 2025 წლის 11 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების საგანია - ობიექტის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და გატანა ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილზე (ნარჩენების გატანა ხდება მინიმუმ თვეში ორჯერ ან კოლეჯის მოთხოვნის შესაბამისად). ხოლო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან გაფორმებული 2025 წლის 23 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საგანია სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი გახარჯული მასალების (მყარი სამშენებლო ნარჩენები) გატანა (გარდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კოლეჯმა გურგენიძის მისამართიდან, სამშენებლო პროგრამებზე სწავლის დასრულების შემდეგ, გაიტანა სამშენებლო ნარჩენები.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა</u>

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას ხორციელდება ორი გზით. ერთის მხრივ, მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით, კოლეჯში ყოველწლიურად ტარდება ინვენტარიზაცია, რომელსაც ატარებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისია. მტკიცებულებებად წარმოდგენილია საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანებები და კომისიის ოქმები.

კოლეჯში მატერიალური რესურსების მიმართულებით საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე. ხოლო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი პასუხისმგებელია კოლეჯის ქონებაზე და უზრუნველყოფს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაგეგმვას, მომარაგებას, შენახვას, მოვლასა და განახლებაზე. მეორე მხრივ, დაწესებულების მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულებაში მატერიალური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება კოლეჯის რეგულაციებთან დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლს. შემუშავებულია სპეციალური კითხვარები, რომლითაც ხორციელდება თანამშრომელთა, პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლა კოლეჯში მატერიალური რესურსით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია საავტორიზაციო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში მატერიალურ რესურსთან მიმართებით ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემული რეკომენდაციები (მაგალითად- სრულყოფაშია მოსაყვანი სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვის და გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქციის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია) და მათი შესრულების მტკიცებულებები.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა</u>

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ორთავე მისამართზე შენობა-ნაგებობაში გამიჯნულად არის მოწყობილი სანიტარული კვანძები, შესაბამისი მინიშნებებით, მუდმივი წყლით, არის უწყვეტი განათება, ვენტილაცია, შშმ პირთათვის გადაადგილებისა და ადაპტირებული სველი წერტილების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. სველ წერტილებში განთავსებულია ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ინვენტარი და საშუალებები.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა

კოლეჯის ორთავე მისამართზე ყველა სასწავლო ფართს, მათ შორის, ბიბლიოთეკას (სამკითხველო დარბაზით) აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი ფართები, ყველა ოთახს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი და როგორც საგანმანათლებლო ასევე, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები.

სასწავლო და საერთო სივრცეები სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათთვის კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს. ვაჟა ფშაველას მისამართზე ორსართულიან შენობაში არის ლიფტი შშმ პირთა გადაადგილების მიზნებისთვის.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

დაწესებულების ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე. ბიბლიოთეკარს აქვს კოლეჯში ბიბლიოთეკარის პოზიციაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

კოლეჯს შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წესი გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესი შესაბამისად. სასწავლო რესურსის ციფრული რესურსი ჩატვირთულია ნოუბუქებში.

როგორც მეორე ინდიკატორის შეფასებისას აღინიშნა - დაწესებულებას დანერგილი აქვს პროფესიულ სტუდენტებისთვის, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ლეპტოპების გადაცემის პრაქტიკა. მსგავსი პრაქტიკა სხვა დაწესებულებებსაც ჰქონდათ, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში განსხვავებული პრაქტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკაში სპეციალურად აღნიშნული მიზნებისთვის გათვალისწინებულია 10 ლეპტოპი და საშინაო დავალების შესასრულებლად, შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტს გააქვს ლეპტოპი ბიბლიოთეკიდან მსგავსად სასწავლო რესურსისა და აბრუნებს მას დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით თავიანთი კმაყოფილება დააფიქსირეს კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ერქვანის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის 122/ნ ბრძანება;
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან; საკადასტრო გეგმები;
- ბალანსზე რიცხული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- შესყიდვების მტკიცებულებები- სასაქონლო ზედნადებები და მიღება- ჩაბარების აქტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- კომუნალური გადასახადების გადახდის მტკიცებულებები;
- ,,კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ ერქვანის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N 31 ,,ო“ ბრძანება;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანება;
- ,, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს სამუშაო სივრცეში პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი“ სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანება;
- ,,სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი“ სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანება;
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შეძენის, შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესი’’ - კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 16 მაისის N 59 „ო“ ბრძანება;
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ უსაფრთხოების, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის, ადმინისტრაციული/სამეურნეო საქმიანობის და სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესები“ - დამტკიცებულია: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2021 წლის 19 მარტის N 21 „ო“ ბრძანება;
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის’’ პერსონალის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია და ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ ერქვანის დირქეტორის მ/შ 2024 წლის 30 დეკემბრის №165 ,,ო“ ბრძანება;
- შესაბამის პასუხისმგებელ პირთა სამსახურებრივი ბარათები მასალა ნედლეულის მოთხოვნის ან ჩამოწერის თაობაზე;
- ,,სსიპ კოლეჯი ერქვანში 2023 წლის გეგმიური ინვენტარიზაციის და ფინანსური აქტივების (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების შემცირების მიზნით, სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარებისა და საინვენტარიზაციო კომისიის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 23 ოქტომბრის №98 ,,ო“ ბრძანება;
- 2023, 2024 წლების ინვენტარიზაციის ოქმები;
- მასალა-ნედლეულის მიღება - ჩაბარებისა და ჩამოწერის აქტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული 2025 წლის 11 მარის № 6 ხელშეკრულება (ნარჩენების გატანა)
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან გაფორმებული 2025 წლის 23 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება;
- შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან გაფორმებული წყალმომარაგების ხელშეკრულება;
- ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული 2024 წლის 30 ივნისის ხელშეკრულება 517- ½-14 ;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ დამტკიცებულია 2018 წლის 14 მაისის N 26 “ო“ ბრძანებით (ცვლილება - 2020 წლის 17 ივნისის N29 ,,ო’’ ბრძანება)
- სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შენობის დათვალიერების შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დაწესებულების ფართები სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. ორთავე მისამართზე შენობების მდგრადობა დადასტურებულია შესაბამისი საექსპერტო დასკვნებით შენობის ტექნიკური უსაფრთხოების თაობაზე. კერძოდ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 სექტემბრის №500 5266820 კორესპონდენციით წარმოდგენილია საინჟინრო ექსპერტიზის №005403020 დასკვნა კოლეჯის შენობის - მისამართზე ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10 მდგრადობის თაობაზე, ხოლო ამავე უწყების 2023 წლის 15 თებერვლის №5001074323 კორესპონდენციით წარმოდგენილია საინჟინრო ექსპერტიზის №001092523 დასკვნა კოლეჯის შენობის - მისამართზე ამბროლაური, გურგენიძის ქ. №10, მდგრადობის თაობაზე,

დაწესებულების ორთავე შენობაში უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოება. ექსპერტებმა დაათვალიერეს შენობები. თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული საევაკუაციო გეგმები, მანიშნებლები, შენობაში განთავსებულია შესაბამისი სახანძრო ინვენტარი, მათ შორის ცეცხლმაქრები. შსს- ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 12 აპრილის №MIA 7 21 00899526 კორესპონდენციით წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის №47 აქტი (12.04.2021), რომლითაც დადასტურებულია ვაჟა ფშაველას ქ. №10 - ში მდებარე კოლეჯის შენობის შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან. ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 03 ივნისის №MIA 4 22 01477006 კორესპონდენციით წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის №89 აქტი (01.06.2022), რომლის თანახმად, გურგენიძის ქ. №10-ში შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმი. ძირითადი შენობის პირველ სართულზე განთავსებული მედ პუნქტი, რომელიც აღჭურვილია მხოლოდ პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო რესურსით. პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო რესურსი განთავსებულია შენობის სახელოსნოებშიც (გურგენიძის მისამართი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციაში (2021 წლის 19 მარტის N 21 „ო“ ბრძანება) რამდენჯერმე გვხვდება ტერმინი ,,სამედიცინო დახმარება“, თუმცა ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალში არსებული ჩანაწერები, მედდასთან ინტერვიუ ადასტურებს რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მხოლოდ პირველად გადაუდებელ დახმარებას. რეგულაციაში განსაზღვრული აქტივობებიც სრულად შეესაბამება მხოლოდ პირველად გადაუდებელ დახმარებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს არის ტექნიკური შეცდომა და გაასწორებენ მას.

კოლეჯს სტრუქტურით გათვალისწინებულია მედდის პოზიცია, რომელზედაც დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

თვითშეფასების განაცხადით კოლეჯმა წარმოადგინა სსიპ კოლეჯ „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, რომელიც არ არის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა შესაბამისობის გეგმა (სსიპ კოლეჯი „ერქვანი“- მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება). რომლის თანახმად კოლეჯი მაქსიმუმ 6 თვის პერიოდში უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცებას.

შესაბამისად, კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, დაიცვას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა და მაქსიმუმ 6 თვეში უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება.

შესაბამისად, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით, რეგულაციების ანალიზითა და პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კოლეჯი საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას:

ა) ლოკაცია-ვაჟა-ფშაველას ქ. N10 - სამტატო ერთეულით გათვალისწინებული დარაჯები (3 დარაჯი). ასევე შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.

ბ) ლოკაცია-გურგენიძის ქ. N10 - შენობის დაცვა უზრუნველყოფილია დაცვის მომსახურებასთან დაკავშირებით გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. ასევე შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.

სივრცეებში სადაც მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი, გამოკრულია გამაფრთხილებელი წარწერები აღნიშნულის თაობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კოლეჯში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის თანახმად, დღის განმავლობაში მეცადინეობების პერიოდში, პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებას და წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფი და მორიგე მასწავლებელი. აღნიშნული დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებებითა და ინტერვიუთი.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' პერსონალის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია და ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ ერქვანის დირექტორის მ/შ 2024 წლის 30 დეკემბრის №165 ,,ო“ ბრძანება;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 სექტემბრის №500 5266820 კორესპონდენციით წარმოდგენილი საინჟინრო ექსპერტიზის №005403020 დასკვნა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 15 თებერვლის №5001074323 კორესპონდენციით წარმოდგენილი საინჟინრო ექსპერტიზის №001092523 დასკვნა;
- შსს- ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 12 აპრილის №MIA 7 21 00899526 კორესპონდენციით წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის №47 აქტი (12.04.2021);
- შსს- ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 03 ივნისის №MIA 4 22 01477006 კორესპონდენციით წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის №89 აქტი (01.06.2022);
- ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ უსაფრთხოების, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ადმინისტრაციული/სამეურნეო საქმიანობის და სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესები“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2021 წლის 19 მარტის N 21 „ო“ ბრძანებით.
- ,,საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანება;
- **სსიპ კოლეჯი „ერქვანი“- მიერ ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.2.1.(1) და V სტანდარტის 5.1.2.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №N 71 "ო" ბრძანება;**
- დაცვის მომსახურებასთან დაკავშირებით გაფორმებული 2024 წლის 02 იანვრის № 3 ა მომსახურების ხელშეკრულება;
- ,,კოლეჯში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანება;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

კოლეჯში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კერძოდ, კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა გამოყენებულია და სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვისთვის. ინფრასტრუქტურა მოიცავს კომპიუტერულ სისტემებს, ქსელურ რესურსებს, ინტერნეტ კავშირს და სხვა აუცილებელ ციფრულ ინსტრუმენტებს, რომლებიც სწავლებისა და სამუშაო პროცესების გამართულად წარმართვისთვის არის საჭირო. ინტერნეტ მომსახურება უზრუნველყოფილია კომპანია რაჭანეტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. კოლეჯში არის როგორც სადენიანი ასევე უსადენო ინტერნეტ კავშირი. მთელ პერიმეტრზე, მათ შორის ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი, მისაღები და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სივრცეები უზრუნველყოფილია ინტერნეტის უსადენო წვდომის ქსელით (WIFI). უსადენო ქსელის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ქსელის ადმინისტრატორის მიერ.

კოლეჯს ჯამში გააჩნია 154 კომპიუტერი (პერსონალური - 51; ლეპტოპი - 103). აღნიშნული რესურსი საკმარისია პროგრამებზე სწავლების წარმართვისა და ადმინისტრაციული პროცესებისთვის. 10 ლეპტოპი განთავსებულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯის IT ტექნიკის ფლობა დასტურდება ბალანსზე რიცხული რესურსის ჩამონათვალით, იღება-ჩაბარების აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით.

კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია ქსელის ადმინისტრატორის პოზიცია. კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

კოლეჯის დირექტორის მ/შ 2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პროცედურები“. საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც სისტემატურად ამოწმებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაბამისობას კოლეჯში მიმდინარე პროცესებთან და და კვარტალში ერთხელ ანგარიშს წარუდგენს ხელმძღვანელს.

ხელშეკრულება გაფორმებულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირთან, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობისა და IT ტექნოლოგიების მართვასთან დაკავშირებით კოლეჯის პოლიტიკის გათვალისწინებით. აღნიშნული დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითა და პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს გზით.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 28 ნოემბრის N 147 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“. პერსონალურ მონაცემთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დაცვასთან დაკავშირებით კოლეჯმა წარმოადგინა შპს ,,ჯეო სეიფთი“ - სთან გაფორმებული 2025 წლის 27 მაისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (ძალაშია 2025 წლის 01 ივნისიდან). ინფორმაცია კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის არსებობასთან დაკავშირებით დასტურდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ. გვერდის გადამოწმებით. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კოლეჯს დაუკავშირდა ოფიცერი და ჩანიშნულია პირველი შეხვედრა. შესაბამისად, კოლეჯი პერსონალურ მონაცემთა ოფიცრისგან მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, წარმართავს თავის საქმიანობას.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პროცედურები“-ს თანახმად, ქსელის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკისა და პერიფერიული მოწყობილობების გამართულ მუშაობას (როგორც ტექნიკურ ისე პროგრამულ დონეზე). ქსელის ადმინისტრატორი, თანამშრომელთა მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის შესწავლას, ადგენს საჭიროებას ტექნიკის შეკეთების/ახლით ჩანაცვლების შესახებ და წერილობითი სახით წარუდგენს დირექტორს.

კოლეჯის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია უსადენო ქსელი და ქსელის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და დაცულობას, როგორც ტექნიკურ ასევე პროგრამულ დონეზე.

კოლეჯში მოწყობილია ზოგადი სტანდარტის შესაბამისი ქსელი (Router -- ვარსკვლავური ტოპოლოგიის ლოკალური ქსელი). საკაბელო ქსელით დაფარულია კოლეჯის მთელი ტერიტორია. . კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორის მიერ, ყველა კომპიუტერში მოწმდება ანტივირუსული პროგრამების არსებობა და გამართული მუშაობა. უსადენო ქსელის ყველა წერტილი დაცულია უსაფრთხოების შიფრით, რომლის განახლება ხდება თვეში ერთხელ. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორის მიერ ჩატარებული კომპიუტერული ქსელის მონიტორინგი ხორციელდება სისტემატურად. ქსელის მონიტორინგის ამსახველი ჩანაწერები ინახება მონიტორინგის ჩატარებიდან 2 კვირის განმავლობაში მყარ დისკზე.

აღნიშნული დადასტურებულია რეგულაციით, ქსელის ადმინისტრატორთან ინტერვიუთი და შესაბამისი მტკიცებულებებით (სამსახურებრივი ბარათი, ტექნიკის შეკეთების მტკიცებულებები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს გზით, დადასტურებულია რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივ ხელმისაწვდომობას IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაზე. სტუდენტებისათვის გამოყოფილი არის კომპიუტერები, პერიფერიული მოწყობილობები. მათ მუდმივად აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ინტერნეტის როგორც ლოკალური ასევე გლობალური ქსელით (მათ შორის WIFI ქსელით), მუდმივად აქვთ წვდომა მათთვის საჭირო ელექტრონულ რესურსებთან, აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ ელექტრონული სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში და სხვა.

პერსონალს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ლოკალური ქსელის სერვისებით, გაუზიარონ თანამშრომლებს ელექტრონული რესურსები, იმუშაონ კოლაბორაციულ რეჟიმში კოლეგებთან.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

კოლეჯის მიერ შემუშავებულია ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მექანიზმი“, რომლის თანახმად კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ კოლეჯში პერსონალისთვის მოქმედებს დაწესებულების დომენით შექმნილი ელ. ფოსტის მისამართები და პროფესიული სტუდენტებისთვის კი ელ.ფოსტის ერთიანი ჯგუფი. დაწესებულება ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების შემთხვევაში, ასევე სტუდენტზე სტატუსის მინიჭების მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას. სტუდენტების ინფორმირებას სხვადასხვა საკითხებზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და სასწავლო- საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯი ,,ერქვანის'' საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პროცედურები“ სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის მ/შ 2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანება;
- კომპანია რაჭანეტთან გაფორმებული 2025 წლის 27 მაისის №20 ინტერნეტმომსახურების ხელშეკრულება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- ,, სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი''-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 28 ნოემბრის N 147 „ო“ ბრძანება
- შპს ,,ჯეო სეიფთი“ - სთან გაფორმებული 2025 წლის 27 მაისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (ძალაშია 2025 წლის 01 ივნისიდან);
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' პერსონალის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია და ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ ერქვანის დირექტორის მ/შ 2024 წლის 30 დეკემბრის №165 ,,ო“ ბრძანება;
- ქსელის ადმინისტრატორთან ინტერვიუს შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

კოლეჯს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. ბოლო რედაქციით წესი დამტკიცდა 2020 წელს. წესში გათვალისწინებულია ელექტრონული საქმისწარმოების (Eflow) წარმართვა. წესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია საქმისმწარმოებლის პოზიცია. გაწერილია მისი ფუნქცია-მოვალეობები. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა საქმისწარმოება და დადასტურებულია, რომ კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს დადგენილი წესის შესაბამისად.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

კოლეჯში მართვაში გამოიყენება გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. კომუნიკაციისთვის იყენებენ კოლეჯის ელექტრონულ ფოსტას. კოლეჯში საქმისწარმოება ძირითადად ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენებით, შესაბამისი წერილების მიმოცვლის ელექტრონული სისტემის (eflow-ს მეშვეობით, როგორც შიდა ასევე გარე კომუნიკაციის მიზნებისთვის. კოლეჯში შემოსული დოკუმენტების, როგორც ელექტრონულის, ასევე ელექტრონული დოკუმენტების მოძრაობა მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე და საქმეში მოთავსებამდე წარმოადგენს კოლეჯის დოკუმენტბრუნვას.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა ელექტრონული საქმისწარმოება და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2020 წლის 29 ივლისის N 50 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია ,, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ელექტრონული რეესტრის წარმოების წესი“. წესი განსაზღვრავს სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ რეესტრის წარმოების პირობებს, რეესტრში ინფორმაციის შეტანისათვის პასუხისმგებელ სუბიექტს, რეესტრში ინფორმაციის შეტანის, რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილების განხორციელებისა და რეესტრიდან ინფორმაციის ამოღების წესებს. რეესტრში აისახება ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია რეესტრის წარმოების სპეციალისტი, რომლის ფუნქცია - მოვალეობებიც განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობით.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა რეესტრის წარმოება და დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

კოლეჯს საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების წესები და პერიოდები და იცავს მას. კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს (განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა). აღნიშნული დადასტურდება გაგზავნილი კორესპონდენციებით, ანგარიშებით, მოთხოვნილ ინფორმაციაზე დროული უკუკავშირით და სხვ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი''-ს საქმისწარმოებისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ,,eflow'' სისტემით სარგებლობის წესი'' სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი''-ს დირექტორის 2029 წლის 26 თებერვლის № 12 ''ო'' ბრძანება (ცვლილება - 2020 წლის 17 ივნისის N29 ,,ო'' ბრძანება);
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' პერსონალის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია და ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცების შესახებ'' სსიპ კოლეჯ ერქვანის დირექტორის მ/შ 2024 წლის 30 დეკემბრის №165 ,,ო'' ბრძანება;
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი''-ს ელექტრონული რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ'' სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი''-ს დირექტორის 2020 წლის 29 ივლისის N 50 ,,ო'' ბრძანება;
- საქმისწარმოების გადამოწმების შედეგი;
- რეესტრის წარმოების გადამოწმების შედეგი;
- პასუხისმგებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

კოლეჯს აქვს ვებგვერდი www.erkvani.ge და სოციალური ქსელის გვერდი (Facebook - სსიპ კოლეჯი ერქვანი). ვებ. გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, დაწესებულების სტრუქტურა; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; ინფორმაცია პერსონალის შესახებ; ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ; ინფორმაცია კოლეჯში მიმდინარე მთავარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სიახლეების შესახებ; მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები; ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის; პროფორიენტაცია და კარიერა; კოლეჯის პროგრამების კატალოგი.

კოლეჯის ვებ. გვერდს ძალიან კარგი სტრუქტურა აქვს, მაგრამ მასზე ვიზიტის პერიოდში განთავსებული იყო ძალიან დიდი მოცულობის ისეთი დოკუმენტაციაც, რომელიც რეალურად მხოლოდ ავტორიზაციის პროცესისთვის იყოს განკუთვნილი და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის (პროფესიული სტუდენტებისთვის, მშობლებისთვის, დამსაქმებლებისთვის) ძნელად გასაგებია ან საერთოდ არ არის რელევანტური.

კოლეჯის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, რომ ვებ. გვერდზე დოკუმენტაცია განთავსდა, როგორც თვითშეფასების მტკიცებულებები.

რეკომენდებულია კოლეჯმა მიზანმიმართულად გახედოს ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაციის შინაარსსა და ვებ. გვერდზე განთავსდეს დაინტერესებული მხარეებისთვის რელევანტური ინფორმაცია – გამარტივებული და მომხმარებელზე ორიენტირებული ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორიცაა: პროფესიული პროგრამები, მიღების წესები, პრაქტიკის შესაძლებლობები, კარიერული მხარდაჭერა, პარტნიორობა დამსაქმებლებთან და სხვა. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ვებსაიტის როგორც კომუნიკაციის, ისე მარკეტინგული ინსტრუმენტის ფუნქციის გაძლიერებას და მისი გამოყენებადობის გაზრდას ფართო აუდიტორიისთვის.

აღსანიშნავია, რომ ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით ხდება კოლეჯში მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების გონივრულ ვადაში ინფორმირება. კოლეჯი განსაკუთრებით აქტიურად პოზიციონირებს სოციალურ ქსელში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

არ არის გათვალისწინებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

კოლეჯი საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის პროცესს წარმართავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პიარ ჯგუფის მეშვეობით. პიარ ჯგუფი: უზრუნველყოფს კოლეჯის პოპულარიზაციისკენ, კოლეჯის ცნობადობის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას; პასუხისმგებელია კოლეჯის საკომუნიკაციო არხების (კოლეჯის ფეისბუქ გვერდი, ვებ გვერდი) მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე; საჭიროების წარმოქმნისთანავე, რეგულარულად ატარებს სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პიარ ჯგუფს და მოისმინეს ინფორმაცია მათი სამუშაო სტრატეგიების თაობაზე.

ვებ. გვერდისა და სოციალური ქსელის ანალიზით, დადასტურებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

კოლეჯის ვებ. გვერდზე განთავსებულია კატალოგი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ასევე მომზადებისა და გადამზადების პროგრამების თაობაზე. კატალოგში მოცემულია კოლეჯის მოკლე ისტორია, მისი მისია, ხედვა, ღირებულებები, ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა შეფასების წესი თაობაზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კატალოგი ასევე ასრულებს კოლეჯის რეკლამის ფუნქციას, სადაც უახლოეს მომავალში დასამატებელი მოთხოვნადი პროგრამების შესახებ თავსდება ინფორმაცია ანონსის სახით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯი საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სხვადასხვა არხებს, მათ შორის, ვებ. გვერდს, სოციალურ გათვალისწინებული ქსელებს. საჯარო ღონისძიებებს, გარე შეხვედრებს და სხვა. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი ითვალისწინებს უკუკავშირის მიღებასა და უკუკავშირის საქმიანობის საფუძველზე გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებას და დირექტორისთვის წარდგენას

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ფარგლებში კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები, რომლებიც მოიცავს საკითხებს რომლითაც შეფასდება თუ როგორ წარმართავს კოლეჯი საზოგადოებასთან ურთიერთობას. წარმოდგენილია გამოკითხვის მტკიცებულებები. წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და პიარ ჯგუფთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ კოლეჯი ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით, შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზს, კოლეჯის შემდგომი განვითარებისთვისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს პროსერვისთან გაფორმებული 2025 წლის 27 იანვრის №7 ხელშეკრულება (ჰოსტინგთან დაკავშირებით)ჟ
- შპს ,,პროსერვისთან“ გაფორმებული 2025 წლის 01 მაისის №28 ხელშეკრულება დომეინის- erkvani. ge შესყიდვასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- ,,სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი'' საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მექანიზმი“ კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანება;
- ვებ გვერდისა და სოციალური გვერდის დათვალიერების შედგი;
- პიარ ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს შედეგი,

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

- კოლეჯში ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. მათი განმარტებით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ხდება კოლეჯის ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით აქტივობების დაგეგმვა და პირიქით, ახალი მნიშვნელოვანი აქტივობის დაგეგმვის პროცესში ხდება შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობებისა და წყაროების განსაზღვრა. ამგვარად, საერთო ჯამში, სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით და ასევე, გააჩნია საკუთარი სახსრები, მიზნობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები. აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურებისა და შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაცია, სამეურნეო და ინვენტარის შესყიდვების, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ და დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

კოლეჯი უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რაც დადასტურდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და მათი ფინანსური ანგარიშების შესწავლით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მე-9 და მე-2 მუხლების მიხედვით, საბიუჯეტო საჯარო ორგანიზაციებს არ აქვთ პორტალზე ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულება და მათ უნდა უზრუნველყონ საკუთარ ვებგვერდების საშუალებით ანგარიშების საჯაროობა. კოლეჯს საკუთარ ვებგვერდზე ათავსებს კოლეჯის ფინანსური ანგარიშებს.

წარმოდგენილია ბიუჯეტის დინამიკა შემოსავლების წყაროებისა და წლების მიხედვით(2019-2024 წელი, ასევე, პროგრამების მიხედვით შემოსავალი და ხარჯი, განსაზღვრულია პროგრამებზე მინიმალური რენტაბელობის ზღვარი. ავტორიზაციის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაეცნენ დოკუმენტაციას და დეტალები დააზუსტეს დაწესებულების დირექციასთან და ბუღალტერთან ინტერვიუთი.

დაწესებულება ყოველი წლის იანვარში ახორციელებს ანგარიშის წარდგენას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად კოლეჯი გეგმავს შემდეგი წლის აქტივობების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავებას და ყოველი წლის ივლისში წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბიუჯეტის პროექტს იმ მოცულობით, რომელიც დასტურდება წინა წლების ფინანსური ანალიზით, რის შემდეგაც სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ყოველი წლის დასაწყისში ხდება მისი დამტკიცება.

წარმოდგენილი ტკიცებულებებით და ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025-2028 წლების საპროგნოზო ბიუჯეტი
- 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი
- ბიუჯეტის დინამიკა შემოსავლების წყაროებისა და წლების მიხედვით ლარში 2019-2024 წელი;
- კოლეჯის 2025 წლის ბიუჯეტი წლების ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**ელექტროობა**
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11 ივლისი 2018 წ. ბრძანება N54 „ო”
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	12
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

III. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ 2018 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტროობა“ (მესამე დონე), რომელიც სრულ შესაბამისობაშია როგორც დაწესებულების მისიასთან, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითად მიმართულებებთან.

კოლეჯის მისიაა უზრუნველყოს ბენეფიციარებისთვის პროფესიის დაუფლების, შეცვლის ან კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად. ეს ხელმისაწვდომია ყველა ასაკის ადამიანისთვის, კოლეჯის მრავალპროფილურობისა და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მისია ეფუძნება პრინციპს პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე წარმატებული დასაქმებისათვის და მიზნად ისახავს წვლილის შეტანას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია, რომ საინჟინრო მიმართულებები, მათ შორის ელექტროობა, წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. გეგმა ეფუძნება, როგორც კოლეჯის შიდა კვლევებს, ისე სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ბაზრის ანალიზებს, რაც ადასტურებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე ელექტრიკოსებზე მაღალი მოთხოვნის არსებობას.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი მშენებლობები მიმდინარეობს – მათ შორის ტურისტული ობიექტების განვითარება, საცხოვრებელი სახლების განახლება და ენერგეტიკული ქსელების მოდერნიზაცია – რაც ქმნის მზარდ საჭიროებას კვალიფიციურ ელექტრიკოსებზე. ეს მონაცემები ემყარება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

როგორც კოლეჯის შიდა დაკვირვებებს, ისე ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ჩატარებულ კვლევებს, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე საკონსულტაციო კომპანია ACT-ის მიერ ჩატარებულ ანალიზებს.

საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ,,ელექტროობა" შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტებში როგორც პროფესიული, ისე ტრანსფერული საკვანძო კომპეტენციის განვითარებას, რაც ზრდის მათ დასაქმების უნარიანობას. დასაქმების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა 63, 15% დასაქმდა პირდაპირ პროფესიით, ხოლო დანარჩენებმა მიღებული უნარები წარმატებით გამოიყენეს სხვა სექტორებში.

გარდა ამისა, კოლეჯი „ერქვანი" არის ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის როლს რეგიონში ადგილობრივი კადრების გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების შექმნაში. კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალურ სტატუსს ატარებს და არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სხვა ქალაქების რესურსებით. შესაბამისად, პროგრამის ხელმისაწვდომობა პირდაპირ უკავშირდება რეგიონიდან მიგრაციის შემცირებასა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" განხორციელება ეფუძნება დეტალურად განხილულ და მრავალმხრივად დადასტურებულ დასაბუთებას, რომელიც სრულად შეესაბამება როგორც კოლეჯის მისიას, ასევე მის სტრატეგიულ განვითარების გეგმას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება – სრულად შეესაბამება ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა, განსაზღვრულ დაშვების წინაპირობას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ჩარიცხვის პროცედურა ეფუძნება კოლეჯის შიდა რეგულაციით განსაზღვრულ შერჩევის წესს, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს.

კოლეჯის შიდა რეგულაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, აპლიკანტთა შერჩევა ხდება მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე და ითვალისწინებს იმ პირების მიღებას, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის ეფექტურად ათვისებისთვის საჭირო წინარე ცოდნა და უნარები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა და შერჩევის პროცესის ორგანიზებული მართვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამის განხორციელების ვადაში სტუდენტები აღწევენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს დადგენილი შიდა რეგულაციისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს შესაბამისად.

კოლეჯს დამტკიცებული აქვს „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც თავდაპირველად მიღებულ იქნა დირექტორის 2019 წლის 14 მარტის №01-10 ბრძანებით და შემდგომში განახლდა 2024 წლის 21 ნოემბრის №01-63 ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგია ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს სხვადასხვა კრიტერიუმებს, მათ შორის:

- სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (სივრცე, აღჭურვილობა, ინვენტარი);
- ადამიანური რესურსის რაოდენობასა და კვალიფიკაციას;
- პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და გამოყენებულ სწავლების მოდელებს;
- სასწავლო გეგმის მოცულობას და ხანგრძლივობას;
- საპროგნოზო ბიუჯეტის ფარგლებში რენტაბელობის მაჩვენებელს;
- პროგრამის მოთხოვნადობასა და შრომის ბაზრის შესაბამისობას.

პროგრამა „ელექტროობა“ ხორციელდება კოლეჯის მისამართზე: ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10, სადაც ფუნქციონირებს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კერძოდ, გამოყოფილია ერთი სასწავლო (A/B) გარემო და ასევე (C) გარემო, რაც სრულად აკმაყოფილებს ზემოხსენებულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე განსაზღვრულია **პროგრამაზე ზღვრული სტუდენტთა ოდენობა, რაც შეადგენს 12 სტუდენტს**. ეს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს:

- თითოეული სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სამუშაო ადგილი;
- სასწავლო გარემო აკმაყოფილებს პრაქტიკული სწავლების უსაფრთხოების და ხარისხის სტანდარტებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- მასწავლებელთა რაოდენობა (6 პროფესიული განათლების მასწავლებელი) იძლევა შესაძლებლობას ეფექტურად განხორციელდეს სწავლება ჯგუფში.

ექსპერტების მხრიდან შეფასდა ზღვრული ოდენობის ფარგლებში შესაბამისი დოკუმენტაცია, არსებული ინფრასტრუქტურა, მასალები, სასწავლო პროცესის სპეციფიკა და დადასტურდა, რომ მოთხოვნილო კვოტა სრულად შეესაბამება პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისათვის არსებულ რესურსებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელებას იმ რესურსებით, რომლებიც სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო შედეგებს. პროგრამას თან ერთვის დეტალური ჩამონათვალი ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსისა, რომლებიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით და შიდა რეგულაციებით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დამტკიცებულია, შიდა რეგულაციით განსაზღვრული პირის- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

პროგრამის დამტკიცება განხორციელდა 2018 წლის 11 ივლისს, ბრძანება №54-ო. (ცვლილებები - N72 „ო“ 24.05.2019; N94 „ო“ 12.11.2021; N95“ო“ 5.08.2024; N101 „ო“ 24.11.2021; N25“ო“ 21.02.2025).

აღნიშნული პროცედურა ეფუძნება სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის №16-ო ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგიას, რომელიც არეგულირებს პროგრამების შიდა მმართველობით დამტკიცებას.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს და არ შეიცავს დამაბნეველ ან შეცდომაში შემყვან ფორმულირებებს.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური ელექტრიკოსი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შესაბამისი უნარები და ცოდნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და შეძლებს შრომის ბაზარზე ინტეგრირებას. პროგრამა მოიცავს ზოგად კომპეტენციებსა და საკვანძო უნარის განვითარებას, რაც კურსდამთავრებულს დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში ცვლილება არ განხორციელებულა და ის, მიმდინარე პერიოდის ჩათვლით, უცვლელად გამოიყენება ყველა ოფიციალურ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სასწავლო დოკუმენტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარსს, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ადეკვატურად ასახვას და არ ქმნის შეცდომაში შემყვან ან არაზუსტ წარმოდგენას პროგრამის შინაარსზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები რეგულირდება 2021 წლის 16 მარტის №16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - ,,ელექტროობა“. ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ კომპონენტებს და წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს.

პროგრამით დეტალურად გაწერილია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მისაღწევი სწავლის შედეგები; სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების ფორმები, მოცულობა და ხანგრძლივობა.

საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, მათ შორის: პროგრამის ძირითად დოკუმენტს; მოდულებს (ზოგადი, პროფესიული, ქართული ენის მოდულებს); სასწავლო გეგმას (მათ შორის ქართული ენა A2); ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ; სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსთა ჩამონათვალს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის შიდა მეთოდოლოგიის დაცვით და სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კუთხით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „აპლიკანტთა შერჩევის წესი“ - სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“ დირექტორის ბრძანება N 56 ,, ო ‘’ 12. 08. 2021 წ;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ.20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა - დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 11 ივლისს, ბრძანება №54 ,,ო“ (ცვლილებები - N72 „ო“ 24.05.2019; N94 „ო“ 12.11.2021; N95“ო“ 5.08.2024; N101 „ო“ 24.11.2021; N25“ო“ 21.02.2025)

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელებას უზრუნველყოფს მის მფლობელობაში არსებულ შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე დაყრდნობით. კოლეჯს გააჩნია ორი ტიპის სასწავლო გარემო: თეორიული სწავლებისთვის (A/B გარემო) და პროფესიული უნარების პრაქტიკული განვითარებისთვის სპეციალიზებული სამუშაო სივრცე (C გარემო), რომლებიც სრულად აღჭურვილია მოდულებით განსაზღვრული პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად. გათვალისწინებულია სტანდარტის მოთხოვნა 1 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 3 კვ.მ.

კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე, სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების განახლებაში.

მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში — მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას.

ვიზუალური დათვალიერებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დანართი N1 – „პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ“ დასტურდება, რომ ყველა საგანმანათლებლო სივრცისა და ინვენტარის არსებობა. მათ შორის:

- ელექტრო ინსტალაციის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ელექტრო ფარებით, ამძრავებითა და ელექტრონული მოწყობილობებით;
- სამუშაო სტენდები და დიაგნოსტიკის ხელსაწყოები სხვადასხვა ტიპის ელექტროსისტემების ტესტირებისთვის;
- ინდივიდუალური სამუშაო კუთხეები პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო და ხარისხიან პრაქტიკულ საქმიანობას;
- ინტერნეტზე ხელმისაწვდომი რესურსები და ელექტრონული სასწავლო მასალები, რომლებიც დამატებით უწყობენ ხელს ცოდნის გაღრმავებას.

მატერიალური რესურსების ფლობის მტკიცებულებად წარმოდგენილია ბალანსზე რიცხული რესურსის ჩამონათვალი და შესყიდვის მტკიცებულებები.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 12 სტუდენტს, შეეფერება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამით სულ გათვალისწინებულია 6 განმახორციელებელი. 3 (სამი) დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც შეესაბამება მიმდინარე ნაკადების მოცულობასა და აკადემიური პროცესის საჭიროებებს. ზოგადი მოდულების ფარგლებში ასევე, დასაქმებულია შესაბამისის კომპეტენციების მქონე 3 მასწავლებელი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოდულების ნაწილი ხორციელდება კოლეჯის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის საჭირო შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციით.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ასევე, გამოიკვეთა, რომ პროფესიული მოდულის ყველა განმახორციელებელს შეუძლია ყველა მოდულის წარმართვა, რაც არ არის ასახული პროგრამის №2 დანართში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი დარგის ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასებისა და სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი„ - საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ კი - უკვე პროგრამის განვითარების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში, დადგენილი წესის შესაბამისად. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან ფორმებს, მაგალითად, ელექტრონობის მოდულში „ელექტრული გაყვანილობა და მონტაჟი“ მასწავლებელი უშუალოდ აცნობს პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის სქემებს და რეალურ სამუშაო პირობებში მათი გამოყენების სპეციფიკას, რასაც მოსდევს პრაქტიკული სამუშაო კონკრეტულ სამუშაო მაგიდებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასების მიდგომები: შეფასება ხორციელდება დაგეგმილი სისტემით. მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების მიზნებისთვის იყენებენ როგორც ფორმალურ (ქულებით შეფასება), ასევე არაფორმალურ მიდგომებს (ზეპირი უკუკავშირი, ყველა ძირითადი მოდულისთვის შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს ცხადად განსაზღვრულ კრიტერიუმებს – მაგალითად, ელექტრო უსაფრთხოების მოდულში შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია სტუდენტის მიერ შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენების სიზუსტე, უსაფრთხოების წესების ცოდნა და ტექნიკური დიაგნოსტიკის უნარი.

აღნიშნული მიდგომები ასახავს მასწავლებელთა პროფესიულ სიძლიერეს არა მხოლოდ შინაარსობრივი ცოდნის, არამედ სწავლების და შეფასების თანამედროვე პრინციპების კუთხითაც. მათი მონაწილეობა შიდა სამუშაო შეხვედრებში, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების განვითარებასა და გაზიარებულ პრაქტიკაში, ასევე უზრუნველყოფს გამოცდილების სისტემურ გაზიარებას და ერთგვაროვან მიდგომებს სასწავლო პროცესში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დოკუმენტებით და გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მისი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია 2020 წლის 19 ივნისის №35 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები“.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს ელექტროობის სფეროში შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და გააჩნია პროფესიული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან მართვას, ისე პროგრამის სტრატეგიულ განვითარებას. მისი ჩართულობა თვალსაჩინოა შემდეგ მიმართულებებში: პროფესიული სტანდარტის საფუძველზე პროგრამის შინაარსობრივი დაგეგმვა, მოდულების პერიოდული გადახედვა, შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაცია და შიდა საკოორდინაციო სამუშაოებში მონაწილეობა. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი ჯგუფის საქმიანობაში, რაც ადასტურებს მის ინტეგრირებულ როლს კოლეჯის პროფესიულ განათლებაში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

გაზიარებული დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში. გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები პრაქტიკაში იყენებენ დამატებით რესურსებს — მათ შორის რიდერებს, ჰენდაუთებსა და დამხმარე მასალებს,. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ძირითადი ბეჭდური რესურსები. მიუხედავად სივრცის სიმცირისა, შექმნილია ინდივიდუალური მუშაობისთვის საჭირო პირობები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებს ნოუთბუქებით, რომლებიც რეგისტრირებულია როგორც სახელმძღვანელოს ტიპის რესურსი. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ტექნიკის დროებით სარგებლობა, რისი აღრიცხვაც ხდება შესაბამის ჟურნალში. საგანმანათლებლო რესურსები – როგორც დოკუმენტურად განსაზღვრული, ისე პრაქტიკაში გამოყენებული – სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ელექტროობის პროგრამაზე კოლეჯს სსსმ სტუდენტი არ ჰყოლია, თუმცა არსებობს პრაქტიკა სხვა პროგრამის ფარგლებში, რაც საჭიროების გათვალისწინებით, გადმოტანილი იქნება ელექტროობის პროგრამაზეც.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ხოლო შემდეგ ადგილზე ვიზიტისას, გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) მქონე პროფესიულ სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათ შორის ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო გარემო.

სსსმ სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი საპასუხო მექანიზმების გამოყენება ხორციელდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე. კერძოდ, დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანებით №16 „ო“ დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესს და არეგულირებს როგორც ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, ასევე მის მონიტორინგსა და შეფასებას.

დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ მექანიზმის „ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“ შესაბამისად გუნდის შექმნა ხდება მაშინ, როცა კოლეჯში ჩაირიცხება სსსმ/შშმ პირი. გუნდი უფლებამოსილია სსსმ/შშმ სტუდენტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას აქტიურად დააკვირდეს და მიიღოს გადაწყვეტილებები, თავად პროფესიულ სტუდენტთან ან/და კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდამჭერი მომსახურეობის შესახებ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, პროგრამა რენტაბელურია 6 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით
- ბიბლიოთეკის დებულებით
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით
- პროგრამის ბიუჯეტით
- ვიზუალური დათვალიერებით
- შესაბამის პასუხისმგებელ პირთა სამუშაო აღწერილობებით
- ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. დადასტურებულია, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად.

კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, და სხვა დაინტერესებულ პირებს. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამის დამტკიცების შემდეგ, ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 24 მაისს N27 „ო“ ბრძანებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა დეტალური სფეროს კოდი 0713; ასევე, N94 „ო“ 12.11.2021 ბრძანებით პროგრამაში განხორციელდა ტექნიკური ცვლილებები, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე; ცვლილება განხორციელებულია კვირეული საათობრივი დატვირთვის ცვლილების მიზნით, დირექტორის N95 “ო” 5.08.2024 წლის ბრძანებით; ბოლო ცვლილება განხორციელდა მიმდინარე წლის 21 თებერვალს, N 25 “ო“ ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს. შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განხორციელებულ ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ასევე, გასაუბრებით დასტურდება, რომ გარკვეული დამატებითი აქტივობები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების მხრიდან გაკეთებულა, როგორიცაა, მაგალითად: სწავლის მეთოდების შეცვლა აუდიტორიის შესაბამისად, შეფასების კუთხით სწავლის შედეგების გაერთიანება და შეფასების მეთოდების ურთიერთ-ინტეგრირება, საგანმანათლებლო რესურსების დამატება ჰენდაუთების სახით, რომელიც მათი ორგანიზებით მიეწოდება პროფესიულ სტუდენტებს, თუმცა აღნიშნული ცვლილებები სისტემური ფორმით პროგრამაში არ განხორციელებულა და ის მიმდინარე სასწავლო პროცესის მახასიათებელია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძნებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“
- დაწესებულების მიერ გაზიარებული პროგრამის შეფასების ფორმა
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით № 19 ,,ო’’ 10 თებერვალი 2025 წ დამტკიცებული -პერსონალის მართვის პოლიტიკა
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ -ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა - დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 11 ივლისს, ბრძანება №54-ო. (ცვლილებები - N72 „ო“ 24.05.2019; N94 „ო“ 12.11.2021; N95“ო“ 5.08.2024; N101 „ო“ 24.11.2021; N25“ო“ 21.02.2025)
- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №54“ო“ ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება №25“ო“ 21.02.2025 ბრძანებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა” პაკეტი მოიცავს ძირითად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს (დამოუკიდებელი საათების ჩათვლით). დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან, კერძოდ: ადგილზე ვიზიტისას ექსპერტები დაესწრნენ ელექტროობის მოდულის („ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“) სასწავლო პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა სასწავლო, ასევე, კალენდარული გეგმის შესაბამისად. მეცადინეობა წარიმართა დემონსტრირების მეთოდით. განმახორციელებელ პირს წინასწარ მომზადებული ჰქონდა შესაბამისი საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაკვეთილის დასაწყისში ჩატარდა წინა თემის რეფლექსია და გაცემული იქნა დამატებითი ინსტრუქციები უსაფრთხოების წესების შესახებ.

სასწავლო პროცესი წარიმართა მაღალ დონეზე და სრულად შეესაბამებოდა სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და მიზნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

- სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას.
- სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს. პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს აძლიერებს. სიმულაციური სწავლებისას ხდება იმიტირებული სამუშაო გარემოს გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, ასევე დარგის შესაბამის ხელსაწყო დანადგარებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის სისტემურ უზრუნველყოფაზე.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია მორგებულია აუდიტორიას და მისი წარმართვა ხდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს სხვადასხვა მიზნობრიობით, რაც სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესში ზრდის.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

კოლეჯში დამკვიდრებულია ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების პრაქტიკა. სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგ გარემოებებში:

- როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ვერ ხორციელდება ძირითადი სასწავლო გეგმით;
- შშმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინების მიზნით;
- სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებისას სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- მობილობის განხორციელებისას;
- წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისას;
- ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

ადგილზე ვიზიტისას, ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ამოქმედების პრაქტიკას. კერძოდ, 2024 წლის გაზაფხულის მიღების ჯგუფის ორი სტუდენტი, საკუთარი განაცხადის საფუძველზე, გადავიდა შემოდგომის მიღების ჯგუფში სტატუსის შეჩერებისა და მობილობის გზით. ამ პროცესის ფარგლებში, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის N37“კ” ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა სტუდენტთა განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება დადგენილი ვადების დაცვით.

კომისიამ უზრუნველყო:

- სტუდენტების მიღებული განათლების შეფასება;
- საჭიროების შემთხვევაში, ფორმალური განათლების აღიარება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით.

ექსპერტების მიერ, ადგილზე ვიზიტისას შესწავლილი მასალებისა და მხარეებთან კომუნიკაციის საფუძველზე, დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შინაარსი შეესაბამება სტუდენტთა მიზნებს, ხოლო მათი გამოყენების პროცესი — რეგულაციის მოთხოვნებს. სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უკუკავშირი ადასტურებს, რომ მობილობისა და ინდივიდუალური მიდგომების განხორციელება ხდება ეფექტურად და ადეკვატურად, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს და სტუდენტების წარმატებულ აკადემიურ წინსვლას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

დაწესებულების მიერ მოწოდებული თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელების ფორმა თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც კოოპერაციული სწავლება. პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხილის გადამამუშავებელ საწარმოსთან — შპს „გეო-ფლაუერი“.

თუმცა, ექსპერტთა ვიზიტისას შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში სტუდენტების ჩართვა ხორციელდება მხოლოდ მოდულ „გაცნობითი პრაქტიკის“ ფარგლებში. კერძოდ, ორგანიზებულია ერთჯერადი ვიზიტი საწარმოში, რომლის მიზანია ორგანიზაციული სტრუქტურის და საწარმოს საქმიანობის ზედაპირული გაცნობა. სასწავლო პროცესის-წარმართვა საწარმოს ბაზაზე არ ხორციელდება. დაგეგმილი სასწავლო ექსკურსია არ ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას საწარმოს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში, რაც გამორიცხავს კოოპერაციული სწავლებისათვის აუცილებელ კომპონენტებს — პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში, განმეორებადობასა და თანმიმდევრულობას.

შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განხორციელების ფორმა წარმოადგენს იმიტირებულ გარემოში ჩატარებულ სასწავლო პროცესს, ხოლო მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობა ამ ეტაპზე მოიცავს მხოლოდ გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობას. აღნიშნული პრაქტიკის ფორმატი სტუდენტს გარკვეულწილად აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს ზოგადი წარმოდგენა რეალურ საწარმოო გარემოზე, თუმცა ვერ უზრუნველყოფს დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარებას იმ სიღრმითა და ინტენსივობით, რაც კოოპერაციული სწავლებისთვის არის აუცილებელი.

აღნიშნულ საკითხზე კოლეჯის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრისას მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არსებული პრაქტიკის აღწერის საფუძველზე პროგრამის განხორციელების ფორმად შეფასებულ იქნებოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

იმიტირებულ გარემოში განხორციელებული სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს. შესაბამისად, მოცემული შეფასება არ მიუთითებს პროცესის დარღვევაზე, არამედ უკავშირდება მხოლოდ პროგრამის განხორციელების ფორმის შინაარსობრივ შესაბამისობას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესი ხორციელდება კოლეჯი „ერქვანი“-ს ბაზაზე, კერძოდ — A/B და C სასწავლო გარემოებში, მისამართზე: ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ სასწავლო სივრცე შეესაბამება უსაფრთხო სამუშაო გარემოს მინიმალურ სტანდარტებს და სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. დაწესებულება ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ნოემბრის №82 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები“, რომელიც მკაფიოდ აღწერს უსაფრთხოების წესებს C ტიპის გარემოში მუშაობისთვის.

ვიზიტისას ექსპერტებმა დააკვირდნენ სასწავლო პროცესს C გარემოში, სადაც სასწავლო პროცესის დაწყებამდე განმახორციელებელმა პირმა სტუდენტებს გააცნო უსაფრთხოების ზოგადი წესები, მათ შორის — კრიტიკული მინიშნებები და უშუალოდ სამუშაო პროცესის დაწყებისას ჩაატარა შესაბამისი ინსტრუქტაჟი კონკრეტული დანადგარების გამოყენებასთან დაკავშირებით. სასწავლო გარემოში განთავსებული იყო შესაბამისი ვიზუალური ინსტრუქციები და უსაფრთხოების ნიშანი. დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემოში. როგორც დოკუმენტური წესრიგი, ისე პრაქტიკაში დაცული სტანდარტები სრულად პასუხობს პროგრამის სპეციფიკას და პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს ქმნის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ელექტროობა
- კალენდარული გეგმები
- -„ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ (2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანება)
- „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები“ (2020 წლის 3 ნოემბრის №82 „ო“ ბრძანება)
- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასწავლო პროცესზე დასწრებით;
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა სრულად რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურებს, ისე მათი გამოყენების, ადმინისტრირებისა და შემდგომი ანალიზის წესებს.

დოკუმენტის შესაბამისად, შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს;
- შიდა შეფასების მექანიზმებს;
- შეფასების შედეგების გაცნობისა და კომუნიკაციის წესებს;
- აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურებს;
- მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის სტანდარტებს.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ კოლეჯის შეფასების სისტემა რეალურად ფუნქციონირებს და ყველა კომპონენტი პრაქტიკაში ხორციელდება.

შეფასების სისტემა **ვალიდურად** მიიჩნევა, რადგან თითოეული ინსტრუმენტი შეესაბამება იმ კონკრეტულ სწავლის შედეგს, რომლის შეფასებასაც ის ისახავს მიზნად — შესაბამისად, შეფასება ნამდვილად აჩვენებს დასახული შედეგის მიღწევის დონეს.

შეფასება **სანდოა**, ვინაიდან მიღებული შედეგები დამყარდება მტკიცებულებებით — შეფასებული სამუშაოები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მასალა ხელმისაწვდომია და წვდომადია საჭიროების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სისტემა **გამჭვირვალეა**, რადგან შეფასების კრიტერიუმები, პირობები და ვადები წინასწარ არის ცნობილი როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ეს ხელს უწყობს სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას.

შეფასება **სამართლიანად** მიიჩნევა, რადგან ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთნაირი პირობები შეფასებისას — უზრუნველყოფილია შესაბამისი გარემო, საჭირო რესურსები და დროის ფარგლებში გათვალისწინებული თანასწორი შესაძლებლობები.

ასევე, სისტემა არის **ობიექტური**, ვინაიდან ერთნაირი შესრულების შემთხვევაში შედეგების შეფასება ერთნაირია — შეინიშნება შეფასების სტანდარტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა.

შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს — იგი სტრუქტურულად გამართულია, პრაქტიკაში ფუნქციონირებს ეფექტურად და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების რეალურ და სამართლიან შეფასებას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დოკუმენტური ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტანდარტთან შესაბამისობას, ობიექტურობასა და სანდოობას. შეფასების შიდა ვერიფიკაცია რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შემდეგი ბრძანებებით:

- 2020 წლის 16 ივნისის №27 „ო“ ბრძანება — „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- 2020 წლის 15 ივლისის №46 „ო“ ბრძანება — „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ვერიფიკაციის მიზანია შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, მათ შორის გადაწყვეტილებების სისწორის და შეფასების პროცესის ობიექტურობის დადასტურება.

ვერიფიკაციის პროცესი კოლეჯში ხორციელდება შემდეგი სამი მიმართულებით:

- შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია — დასტურდება, რომ ინსტრუმენტები შეესაბამება სწავლების შედეგებს და პასუხობს ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია — შეფასება ხდება სტანდარტის შესაბამისი პროცესის მიხედვით;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია — მოწმდება, არის თუ არა შეფასება გამყარებული ადეკვატური მტკიცებულებებით.

შერჩევის მექანიზმი ეფუძნება რისკების სისტემას, რაც განსაზღვრავს, რომელი მოდულები/პროცესებია ვერიფიკაციის ძირითადი სამიზნე. პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკატორი — შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

ვერიფიკაციის პროცესს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები: ვერიფიკაციის დაგეგმვა; შეფასების დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზი; დასკვნის შედგენა და განხილვა; გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დაწესებულებაში შეფასების პროცესში ჩართული პირები უზრუნველყოფენ პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს შეფასების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და განვითარებას.

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე დადასტურებულია, რომ კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცედურების ხარისხს, გამჭვირვალობასა და სტანდარტთან შესაბამისობას, რაც სრულად შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმები, მათ შორის სტუდენტებთან თუ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით. დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას კოლეჯი სრულად ითვალისწინებს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების დაცვასა და მართვას, რაც ეფუძნება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს“.

მოქმედი წესის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს აუდიტორიაში, პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, მოდულის დასრულებამდე. მოდულზე სწავლების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (წინაპირობის არსებობის შემთხვევაში — ერთ სამუშაო დღეში), მასწავლებელი წარუდგენს შეფასების დოკუმენტაციას (მტკიცებულებებს და ხელმოწერილ უწყისებს) სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.

მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს მტკიცებულებების სრულყოფილებას და შეადგენს შეფასების უწყისების აღრიცხვის ჟურნალს. პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების შემდეგ კი, შეფასების დოკუმენტაცია — მათ შორის მტკიცებულებები და შეფასების უწყისები — გადაეცემა კოლეჯის არქივს. შეფასების მტკიცებულებები ინახება მინიმუმ სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები — მუდმივად.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, უწყვეტ ადმინისტრირებას და ანგარიშვალდებულებას, რაც მტკიცებულებაზე დაფუძნებული ხარისხის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადგენილი პროცესების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები მიეწოდება ინდივიდუალურად, რის შემდეგაც იგი ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტს, რაც ადასტურებს ინფორმირებას, რაც დასტურდება როგორც მოქმედ, ასევე კურსდამთავრებულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ შეფასების გამჭვირვალობასა და სტუდენტზე ორიენტირებულობას, არამედ ქმნის წინაპირობას ინდივიდუალური სწავლის სტრატეგიის დაგეგმვისთვის.

შეფასების შედეგები გამოყენებულია როგორც პროფესიული სტუდენტის აკადემიური განვითარებისთვის, ასევე სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება — მათ შორის მოდულთა თანმიმდევრობის შეცვლა, სწავლების მეთოდოლოგიის გადახედვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა ან დამატება და საგანმანათლებლო რესურსების ოპტიმიზაცია.

აღნიშნული მიდგომა იძლევა სწავლის ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას, ხელს უწყობს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ სწავლას და უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს მხოლოდ მიღწევის დადასტურების მექანიზმი, არამედ განვითარებაზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტი.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“;
- ვერიფიკაციის დოკუმენტები; შეფასების ინსტრუმენტები;
- გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

1.ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	24 მარტი 2021 წ ბრძანება N22 „ო”
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

- **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება კოლეჯი „ერქვანი“, როგორც რეგიონული მნიშვნელობის მქონე ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, თავის საქმიანობას წარმართავს მისიისა და სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად. კოლეჯის მისიაში ხაზგასმულია, რომ იგი ბენეფიციარებს სთავაზობს პროფესიის დაუფლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიის შეცვლის შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის მანძილზე, რათა შეუწყოს ხელი მათი დასაქმების უნარიანობას და ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

2021 წელს კოლეჯმა გადაწყვიტა განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, რაც სრულ თანხვედრაშია როგორც მისიის, ისე სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში გათვალისწინებულ პრიორიტეტებთან. კერძოდ, კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში მშენებლობის მიმართულება განსაზღვრულია, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული, რაც ეფუძნება შიდა და გარე კვლევებს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არსებული კვლევების ანალიზისა და ადგილობრივი შრომის ბაზრის სეგმენტური მოკვლევის საფუძველზე: **რეგიონული საჭიროებების ანალიზი:** რეგიონში – რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – ტურიზმის განვითარებასთან ერთად გაიზარდა ახალი სასტუმროებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ამ ტენდენციამ ბუნებრივად გაზარდა მოთხოვნა თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების სპეციალისტებზე. პარალელურად, გაიზარდა ადგილობრივი მოთხოვნაც – მოსახლეობა აქტიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ემებს ასეთ კვალიფიციურ სპეციალისტებს სახლების შიდა და გარე სივრცეების მოსაწყობად. **ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა:** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2022-2024 წლებში ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზის თანახმად, სამშენებლო სექტორი ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და მაღალანაზღაურებად სექტორად რჩება საქართველოში. ამავე კვლევამ აჩვენა, რომ სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და საშუალო ხელფასი ამ სექტორში ქვეყნის ბიზნეს სექტორის საშუალო მაჩვენებელსაც კი აჭარბებს. **დასაქმების პლატფორმების ანალიზი:** Jobs.ge, hr.ge, cv.ge და სხვა პლატფორმების მონიტორინგმა ცხადყო, რომ მუდმივად არის განთავსებული ვაკანსიები, რომლებიც ითხოვს იმ უნარებს, რასაც აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს. ეს მიუთითებს რეალურ, მტკიცებულებებით გამყარებულ მოთხოვნაზე. **დამსაქმებლების უკუკავშირი და საჭიროებების მოკვლევა:** როგორც კოლეჯის მიერ დამოუკიდებლად, ისე პროფესიული უნარების სააგენტოსა და კომპანია ACT-ის მიერ ჩატარებულ ფოკუსჯგუფებსა და გამოკითხვებში დამსაქმებლებმა პირდაპირ დაადასტურეს, რომ თაბაშირ-მუყაოს მონტაჟის სპეციალისტებზე მოთხოვნა არსებობს და, მათივე შეფასებით, ეს საჭიროება მომდევნო წლებში გაიზრდება. **ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა:** კოლეჯმა 2025 წლის იანვარში დამოუკიდებლად ჩაატარა ადგილობრივი სექტორული მოკვლევა. შედეგებმა ცალსახად აჩვენა, რომ რეგიონში თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტები დეფიციტურია, ხოლო დასაქმებულთა ნაწილს არ აქვს ამ პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაცია. დამსაქმებლების უმრავლესობამ აღნიშნა ახალი კვალიფიციური კადრების საჭიროება. **კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი:** კოლეჯის მიერ განხორციელებული შიდა კვლევის თანახმად, სამშენებლო მიმართულებით კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია ან უშუალოდ ამ პროფესიით, ან მონათესავე პოზიციებზე, რაც მიუთითებს პროგრამის პრაქტიკულ ღირებულებაზე და მის უნარს – აღჭურვოს ბენეფიციარები რეალურად საჭირო უნარებით. **პროგრამის ხელმისაწვდომობა და რეგიონული მნიშვნელობა:** რაჭა-ლეჩხუმი–ქვემო სვანეთი მიგრაციული რეგიონია. კოლეჯი „ერქვანი“ ერთადერთი პროფესიული სასწავლებელია ამ არეალში და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წერტილს, სადაც მოსახლეობას აქვს შანსი ადგილზე აიმაღლოს კვალიფიკაცია. ამასთან, პროფესიული სტუდენტების დიდი ნაწილი სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

და არ აქვს საშუალება სხვა ქალაქებში სწავლა განაგრძოს. შესაბამისად, პროგრამის განხორციელება ეხმიანება რეგიონულ დემოგრაფიულ გამოწვევებსაც.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ განხორციელების გადაწყვეტილება სრულად ეფუძნება მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ანალიზს და შეესაბამება კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და რეგიონულ საჭიროებებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ (დამტკიცებული - 22 მარტი 2021 წ ბრძანება N22 „ო” ბრძანებით) დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის დონესთან (მესამე დონე) და ჩარჩო დოკუმენტთან (მშენებლობის წარმოება), რომელიც წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს.

აპლიკანტთა შერჩევა რეგულირდება: **2021 წლის 12 აგვისტოს დირექტორის N56 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესით**, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 07 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“;

დადასტურებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაცვა და შერჩევის პროცესის ორგანიზებული მართვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამის განხორციელების ვადაში სტუდენტები აღწევენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ზუსტ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას და სტუდენტებისთვის სათანადო საგანმანათლებლო პირობების უზრუნველყოფას.

კერძოდ, პროგრამისათვის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- მოდულის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო (A/B და C) გარემო – სივრცისა და ლოგისტიკის შესაბამისობა;
- პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა სასწავლო გარემოში – რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას პრაქტიკულ სწავლაში;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა (11 პროფესიული განათლების მასწავლებელი) – დატვირთვისა და ხარისხის დაბალანსებული გადანაწილების უზრუნველსაყოფად.

კოლეჯს გააჩნია პროგრამის ხარისხიანად განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ, შესაბამისი სასწავლო გარემო მოწყობილია მისამართზე: **ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. №10**.

პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 15 სტუდენტით, რაც შეესაბამება ერთი სასწავლო ჯგუფისა და ორი (A/B და C) სასწავლო გარემოთა გამტარიანობის შესაძლებლობებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ განხორციელებას იმ რესურსებით, რომლებიც სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო შედეგებს. პროგრამას თან ერთვის დეტალური ჩამონათვალი შესაბამისის საგანმანათლებლო რესურსისა, რომლებიც განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტით და შიდა რეგულაციებით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (№22-ო, 22 მარტი, 2021 წ.)

პროგრამაში ცვლილება რამდენჯერმე განხორციელდა: . 2021 წლის 05 ნოემბრის N90 „ო" ბრძანებით პროგრამაში, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა ,,სამოქალაქო განათლების" ახალი მოდულის დამტკიცებიდან გამომდინარე (გაიზარდა მოდულის კრედიტი). ასევე, პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, მოდულის „სამოქალაქო განათლება" განმახორციელებელმა პირმა მოითხოვა სწავლის შედეგების საათობრივი გადანაწილების ცვლილება, რაც აისახა პროგრამაში (2022 წლის 11 ივლისის N74 „ო" ბრძანება); 2025 წლის 22 თებერვლის №26 ,,ო" ბრძანებით, პროგრამაში აისახა ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდის თაობაზე, ხოლო 2025 წლის 24 თებერვლის №28 ,,ო" ბრძანებით პროგრამამ შეიცვალა განხორციელების მისამართი და განისაზღვრა, რომ ის სრულად განხორციელდება გურგენიძის ქუჩაზე.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - **,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი"** სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს და არ შეიცავს დამაბნეველ ან შეცდომაში შემყვან ფორმულირებებს.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შესაბამისი უნარები და ცოდნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და შეძლებს შრომის ბაზარზე ინტეგრირებას. პროგრამა მოიცავს ზოგად კომპეტენციებსა და საკვანძო უნარის განვითარებას, რაც კურსდამთავრებულს დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში ცვლილება არ განხორციელებულა და ის, მიმდინარე პერიოდის ჩათვლით, უცვლელად გამოიყენება ყველა ოფიციალურ და სასწავლო დოკუმენტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარსს, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ადეკვატურად ასახვას და არ ქმნის შეცდომაში შემყვან ან არაზუსტ წარმოდგენას პროგრამის შინაარსზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო" ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია".

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ,,მშენებლობის წარმოება" (კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში) საფუძველზე. ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ კომპონენტებს და წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს.

პროგრამით დეტალურად გაწერილია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მისაღწევი სწავლის შედეგები; სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების ფორმები, მოცულობა და ხანგრძლივობა.

საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, მათ შორის: პროგრამის ძირითად დოკუმენტს; მოდულებს; სასწავლო გეგმას (მათ შორის ქართული ენა A2 მოდულის);

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციას;
- სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსთა ჩამონათვალს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის შიდა მეთოდოლოგიის დაცვით და სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- 22/03/2021 წლის N22 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ (ცვლილებებით);
- „აპლიკანტთა შერჩევის წესი“ - სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“ დირექტორის ბრძანება N 56 ,, ო ‘’ 12. 08. 2021 წ;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ.20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ქ. ამბროლაურის გურგენიძის ქ. №10 სასწავლო სივრცეში, სადაც მოწყობილია ორი A/B და C სასწავლო გარემო. ფართები აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული ტექნიკური საშუალებებით. C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, რომელიც არის რელევანტური კონკრეტული მოდულების შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია რესურსების ფლობა.

კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების განახლებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში — მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 15 სტუდენტს, შეესაბამება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამით სულ გათვალისწინებულია 11 განმახორციელებელი, მათ შორის - პროფესიული მოდულების 3, ხოლო 8- ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. უნდა აღინიშნოს, რომ მოდულები ხორციელდება კოლეჯის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ მოდულების სწავლებისთვის შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ასევე, გამოიკვეთა, რომ პროფესიული მოდულის ყველა განმახორციელებელს შეუძლია ყველა მოდულის წარმართვა, რაც არ არის ასახული პროგრამის №2 დანართში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი –დარგის ექსპერტის მიერ გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:** პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი - „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“.

პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითარების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

შეფასება ხორციელდება დაგეგმილი სისტემით. მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების მიზნებისთვის იყენებენ როგორც ფორმალურ (ქულებით შეფასება), ასევე არაფორმალურ მიდგომებს მაგ. ზეპირი უკუკავშირი, ყველა ძირითადი მოდულისთვის შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს ცხადად განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

დადასტურებულია, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადგილზე ვიზიტისას გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მისი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია დირექტორის 2020 წლის 19 ივნისის №35 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები“.

ხელმძღვანელი ფლობს სფეროში შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და გააჩნია პროფესიული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან მართვას, ისე პროგრამის სტრატეგიულ განვითარებას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ძირითადი ბეჭდური რესურსები. მიუხედავად სივრცის სიმცირისა, შექმნილია ინდივიდუალური მუშაობისთვის საჭირო პირობები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებს ნოუთბუქებით, რომლებიც რეგისტრირებულია როგორც სახელმძღვანელოს ტიპის რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება); საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ტექნიკის დროებით სარგებლობა, რისი აღრიცხვაც ხდება შესაბამის ჟურნალში. საგანმანათლებლო რესურსები – როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დოკუმენტურად განსაზღვრული, ისე პრაქტიკაში გამოყენებული – სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები პრაქტიკაში იყენებენ დამატებით რესურსებს მათ შორის რიდერებს, ჰენდაუთებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ხოლო შემდეგ ადგილზე ვიზიტისას, გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) მქონე პროფესიულ სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათ შორის ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო გარემო.

სსსმ სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი საპასუხო მექანიზმების გამოყენება ხორციელდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე. კერძოდ, დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანებით №16 „ო“ დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესს და არეგულირებს როგორც ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, ასევე მის მონიტორინგსა და შეფასებას.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ მექანიზმის „ ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“ შესაბამისად გუნდის შექმნა ხდება მაშინ, როცა კოლეჯში ჩაირიცხება სსსმ/შშმ პირი. გუნდი უფლებამოსილია სსსმ/შშმ სტუდენტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას აქტიურად დააკვირდეს და მიიღოს გადაწყვეტილებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

თავად პროფესიულ სტუდენტთან ან/და კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდამჭერი მომსახურების შესახებ.

აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია, თუმცა არსებობს პრაქტიკა სხვა პროგრამის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება მისი გაზიარება წინამდებარე პროგრამის ფარგლებშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, პროგრამა რენტაბელური იყო 5 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;პროგრამის ბიუჯეტით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

საქმიანობის წესით;

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. დადასტურებულია, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად.

კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელს, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს და სხვა დაინტერესებულ პირებს. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში.

პროგრამაში ცვლილება რამდენჯერმე განხორციელდა: . 2021 წლის 05 ნოემბრის N90 „ო" ბრძანებით პროგრამაში, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა ,,სამოქალაქო განათლების" ახალი მოდულის დამტკიცებიდან გამომდინარე (გაიზარდა მოდულის კრედიტი). ასევე, პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, მოდულის „სამოქალაქო განათლება" განმახორციელებელმა პირმა მოითხოვა სწავლის შედეგების საათობრივი გადანაწილების ცვლილება, რაც აისახა პროგრამაში (2022 წლის 11 ივლისის N74 „ო" ბრძანება); 2025 წლის 22 თებერვლის №26 ,,ო" ბრძანებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამაში აისახა ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდის თაობაზე, ხოლო 2025 წლის 24 თებერვლის №28 ,,ო“ ბრძანებით პროგრამამ შეიცვალა განხორციელების მისამართი და განისაზღვრა, რომ ის სრულად განხორციელდება გურგენიძის ქუჩაზე.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“
- დაწესებულების მიერ გაზიარებული პროგრამის შეფასების ფორმა
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით № 19 ,,ო’’ 10 თებერვალი 2025 წ დამტკიცებული -პერსონალის მართვის პოლიტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ -ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ; კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2021 წლის 22 მარტის №22“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“;
- გასაუბრებების შედეგებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2021 წლის 22 მარტის №22“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს (დამოუკიდებელი საათების ჩათვლით), დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან ვერ შეფასდა, ვინაიდან პროგრამაზე სტუდენტები არ ირიცხებოდა.

ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს და კურსდამთავრებულებს. გაეცნენ გასული წლის კალენდარულ გეგმებს, მათ შესაბამისობას სასწავლო გეგმასთან. აღნიშნული აქტივობით დაზუსტდა რომ პედაგოგები იყენებენ მათ მიერ გაწერილ კალენდარულ გეგმებს და ის თანხვედრაშია სასწავლო პროცესთან.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში: სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით; საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას; კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში იყო გათვალისწინებული მათი ინტერესები.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და კურსდამთავრებულებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელი და მასწავლებლები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს. კურსდამთავრებულებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც.

გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და კურსდამთავრებულები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და კურსდამთავრებულებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს გაძლიერებას უწყობს ხელს.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიას, ასევე დარგის შესაბამის ხელსაწყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დანადგარებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის სისტემურ უზრუნველყოფაზე.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

კოლეჯში დამკვიდრებულია ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების პრაქტიკა. სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგ გარემოებებში: როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ვერ ხორციელდება ძირითადი სასწავლო გეგმით; შშმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინების მიზნით; სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებისას სასწავლო პროცესში; მობილობის განხორციელებისას; წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისას; ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

ექსპერტების მიერ, ადგილზე ვიზიტისას შესწავლილი მასალებისა და მხარეებთან კომუნიკაციის საფუძველზე, დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან / თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით / ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

დაწესებულების მიერ მოწოდებული თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელების ფორმა თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც კოოპერაციული სწავლება. პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომპანიასთან ი.მ "ზურაბ ჭელიძე".

თუმცა, ექსპერტთა ვიზიტისას შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში სტუდენტების ჩართვა ხორციელდება მხოლოდ მოდულ „გაცნობითი პრაქტიკის" ფარგლებში. კერძოდ, ორგანიზებულია ერთჯერადი ვიზიტი საწარმოში, რომლის მიზანია ორგანიზაციული სტრუქტურის და საწარმოს საქმიანობის ზედაპირული გაცნობა. სასწავლო პროცესის-წარმართვა საწარმოს ბაზაზე არ ხორციელდება. დაგეგმილი პრაქტიკული აქტივობა არ ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას საწარმოს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში, რაც გამორიცხავს კოოპერაციული სწავლებისათვის აუცილებელ კომპონენტებს — პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში, განმეორებადობასა და თანმიმდევრულობას.

შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განხორციელების ფორმა წარმოადგენს იმიტირებულ გარემოში ჩატარებულ სასწავლო პროცესს, ხოლო მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობა ამ ეტაპზე მოიცავს მხოლოდ გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობას.

აღნიშნული პრაქტიკის ფორმატი სტუდენტს გარკვეულწილად აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს ზოგადი წარმოდგენა რეალურ საწარმოო გარემოზე, თუმცა ვერ უზრუნველყოფს დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარებას იმ სიღრმითა და ინტენსივობით, რაც კოოპერაციული სწავლებისთვის არის აუცილებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

აღნიშნულ საკითხზე კოლეჯის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრისას მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არსებული პრაქტიკის აღწერის საფუძველზე პროგრამის განხორციელების ფორმად შეფასებულ იქნებოდა იმიტირებულ გარემოში განხორციელებული სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს. შესაბამისად, მოცემული შეფასება არ მიუთითებს პროცესის დარღვევაზე, არამედ უკავშირდება მხოლოდ პროგრამის განხორციელების ფორმის შინაარსობრივ შესაბამისობას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ნოემბრის №82 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები“.

პროგრამის სასწავლო პროცესი ხორციელდება კოლეჯი „ერქვანი“-ს ბაზაზე, კერძოდ A/B და C სასწავლო გარემოებში, მისამართზე: ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. N10. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ სასწავლო სივრცე შეესაბამება უსაფრთხო სამუშაო გარემოს მინიმალურ სტანდარტებს და სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. აღსანიშნავია რომ სასწავლო - სამუშაო გარემოში დაცულია ზოგადი უსაფრთხოების ნორმები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
- კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2021 წლის 22 მარტის №22“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ნოემბრის №82 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები“.
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა სრულად რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურებს, ისე მათი გამოყენების, ადმინისტრირებისა და შემდგომი ანალიზის წესებს.

დოკუმენტის შესაბამისად, შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს; შიდა შეფასების მექანიზმებს; შეფასების შედეგების გაცნობისა და კომუნიკაციის წესებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურებს; მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის სტანდარტებს.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ კოლეჯის შეფასების სისტემა რეალურად ფუნქციონირებს და ყველა კომპონენტი პრაქტიკაში ხორციელდება.

შეფასების სისტემა ვალიდურად მიიჩნევა, რადგან თითოეული ინსტრუმენტი შეესაბამება იმ კონკრეტულ სწავლის შედეგს, რომლის შეფასებასაც ის ისახავს მიზნად — შესაბამისად, შეფასება ნამდვილად აჩვენებს დასახული შედეგის მიღწევის დონეს.

შეფასება სანდოა, ვინაიდან მიღებული შედეგები დამყარდება მტკიცებულებებით — შეფასებული სამუშაოები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მასალა ხელმისაწვდომია და წვდომადია საჭიროების შემთხვევაში.

სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების კრიტერიუმები, პირობები და ვადები წინასწარ არის ცნობილი როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ეს ხელს უწყობს სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასება სამართლიანად მიიჩნევა, რადგან ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთნაირი პირობები შეფასებისას — უზრუნველყოფილია შესაბამისი გარემო, საჭირო რესურსები და დროის ფარგლებში გათვალისწინებული თანასწორი შესაძლებლობები.

ასევე, სისტემა არის ობიექტური, ვინაიდან ერთნაირი შესრულების შემთხვევაში შედეგების შეფასება ერთნაირია — შეინიშნება შეფასების სტანდარტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა.

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით დადასტურებულია, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დოკუმენტური ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტანდარტთან შესაბამისობას, ობიექტურობასა და სანდოობას. შეფასების შიდა ვერიფიკაცია რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შემდეგი ბრძანებებით:

- 2020 წლის 16 ივნისის №27 „ო“ — „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- 2020 წლის 15 ივლისის №46 „ო“ — „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“;

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ვერიფიკაციის მიზანია შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, მათ შორის გადაწყვეტილებების სისწორის და შეფასების პროცესის ობიექტურობის დადასტურება.

ვერიფიკაციის პროცესი კოლეჯში ხორციელდება შემდეგი სამი მიმართულებით:შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია — დასტურდება, რომ ინსტრუმენტები შეესაბამება სწავლების შედეგებს და პასუხობს ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია — შეფასება ხდება სტანდარტის შესაბამისი პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

მიხედვით; მტკიცებულებების ვერიფიკაცია — მოწმდება, არის თუ არა შეფასება გამყარებული ადეკვატური მტკიცებულებებით.

შერჩევის მექანიზმი ეფუძნება რისკების სისტემას, რაც განსაზღვრავს, რომელი მოდულები/პროცესებია ვერიფიკაციის ძირითადი სამიზნე. პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკატორი — შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

ვერიფიკაციის პროცესს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები: ვერიფიკაციის დაგეგმვა; შეფასების დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზი; დასკვნის შედგენა და განხილვა; გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დაწესებულებაში შეფასების პროცესში ჩართული პირები უზრუნველყოფენ პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს შეფასების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და განვითარებას.

კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცედურების ხარისხს, გამჭვირვალობასა და სტანდარტთან შესაბამისობას, რაც სრულად შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმები, მათ შორის, განმახორციელებლებთან გასაუბრებით. დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას კოლეჯი სრულად ითვალისწინებს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების დაცვასა და მართვას, რაც ეფუძნება კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს“.

მოქმედი წესის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს აუდიტორიაში, პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, მოდულის დასრულებამდე. მოდულზე სწავლების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (წინაპირობის არსებობის შემთხვევაში — ერთ სამუშაო დღეში), მასწავლებელი წარუდგენს შეფასების დოკუმენტაციას (მტკიცებულებებს და ხელმოწერილ უწყისებს) სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს. მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს მტკიცებულებების სრულყოფილებას და შეადგენს შეფასების უწყისების აღრიცხვის ჟურნალს. პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების შემდეგ კი, შეფასების დოკუმენტაცია — მათ შორის მტკიცებულებები და შეფასების უწყისები — გადაეცემა კოლეჯის არქივს. შეფასების მტკიცებულებები ინახება მინიმუმ სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები — მუდმივად.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, უწყვეტ ადმინისტრირებას და ანგარიშვალდებულებას, რაც მტკიცებულებაზე დაფუძნებული ხარისხის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დადგენილი პროცესების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები მიეწოდება ინდივიდუალურად, რის შემდეგაც იგი ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტს, რაც ადასტურებს ინფორმირებას, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებითაც. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ შეფასების გამჭვირვალობასა და სტუდენტზე ორიენტირებულობას, არამედ ქმნის წინაპირობას ინდივიდუალური სწავლის სტრატეგიის დაგეგმვისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასების შედეგები გამოყენებულია როგორც პროფესიული სტუდენტის აკადემიური განვითარებისთვის, ასევე სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება — მათ შორის მოდულთა თანმიმდევრობის შეცვლა, სწავლების მეთოდოლოგიის გადახედვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა ან დამატება და საგანმანათლებლო რესურსების ოპტიმიზაცია.

აღნიშნული მიდგომა იძლევა სწავლის ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას, ხელს უწყობს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ სწავლას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“;
- ვერიფიკაციის დოკუმენტები;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**იატაკისა და ფილის სამუშაოები**
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	24 მარტი 2021 წ. ბრძანება N22 „ო”
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	98

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

IV. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განხორციელების გადაწყვეტილება სრულ შესაბამისობაშია კოლეჯი „ერქვანის“ მისიასა და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. კოლეჯის მისიის თანახმად, დაწესებულება მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ნებისმიერი ასაკის ბენეფიციარს მისცეს შესაძლებლობა დაეუფლოს პროფესიას, შეცვალოს პროფესია ან აიმაღლოს კვალიფიკაცია, რაც ხელს უწყობს მათ წარმატებულ დასაქმებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილს. სტრატეგიულ გეგმაში მშენებლობის მიმართულება ცალსახად განსაზღვრულია პრიორიტეტად და მომდინარეობს როგორც შიდა, ასევე გარე გარემოს ანალიზზე დაფუძნებული მტკიცებულებებიდან.

რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში არსებობს მაღალი საჭიროება და მზარდი ტენდენცია სამშენებლო პროფილის პროფესიონალების მიმართ. ტურიზმის განვითარებასთან ერთად, იზრდება სასტუმროებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რის პარალელურადაც მატულობს მოთხოვნა იატაკისა და კედლის მოსაპირკეთებელი კვალიფიციური მუშახელის მიმართ. ადგილობრივი მოსახლეობა საჭიროებს ადგილზე განათლების მიღების შესაძლებლობას. კოლეჯი „ერქვანი“ რეგიონში ერთადერთი პროფესიული განათლების მიმწოდებელია და ამით იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

პროფესიული პროგრამის მიზანშეწონილობას ამყარებს რამდენიმე მტკიცებულება. ეროვნული შრომის ბაზრის ანალიზის თანახმად, სამშენებლო სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად მზარდი და მაღალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ანაზღაურების მქონე სფეროა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ხოლო საშუალო ხელფასის მაჩვენებელი აღემატება ბიზნეს სექტორის საშუალო ხელფასს. გარდა ამისა, 2025 წლის იანვარში კოლეჯის მიერ ჩატარებული სექტორული მოკვლევა ადასტურებს, რომ ადგილობრივ დამსაქმებლებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს აქვთ მოთხოვნა პროგრამის კურსდამთავრებულებზე და ეს საჭიროება სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზრდება.

დამსაქმებელთა უკუკავშირი და დასაქმების პლატფორმების ანალიზიც აჩვენებს, რომ სპეციალისტები იატაკისა და ფილის მიმართულებით მოთხოვნად პოზიციებად რჩება. ამასთანავე, კურსდამთავრებულთა კვლევამ ცხადყო, რომ პროგრამა სთავაზობს რეალურ ღირებულებას მათ — კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია და პროგრამით მიღებული უნარების გამოყენებას რეალურ სამუშაო გარემოში ახერხებს.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე, პროგრამის განხორციელება წარმოადგენს შესაბამის, დასაბუთებულ და სტრატეგიულ ნაბიჯს როგორც კოლეჯის, ისე რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების კონტექსტში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,იატაკისა და ფილის სამუშაოები” (დამტკიცებული - N22 „ო”; 22 .03. 2021 წ. ბრძანებით) დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის დონესთან (მესამე დონე) და ჩარჩო დოკუმენტთან (მშენებლობის წარმოება), რომელიც წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

აპლიკანტთა შერჩევა რეგულირდება: **2021** წლის 12 აგვისტოს დირექტორის N56 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესით, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 07 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“;

დადასტურებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაცვა და შერჩევის პროცესის ორგანიზებული მართვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამის განხორციელების ვადაში სტუდენტები აღწევენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ზუსტ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას და სტუდენტებისთვის სათანადო საგანმანათლებლო პირობების უზრუნველყოფას.

კერძოდ, პროგრამისათვის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- მოდულის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო (A/B და C) გარემო – სივრცისა და ლოგისტიკის შესაბამისობა;
- პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა სასწავლო გარემოში – რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას პრაქტიკულ სწავლაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა (11 პროფესიული განათლების მასწავლებელი) – დატვირთვისა და ხარისხის დაბალანსებული გადანაწილების უზრუნველსაყოფად.

კოლეჯს გააჩნია პროგრამის ხარისხიანად განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ, შესაბამისი სასწავლო გარემო მოწყობილია მისამართზე: **ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. №10**.

პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 15 სტუდენტით, რაც შეესაბამება ერთი სასწავლო ჯგუფისა და ორი (A/B და C) სასწავლო გარემოთა გამტარიანობის შესაძლებლობებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “იატაკისა და ფილის სამუშაოები” განხორციელებას იმ რესურსებით, რომლებიც სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო შედეგებს. პროგრამას თან ერთვის დეტალური ჩამონათვალი შესაბამისის საგანმანათლებლო რესურსისა, რომლებიც განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტით და შიდა რეგულაციებით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “იატაკისა და ფილის სამუშაოები” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია”, აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,იატაკისა და ფილის სამუშაოები” დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (№22-ო, 22 მარტი, 2021წ).

პროგრამაში ცვლილება რამდენჯერმე განხორციელდა: . 2021 წლის 05 ნოემბრის N90 „ო“ ბრძანებით პროგრამაში, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა ,,სამოქალაქო განათლების“ ახალი მოდულის დამტკიცებიდან გამომდინარე (გაიზარდა მოდულის კრედიტი). ასევე, პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, მოდულის „სამოქალაქო განათლება“ განმახორციელებელმა პირმა მოითხოვა სწავლის შედეგების საათობრივი გადანაწილების ცვლილება, რაც აისახა პროგრამაში (2022 წლის 11 ივლისის N75 „ო“ ბრძანება); 2025 წლის 22 თებერვლის №26 ,,ო“ ბრძანებით, პროგრამაში აისახა ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდის თაობაზე, ხოლო 2025 წლის 24 თებერვლის №28 ,,ო“ ბრძანებით პროგრამამ შეიცვალა განხორციელების მისამართი და განისაზღვრა, რომ ის სრულად განხორციელდება გურგენიძის ქუჩაზე.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "იატაკისა და ფილის სამუშაოები" სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს და არ შეიცავს დამაბნეველ ან შეცდომაში შემყვან ფორმულირებებს.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შესაბამისი უნარები და ცოდნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და შეძლებს შრომის ბაზარზე ინტეგრირებას. პროგრამა მოიცავს ზოგად კომპეტენციებსა და საკვანძო უნარის განვითარებას, რაც კურსდამთავრებულს დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში ცვლილება არ განხორციელებულა და ის, მიმდინარე პერიოდის ჩათვლით, უცვლელად გამოიყენება ყველა ოფიციალურ და სასწავლო დოკუმენტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარსს, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ადეკვატურად ასახვას და არ ქმნის შეცდომაში შემყვან ან არაზუსტ წარმოდგენას პროგრამის შინაარსზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო" ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ,,მშენებლობის წარმოება“ (კვალიფიკაცია- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოები) საფუძველზე. ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ კომპონენტებს და წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს.

პროგრამით დეტალურად გაწერილია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მისაღწევი სწავლის შედეგები; სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების ფორმები, მოცულობა და ხანგრძლივობა.

საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, მათ შორის: პროგრამის ძირითად დოკუმენტს; მოდულებს; სასწავლო გეგმას (მათ შორის ქართული ენა A2 მოდულის); პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციას; სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსთა ჩამონათვალს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის შიდა მეთოდოლოგიის დაცვით და სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- 22/03/2021 წლის N22 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “იატაკისა და ფილის სამუშაოები” (ცვლილებებით)
- „აპლიკანტთა შერჩევის წესი“ - სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“ დირექტორის ბრძანება N 56 ,, ო ‘’ 12. 08. 2021 წ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ.20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ქ. ამბროლაურის გურგენიძის ქ. №10 სასწავლო სივრცეში, სადაც მოწყობილია ორი A/B და C სასწავლო გარემო. ფართები აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული ტექნიკური საშუალებებით. C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, რომელიც არის რელევანტური კონკრეტული მოდულების შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია რესურსების ფლობა.

კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების განახლებაში.

მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში - მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 15 სტუდენტს, შეესაბამება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამით სულ გათვალისწინებულია 11 განმახორციელებელი, მათ შორის - პროფესიული მოდულების 3, ხოლო 8- ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. უნდა აღინიშნოს, რომ მოდულები ხორციელდება კოლეჯის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ მოდულების სწავლებისთვის შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციით.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ასევე, გამოიკვეთა, რომ პროფესიული მოდულის ყველა განმახორციელებელს შეუძლია ყველა მოდულის წარმართვა, რაც არ არის ასახული პროგრამის №2 დანართში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი –დარგის ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი - „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“.

პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითარების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასება ხორციელდება დაგეგმილი სისტემით. მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების მიზნებისთვის იყენებენ როგორც ფორმალურ (ქულებით შეფასება), ასევე არაფორმალურ მიდგომებს მაგ. ზეპირი უკუკავშირი, ყველა ძირითადი მოდულისთვის შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს ცხადად განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

დადასტურებულია, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადგილზე ვიზიტისას გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მისი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია დირექტორის 2020 წლის 19 ივნისის №35 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები“.

ხელმძღვანელი ფლობს სფეროში შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და გააჩნია პროფესიული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან მართვას, ისე პროგრამის სტრატეგიულ განვითარებას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ძირითადი ბეჭდური რესურსები. მიუხედავად სივრცის სიმცირისა, შექმნილია ინდივიდუალური მუშაობისთვის საჭირო პირობები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებს ნოუთბუქებით, რომლებიც რეგისტრირებულია როგორც სახელმძღვანელოს ტიპის რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება); საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ტექნიკის დროებით სარგებლობა, რისი აღრიცხვაც ხდება შესაბამის ჟურნალში. საგანმანათლებლო რესურსები – როგორც დოკუმენტურად განსაზღვრული, ისე პრაქტიკაში გამოყენებული – სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები პრაქტიკაში იყენებენ დამატებით რესურსებს მათ შორის რიდერებს, ჰენდაუთებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ხოლო შემდეგ ადგილზე ვიზიტისას, გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) მქონე პროფესიულ სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათ შორის ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სსსმ სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი საპასუხო მექანიზმების გამოყენება ხორციელდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე. კერძოდ, დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანებით №16 „ო“ დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესს და არეგულირებს როგორც ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, ასევე მის მონიტორინგსა და შეფასებას.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ მექანიზმის „ ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“ შესაბამისად გუნდის შექმნა ხდება მაშინ, როცა კოლეჯში ჩაირიცხება სსსმ/შშმ პირი. გუნდი უფლებამოსილია სსსმ/შშმ სტუდენტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას აქტიურად დააკვირდეს და მიიღოს გადაწყვეტილებები, თავად პროფესიულ სტუდენტთან ან/და კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდამჭერი მომსახურების შესახებ.

აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია, თუმცა არსებობს პრაქტიკა სხვა პროგრამის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება მისი გაზიარება წინამდებარე პროგრამის ფარგლებშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, პროგრამა რენტაბელური იყო6 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;პროგრამის ბიუჯეტით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.
- პროგრამის ბიუჯეტით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. დადასტურებულია, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად.

კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელს, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს და სხვა დაინტერესებულ პირებს. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში.

პროგრამაში ცვლილება რამდენჯერმე განხორციელდა: . 2021 წლის 05 ნოემბრის N90 „ო" ბრძანებით პროგრამაში, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა ,,სამოქალაქო განათლების" ახალი მოდულის დამტკიცებიდან გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

(გაიზარდა მოდულის კრედიტი). ასევე, პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, მოდულის „სამოქალაქო განათლება“ განმახორციელებელმა პირმა მოითხოვა სწავლის შედეგების საათობრივი გადანაწილების ცვლილება, რაც აისახა პროგრამაში (2022 წლის 11 ივლისის N75 „ო“ ბრძანება); 2025 წლის 22 თებერვლის №26 „ო“ ბრძანებით, პროგრამაში აისახა ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდის თაობაზე, ხოლო 2025 წლის 24 თებერვლის №28 „ო“ ბრძანებით პროგრამამ შეიცვალა განხორციელების მისამართი და განისაზღვრა, რომ ის სრულად განხორციელდება გურგენიძის ქუჩაზე.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განხორციელებულ ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ასევე, გასაუბრებით დასტურდება, რომ გარკვეული დამატებითი აქტივობები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების მხრიდან გაკეთებულა, როგორიცაა, მაგალითად: სწავლის მეთოდების შეცვლა აუდიტორიის შესაბამისად, შეფასების კუთხით სწავლის შედეგების გაერთიანება და შეფასების მეთოდების ურთიერთ-ინტეგრირება, საგანმანათლებლო რესურსების დამატება ჰენდაუთების სახით, რომელიც მათი ორგანიზებით მიეწოდება პროფესიულ სტუდენტებს, თუმცა აღნიშნული ცვლილებები სისტემური ფორმით პროგრამაში არ განხორციელებულა და ის ცალკეული სასწავლო პროცესის მახასიათებელია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- დაწესებულების მიერ გაზიარებული პროგრამის შეფასების ფორმა
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით № 19 ,,ო’’ 10 თებერვალი 2025 წ დამტკიცებული -პერსონალის მართვის პოლიტიკა
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ -ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- 2021 წლის 22 მარტის N22 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “იატაკისა და ფილის სამუშაოები” (ცვლილებებით)
- გასაუბრებების შედეგებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2021 წლის 22 მარტის №22“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს (დამოუკიდებელი საათების ჩათვლით), დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან ვერ შეფასდა, ვინაიდან პროგრამაზე სტუდენტები არ ირიცხებოდა.

ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს და კურსდამთავრებულებს. გაეცნენ გასული წლის კალენდარულ გეგმებს, მათ შესაბამისობას სასწავლო გეგმასთან. აღნიშნული აქტივობით დაზუსტდა რომ პედაგოგები იყენებენ მათ მიერ გაწერილ კალენდარულ გეგმებს და ის თანხვედრაშია სასწავლო პროცესთან.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში: სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით; საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას; კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში იყო გათვალისწინებული მათი ინტერესები.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და კურსდამთავრებულებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელი და მასწავლებლები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს. კურსდამთავრებულებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც.

გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და კურსდამთავრებულები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და კურსდამთავრებულებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს გაძლიერებას უწყობს ხელს.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიას, ასევე დარგის შესაბამის ხელსაწყო დანადგარებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის სისტემურ უზრუნველყოფაზე.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში დამკვიდრებულია ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების პრაქტიკა. სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგ გარემოებებში: როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ვერ ხორციელდება ძირითადი სასწავლო გეგმით; შშმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინების მიზნით; სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებისას სასწავლო პროცესში; მობილობის განხორციელებისას; წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისას; ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

ექსპერტების მიერ, ადგილზე ვიზიტისას შესწავლილი მასალებისა და მხარეებთან კომუნიკაციის საფუძველზე, დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან / თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით / ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

დაწესებულების მიერ მოწოდებული თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელების ფორმა თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც კოოპერაციული სწავლება. პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომპანიასთან ი.მ “ზურაბ ჭელიძე”.

თუმცა, ექსპერტთა ვიზიტისას შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში სტუდენტების ჩართვა ხორციელდება მხოლოდ მოდულ „გაცნობითი პრაქტიკის“ ფარგლებში. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ორგანიზებულია ერთჯერადი ვიზიტი საწარმოში, რომლის მიზანია ორგანიზაციული სტრუქტურის და საწარმოს საქმიანობის ზედაპირული გაცნობა. სასწავლო პროცესის-წარმართვა საწარმოს ბაზაზე არ ხორციელდება. დაგეგმილი პრაქტიკული აქტივობა არ ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას საწარმოს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში, რაც გამორიცხავს კოოპერაციული სწავლებისათვის აუცილებელ კომპონენტებს — პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში, განმეორებადობასა და თანმიმდევრულობას.

შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განხორციელების ფორმა წარმოადგენს იმიტირებულ გარემოში ჩატარებულ სასწავლო პროცესს, ხოლო მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობა ამ ეტაპზე მოიცავს მხოლოდ გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობას.

აღნიშნული პრაქტიკის ფორმატი სტუდენტს გარკვეულწილად აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს ზოგადი წარმოდგენა რეალურ საწარმოო გარემოზე, თუმცა ვერ უზრუნველყოფს დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარებას იმ სიღრმითა და ინტენსივობით, რაც კოოპერაციული სწავლებისთვის არის აუცილებელი.

აღნიშნულ საკითხზე კოლეჯის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრისას მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არსებული პრაქტიკის აღწერის საფუძველზე პროგრამის განხორციელების ფორმად შეფასებულ იქნებოდა იმიტირებულ გარემოში განხორციელებული სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს. შესაბამისად, მოცემული შეფასება არ მიუთითებს პროცესის დარღვევაზე, არამედ უკავშირდება მხოლოდ პროგრამის განხორციელების ფორმის შინაარსობრივ შესაბამისობას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ნოემბრის №82 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები“.

პროგრამის სასწავლო პროცესი ხორციელდება კოლეჯი „ერქვანი“-ს ბაზაზე, კერძოდ A/B და C სასწავლო გარემოებში, მისამართზე: ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. N10. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ სასწავლო სივრცე შეესაბამება უსაფრთხო სამუშაო გარემოს მინიმალურ სტანდარტებს და სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. აღსანიშნავია რომ სასწავლო - სამუშაო გარემოში დაცულია ზოგადი უსაფრთხოების ნორმები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
- კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2021 წლის 22 მარტის №22“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,იატაკისა და ფილის სამუშაოები“ (ცვლილებებით;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ნოემბრის №82 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები“.
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა სრულად რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურებს, ისე მათი გამოყენების, ადმინისტრირებისა და შემდგომი ანალიზის წესებს.

დოკუმენტის შესაბამისად, შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს; შიდა შეფასების მექანიზმებს; შეფასების შედეგების გაცნობისა და კომუნიკაციის წესებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურებს; მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის სტანდარტებს.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ კოლეჯის შეფასების სისტემა რეალურად ფუნქციონირებს და ყველა კომპონენტი პრაქტიკაში ხორციელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასების სისტემა ვალიდურად მიიჩნევა, რადგან თითოეული ინსტრუმენტი შეესაბამება იმ კონკრეტულ სწავლის შედეგს, რომლის შეფასებასაც ის ისახავს მიზნად — შესაბამისად, შეფასება ნამდვილად აჩვენებს დასახული შედეგის მიღწევის დონეს.

შეფასება სანდოა, ვინაიდან მიღებული შედეგები დამყარდება მტკიცებულებებით — შეფასებული სამუშაოები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მასალა ხელმისაწვდომია და წვდომადია საჭიროების შემთხვევაში.

სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების კრიტერიუმები, პირობები და ვადები წინასწარ არის ცნობილი როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ეს ხელს უწყობს სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას.

შეფასება სამართლიანად მიიჩნევა, რადგან ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთნაირი პირობები შეფასებისას — უზრუნველყოფილია შესაბამისი გარემო, საჭირო რესურსები და დროის ფარგლებში გათვალისწინებული თანასწორი შესაძლებლობები.

ასევე, სისტემა არის ობიექტური, ვინაიდან ერთნაირი შესრულების შემთხვევაში შედეგების შეფასება ერთნაირია — შეინიშნება შეფასების სტანდარტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა.

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით დადასტურებულია, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დოკუმენტური ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტანდარტთან შესაბამისობას, ობიექტურობასა და სანდოობას. შეფასების შიდა ვერიფიკაცია რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შემდეგი ბრძანებებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2020 წლის 16 ივნისის №27 „ო“ — „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- 2020 წლის 15 ივლისის №46 „ო“ — „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“;

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ვერიფიკაციის მიზანია შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, მათ შორის გადაწყვეტილებების სისწორის და შეფასების პროცესის ობიექტურობის დადასტურება.

ვერიფიკაციის პროცესი კოლეჯში ხორციელდება შემდეგი სამი მიმართულებით:შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია — დასტურდება, რომ ინსტრუმენტები შეესაბამება სწავლების შედეგებს და პასუხობს ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია — შეფასება ხდება სტანდარტის შესაბამისი პროცესის მიხედვით; მტკიცებულებების ვერიფიკაცია — მოწმდება, არის თუ არა შეფასება გამყარებული ადეკვატური მტკიცებულებებით.

შერჩევის მექანიზმი ეფუძნება რისკების სისტემას, რაც განსაზღვრავს, რომელი მოდულები/პროცესებია ვერიფიკაციის ძირითადი სამიზნე. პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკატორი — შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

ვერიფიკაციის პროცესს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები: ვერიფიკაციის დაგეგმვა; შეფასების დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზი; დასკვნის შედგენა და განხილვა; გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დაწესებულებაში შეფასების პროცესში ჩართული პირები უზრუნველყოფენ პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს შეფასების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და განვითარებას.

კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცედურების ხარისხს, გამჭვირვალობასა და სტანდარტთან შესაბამისობას, რაც სრულად შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმები, მათ შორის, განმახორციელებლებთან გასაუბრებით. დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას კოლეჯი სრულად ითვალისწინებს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების დაცვასა და მართვას, რაც ეფუძნება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს“.

მოქმედი წესის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს აუდიტორიაში, პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, მოდულის დასრულებამდე. მოდულზე სწავლების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (წინაპირობის არსებობის შემთხვევაში — ერთ სამუშაო დღეში), მასწავლებელი წარუდგენს შეფასების დოკუმენტაციას (მტკიცებულებებს და ხელმოწერილ უწყისებს) სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს. მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს მტკიცებულებების სრულყოფილებას და შეადგენს შეფასების უწყისების აღრიცხვის ჟურნალს. პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების შემდეგ კი, შეფასების დოკუმენტაცია — მათ შორის მტკიცებულებები და შეფასების უწყისები — გადაეცემა კოლეჯის არქივს. შეფასების მტკიცებულებები ინახება მინიმუმ სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები — მუდმივად.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, უწყვეტ ადმინისტრირებას და ანგარიშვალდებულებას, რაც მტკიცებულებაზე დაფუძნებული ხარისხის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დადგენილი პროცესების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები მიეწოდება ინდივიდუალურად, რის შემდეგაც იგი ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტს, რაც ადასტურებს ინფორმირებას, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებითაც. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ შეფასების გამჭვირვალობასა და სტუდენტზე ორიენტირებულობას, არამედ ქმნის წინაპირობას ინდივიდუალური სწავლის სტრატეგიის დაგეგმვისთვის.

შეფასების შედეგები გამოყენებულია როგორც პროფესიული სტუდენტის აკადემიური განვითარებისთვის, ასევე სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება — მათ შორის მოდულთა თანმიმდევრობის შეცვლა, სწავლების მეთოდოლოგიის გადახედვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა ან დამატება და საგანმანათლებლო რესურსების ოპტიმიზაცია.

აღნიშნული მიდგომა იძლევა სწავლის ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას, ხელს უწყობს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ სწავლას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“;
- ვერიფიკაციის დოკუმენტები;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- გასაუბრებით;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

1.ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	24 მაისი 2019 წ ბრძანება N26 „ო”
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

3. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „ბუღალტრული აღრიცხვა“ 2019 წლიდან ახორციელებს და აღნიშნული პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება როგორც კოლეჯის მისიას, ასევე მის სტრატეგიულ მიზნებს. მისიაში ცხადადაა გაწერილი კოლეჯის მიზანი — შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, ბენეფიციარებს მისცეს პროფესიის დაუფლების, პროფესიის შეცვლის ან კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას. აღნიშნული მიდგომა ასახულია კოლეჯის სტრატეგიულ დოკუმენტებში და განსაკუთრებით ხაზგასმულია ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულების პრიორიტეტულობა.

ბუღალტრის პროფესია ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად პროფესიად რჩება როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ შრომის ბაზარზე. ეს დასტურდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევებით და დასაქმების ონლაინ პლატფორმებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზით. მაგალითად, 2023 წელს HR.ge-ზე ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროს სპეციალისტებზე გამოქვეყნებული 6953 ვაკანსიიდან 2190 ბუღალტრებს შეეხებოდა, ხოლო 2022 წლის მონაცემებით — 2436 ვაკანსია სწორედ ბუღალტრის პოზიციას ეხებოდა. 2024 წლის ნოემბრისა და 2025 წლის იანვრის მონაცემებიც ადასტურებს ამ პროფესიისადმი მაღალ ინტერესს და სტაბილურ მოთხოვნას, რაც ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნობრიობის მყარ საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ამასთანავე, სსიპ კოლეჯმა ჩაატარა არაერთი შიდა და გარე კვლევა. კერძოდ, 2022 წელს ჩატარებულმა კვლევამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების მოსწავლეებმა, აჩვენა, რომ გამოკითხულთა 34% ბუღალტრულ აღრიცხვას ასახელებდა მისთვის საინტერესო პროფესიად. ეს კიდევ უფრო ამყარებს კოლეჯის გადაწყვეტილებას აღნიშნული პროგრამის გაგრძელების თაობაზე.

2024 წელს კოლეჯის პარტნიორობით, პროფესიული უნარების სააგენტოს დაკვეთით ჩატარებულმა ადგილობრივმა შრომის ბაზრის კვლევამაც წარმოაჩინა ბუღალტრის პროფესიის მოთხოვნადობა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში. კვლევის ფოკუს ჯგუფებში მონაწილე დამსაქმებლები ხაზს უსვამდნენ ბუღალტრების საჭიროებას როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო პერსპექტივაში.

კოლეჯი სისტემატურად იკვლევს კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლებს. 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის კურსდამთავრებულთა 57.14% პროფესიითაა დასაქმებული, ხოლო დამატებით 35.71% დასაქმებულია სხვა სფეროში, სადაც პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღებულ უნარებს იყენებს.

ამ ყველაფერთან ერთად, კოლეჯი ერთადერთი პროფესიული განათლების მიმწოდებელია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, რომელიც მიგრაციული ხასიათისაა და მისთვის პრიორიტეტულია ადგილობრივი მოსახლეობის ადგილზე შენარჩუნება და მათი ეკონომიკურ პროცესებში ჩართვა. პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმითაც, რომ რეგიონში მცხოვრები პროფესიული სტუდენტების დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი ან ფინანსურად შეზღუდული ოჯახების წარმომადგენელია, რომელთათვისაც პროფესიული განათლების მიღება სხვა ქალაქებში პრობლემურია.

ზემოაღნიშნული ფაქტორები მყარად ადასტურებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიზანშეწონილია და სრულად პასუხობს როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

227

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ,,ბუღალტრული აღრიცხვა" საფუძველზე და პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უზრუნველყოფს იმ საბაზისო ცოდნისა და უნარების არსებობას, რომელიც აუცილებელია პროგრამის რეალიზაციის ვადაში სწავლის შედეგების მისაღწევად.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 აგვისტოს N56 „ო" ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის თანახმად, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს, პროფესიულ სტუდენტთა შერჩევა ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია რომ პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სსიპ კოლეჯი „ერქვანი" საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ზუსტ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას და სტუდენტებისთვის სათანადო საგანმანათლებლო პირობების უზრუნველყოფას.

კერძოდ, პროგრამისათვის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- მოდულის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო (A და B) გარემო – სივრცისა და ლოგისტიკის შესაბამისობა;
- პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა სასწავლო გარემოში – რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას პრაქტიკულ სწავლაში;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა – დატვირთვისა და ხარისხის დაბალანსებული გადანაწილების უზრუნველსაყოფად.

კოლეჯს გააჩნია პროგრამის ხარისხიანად განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ, შესაბამისი სასწავლო გარემო მოწყობილია მისამართზე: ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 15 სტუდენტით, რაც შეესაბამება ერთი სასწავლო ჯგუფისა და ერთი (A/B) სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს.

ზემოთ აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროფესიული სტუდენტების რაოდენობა იყოს ოპტიმალურად დაბალანსებული სასწავლო რესურსებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას, პრაქტიკულ და თეორიულ კომპონენტებში თანაბარ ჩართულობას და საბოლოოდ – სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ბუღალტრული აღრიცხვა” განხორციელებას იმ რესურსებით, რომლებიც სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო შედეგებს. პროგრამას თან ერთვის დეტალური ჩამონათვალი შესაბამისის საგანმანათლებლო რესურსისა, რომლებიც განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტით და შიდა რეგულაციებით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. გასაუბრებით დასტურდება რომ დაწესებულების მიერ, პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალში ცვლილება არ განხორციელებულა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია”, აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ბუღალტრული აღრიცხვა” დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით. №26-ო, 24 მაისი, 2019 წ., ხოლო პროგრამაში ბოლო ცვლილება საკვალიფიკაციო გამოცდის დამატების მიზნით განხორციელდა 26”ო”; 22.02.2025.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **“ბუღალტრული აღრიცხვა”** სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს და არ შეიცავს დამაბნეველ ან შეცდომაში შემყვან ფორმულირებებს.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შესაბამისი უნარები და ცოდნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და შეძლებს შრომის ბაზარზე ინტეგრირებას. პროგრამა მოიცავს ზოგად კომპეტენციებსა და საკვანძო უნარის განვითარებას, რაც კურსდამთავრებულს დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში ცვლილება არ განხორციელებულა და ის, მიმდინარე პერიოდის ჩათვლით, უცვლელად გამოიყენება ყველა ოფიციალურ და სასწავლო დოკუმენტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარსს, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ადეკვატურად ასახვას და არ ქმნის შეცდომაში შემყვან ან არაზუსტ წარმოდგენას პროგრამის შინაარსზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები რეგულირდება 2021 წლის 16 მარტის №16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ საფუძველზე. ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ კომპონენტებს და წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს.

პროგრამით დეტალურად გაწერილია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მისაღწევი სწავლის შედეგები; სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების ფორმები, მოცულობა და ხანგრძლივობა.

საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, მათ შორის: პროგრამის ძირითად დოკუმენტს; მოდულების აღწერილობებს; სასწავლო გეგმას (მათ შორის ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგებს), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციას; სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსთა ჩამონათვალს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის შიდა მეთოდოლოგიის დაცვით და სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კუთხით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- 24/05/2019 წლის N26 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“
- „აპლიკანტთა შერჩევის წესი“ - სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“ დირექტორის ბრძანება N 56 ,, ო ‘’ 12. 08. 2021 წ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ.20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ბუღალტრული აღრიცხვა” დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით. №26-ო, 24 მაისი, 2019 წ.,(ბოლო ცვლილება № 26”ო”; 22.02.2025)
- გასაუბრების შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ქ. ამბროლაურის ვაჟა ფშაველას №10 სასწავლო სივრცეში, სადაც მოწყობილია შესაბამისი გარემო, აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული ტექნიკური საშუალებებით. სასწავლო გარემოში წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, რომელიც არის რელევანტური კონკრეტული მოდულების შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან.

პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A/ B გარემო, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 15 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. კომპიუტერებში ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამა (ORIS).

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ORIS) პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ მატერიალურ რესურს. პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების განახლებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში — მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 15 სტუდენტს, შეეფერება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამით სულ გათვალისწინებულია 7 განმახორციელებელი, მათ შორის - პროფესიული მოდულების 3, ხოლო 4 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. მასწავლებელთა რაოდენობა შეესაბამება მიმდინარე ნაკადების მოცულობასა და აკადემიური პროცესის საჭიროებებს.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ასევე, გამოიკვეთა, რომ პროფესიული მოდულის ყველა განმახორციელებელს შეუძლია ყველა მოდულის წარმართვა, რაც არ არის ასახული პროგრამის №2 დანართში - პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი –დარგის ექსპერტის მიერ გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:** პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ხელმძღვანელთან ერთად, ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, ხოლო შემდგომ უკვე პროგრამის განვითარების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

შეფასება ხორციელდება დაგეგმილი სისტემით. მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების მიზნებისთვის იყენებენ როგორც ფორმალურ (ქულებით შეფასება), ასევე არაფორმალურ მიდგომებს მაგ. ზეპირი უკუკავშირი, ყველა ძირითადი მოდულისთვის შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს ცხადად განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

აღნიშნული მიდგომები ასახავს მასწავლებელთა პროფესიულ სიძლიერეს არა მხოლოდ შინაარსობრივი ცოდნის, არამედ სწავლების და შეფასების თანამედროვე პრინციპების კუთხითაც. მათი მონაწილეობა შიდა სამუშაო შეხვედრებში, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების განვითარებასა და გაზიარებულ პრაქტიკაში, ასევე უზრუნველყოფს გამოცდილების სისტემურ გაზიარებას და ერთგვაროვან მიდგომებს სასწავლო პროცესში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადგილზე ვიზიტისას გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მისი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია 2020 წლის 19 ივნისის №35 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ხელმძღვანელი ფლობს სფეროში შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და გააჩნია პროფესიული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან მართვას, ისე პროგრამის სტრატეგიულ განვითარებას. აღსანიშნავია ისიც რომ აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განხორციელების ეტაპზე არ შეცვლილა, არცერთი ნაკადის ფარგლებში. მისი ჩართულობა თვალსაჩინოა შემდეგ მიმართულებებში: პროფესიული სტანდარტის საფუძველზე პროგრამის შინაარსობრივი დაგეგმვა, მოდულების პერიოდული გადახედვა, შეფასების ვერიფიკაცია და შიდა საკოორდინაციო სამუშაოებში მონაწილეობა. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი ჯგუფის საქმიანობაში, რაც ადასტურებს მის ინტეგრირებულ როლს კოლეჯის პროფესიულ განათლებაში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ძირითადი ბეჭდური რესურსები. მიუხედავად სივრცის სიმცირისა, შექმნილია ინდივიდუალური მუშაობისთვის საჭირო პირობები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებს ნოუთბუქებით, რომლებიც რეგისტრირებულია როგორც სახელმძღვანელოს ტიპის რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება); საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ტექნიკის დროებით სარგებლობა, რისი აღრიცხვაც ხდება შესაბამის ჟურნალში. საგანმანათლებლო რესურსები – როგორც დოკუმენტურად განსაზღვრული, ისე პრაქტიკაში გამოყენებული – სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები პრაქტიკაში იყენებენ დამატებით რესურსებს მათ შორის რიდერებს, ჰენდაუთებსა და დამხმარე მასალებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაზე კოლეჯს სსსმ პ სტუდენტი არ ჰყოლია, თუმცა არსებობს პრაქტიკა სხვა პროგრამაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ხოლო შემდეგ ადგილზე ვიზიტისას, გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) მქონე პროფესიულ სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათ შორის ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო გარემო.

სსსმ სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი საპასუხო მექანიზმების გამოყენება ხორციელდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე. კერძოდ, დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანებით №16 „ო“ დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრავს სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესს და არეგულირებს როგორც ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, ასევე მის მონიტორინგსა და შეფასებას.

დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ მექანიზმის „ ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“ შესაბამისად გუნდის შექმნა ხდება მაშინ, როცა კოლეჯში ჩაირიცხება სსსმ/შშმ პირი. გუნდი უფლებამოსილია სსსმ/შშმ სტუდენტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას აქტიურად დააკვირდეს და მიიღოს გადაწყვეტილებები, თავად პროფესიულ სტუდენტთან ან/და კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდამჭერი მომსახურების შესახებ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, პროგრამა რენტაბელური იყო 7 სტუდენტის შემთხვევაშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესით;
- ბრძანებით - ,,პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - ბუღალტრული აღრიცხვა;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. დადასტურებულია, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად. კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს და სხვა დაინტერესებულ პირებს. გამოკვეთილი საჭიროებების / რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამის დამტკიცების შემდეგ, ცვლილება განხორციელდა 2021 წლის 12 აპრილს, N 32 “ო” ბრძანებით, კერძოდ: ცვლილება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად ,,ბუღალტრული აღრიცხვის” ჩარჩო დოკუმენტში, პროფესიული მოდულის ”ფინანსური ანგარიშგების შედგენა” დაშვების წინაპირობის ცვლილებიდან გამომდინარე. პროგრამაში ბოლო ცვლილება საკვალიფიკაციო გამოცდის დამატების მიზნით განხორციელდა - ბრძანებით 25”ო”,21.02.2025.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში გახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ასევე, გასაუბრებით დასტურდება, რომ გარკვეული დამატებითი აქტივობები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების მხრიდან გაკეთებულა, როგორიცაა, მაგალითად: სწავლის მეთოდების შეცვლა აუდიტორიის შესაბამისად, შეფასების კუთხით სწავლის შედეგების გაერთიანება და შეფასების მეთოდების ურთიერთ-ინტეგრირება, საგანმანათლებლო რესურსების დამატება ჰენდაუთების სახით, რომელიც მათი ორგანიზებით მიეწოდება პროფესიულ სტუდენტებს, თუმცა აღნიშნული ცვლილებები სისტემური ფორმით პროგრამაში არ განხორციელებულა და ის ცალკეული სასწავლო პროცესის მახასიათებელია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძნებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- დაწესებულების მიერ გაზიარებული პროგრამის შეფასების ფორმა
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ -ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების (2019 წლის 24 მაისის №26“ო“ ბრძანება) და მასში ცვლილების აქტები;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2019 წლის 24 მაისის №26“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს (დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით), დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან, კერძოდ: ადგილზე ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და განმახორციელებელ პირებს, გაეცნენ მიმდინარე კალენდარულ გეგმებს და სასწავლო პროცესის ფარგლებში ჩატარებულ საგაკვეთილო თემატიკას. აღნიშნული აქტივობით დაზუსტდა რომ პედაგოგები იყენებენ მათ მიერ გაწერილ კალენდარულ გეგმებს და ის თანხვედრაშია სასწავლო პროცესთან.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში: სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით; საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას; სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს. პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო გარიგის მოქნილობა.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს აძლიერებს, მაგალითად, სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა რომ გარდა პედაგოგთან ერთად მისი ინსტრუქტაჟის ფარგლებში ასევე დამოუკიდებლად ახდენენ მიღებული ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა დავალებების შესრულების პროცესში.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია მორგებულია აუდიტორიას და მისი წარმართვა ხდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს სხვადასხვა მიზნობრიობით, რაც სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესში ზრდის. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კოლეჯში დამკვიდრებულია ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების პრაქტიკა. სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგ გარემოებებში: როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ვერ ხორციელდება ძირითადი სასწავლო გეგმით; შშმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინების მიზნით; სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებისას სასწავლო პროცესში; მობილობის განხორციელებისას; წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისას; ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

ექსპერტების მიერ, ადგილზე ვიზიტისას შესწავლილი მასალებისა და მხარეებთან კომუნიკაციის საფუძველზე, დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შინაარსი შეესაბამება სტუდენტთა მიზნებს, ხოლო მათი გამოყენების პროცესი — რეგულაციის მოთხოვნებს. სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უკუკავშირი ადასტურებს, რომ მობილობისა და ინდივიდუალური მიდგომების განხორციელება ხდება ეფექტურად და ადეკვატურად, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს და სტუდენტების წარმატებულ აკადემიურ წინსვლას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან / თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით / ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. პროგრამის განხორციელების ფორმა წარმოადგენს იმიტირებულ გარემოში ჩატარებულ სასწავლო პროცესს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესი ხორციელდება კოლეჯი „ერქვანი“-ს ბაზაზე, კერძოდ A/B სასწავლო გარემოში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას ქ. N10. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ სასწავლო სივრცე შეესაბამება უსაფრთხო სამუშაო გარემოს მინიმალურ სტანდარტებს და სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. აღსანიშნავია რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო გარემოს განსაკუთრებული უსაფრთხოების მოთხოვნები არ გააჩნია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2019 წლის 24 მაისის №26“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“.
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
- კალენდარული გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა სრულად რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურებს, ისე მათი გამოყენების, ადმინისტრირებისა და შემდგომი ანალიზის წესებს.

დოკუმენტის შესაბამისად, შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს; შიდა შეფასების მექანიზმებს; შეფასების შედეგების გაცნობისა და კომუნიკაციის წესებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურებს; მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის სტანდარტებს.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ კოლეჯის შეფასების სისტემა რეალურად ფუნქციონირებს და ყველა კომპონენტი პრაქტიკაში ხორციელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასების სისტემა ვალიდურად მიიჩნევა, რადგან თითოეული ინსტრუმენტი შეესაბამება იმ კონკრეტულ სწავლის შედეგს, რომლის შეფასებასაც ის ისახავს მიზნად — შესაბამისად, შეფასება ნამდვილად აჩვენებს დასახული შედეგის მიღწევის დონეს.

შეფასება სანდოა, ვინაიდან მიღებული შედეგები დამყარდება მტკიცებულებებით — შეფასებული სამუშაოები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მასალა ხელმისაწვდომია და წვდომადია საჭიროების შემთხვევაში.

სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების კრიტერიუმები, პირობები და ვადები წინასწარ არის ცნობილი როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ეს ხელს უწყობს სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას.

შეფასება სამართლიანად მიიჩნევა, რადგან ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთნაირი პირობები შეფასებისას — უზრუნველყოფილია შესაბამისი გარემო, საჭირო რესურსები და დროის ფარგლებში გათვალისწინებული თანასწორი შესაძლებლობები.

ასევე, სისტემა არის ობიექტური, ვინაიდან ერთნაირი შესრულების შემთხვევაში შედეგების შეფასება ერთნაირია — შეინიშნება შეფასების სტანდარტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს — იგი სტრუქტურულად გამართულია, პრაქტიკაში ფუნქციონირებს ეფექტურად და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების რეალურ და სამართლიან შეფასებას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დოკუმენტური ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროცესის სტანდარტთან შესაბამისობას, ობიექტურობასა და სანდოობას. შეფასების შიდა ვერიფიკაცია რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შემდეგი ბრძანებებით:

- 2020 წლის 16 ივნისის №27 „ო“ — „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- 2020 წლის 15 ივლისის №46 „ო“ — „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ვერიფიკაციის მიზანია შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, მათ შორის გადაწყვეტილებების სისწორის და შეფასების პროცესის ობიექტურობის დადასტურება.

ვერიფიკაციის პროცესი კოლეჯში ხორციელდება შემდეგი სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია — დასტურდება, რომ ინსტრუმენტები შეესაბამება სწავლების შედეგებს და პასუხობს ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია — შეფასება ხდება სტანდარტის შესაბამისი პროცესის მიხედვით; მტკიცებულებების ვერიფიკაცია — მოწმდება, არის თუ არა შეფასება გამყარებული ადეკვატური მტკიცებულებებით.

შერჩევის მექანიზმი ეფუძნება რისკების სისტემას, რაც განსაზღვრავს, რომელი მოდულები/პროცესებია ვერიფიკაციის ძირითადი სამიზნე. პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკატორი — შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

ვერიფიკაციის პროცესს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები: ვერიფიკაციის დაგეგმვა; შეფასების დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზი; დასკვნის შედგენა და განხილვა; გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დაწესებულებაში შეფასების პროცესში ჩართული პირები უზრუნველყოფენ პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს შეფასების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცედურების ხარისხს, გამჭვირვალობასა და სტანდარტთან შესაბამისობას, რაც სრულად შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმები, მათ შორის სტუდენტებთან თუ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით. დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას კოლეჯი სრულად ითვალისწინებს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების დაცვასა და მართვას, რაც ეფუძნება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს“.

მოქმედი წესის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს აუდიტორიაში, პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, მოდულის დასრულებამდე. მოდულზე სწავლების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (წინაპირობის არსებობის შემთხვევაში — ერთ სამუშაო დღეში), მასწავლებელი წარუდგენს შეფასების დოკუმენტაციას (მტკიცებულებებს და ხელმოწერილ უწყისებს) სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.

მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს მტკიცებულებების სრულყოფილებას და შეადგენს შეფასების უწყისების აღრიცხვის ჟურნალს. პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების შემდეგ კი, შეფასების დოკუმენტაცია — მათ შორის მტკიცებულებები და შეფასების უწყისები — გადაეცემა კოლეჯის არქივს. შეფასების მტკიცებულებები ინახება მინიმუმ სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები — მუდმივად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, უწყვეტ ადმინისტრირებას და ანგარიშვალდებულებას, რაც მტკიცებულებაზე დაფუძნებული ხარისხის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დადგენილი პროცესების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები მიეწოდება ინდივიდუალურად, რის შემდეგაც იგი ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტს, რაც ადასტურებს ინფორმირებას, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებითაც. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ შეფასების გამჭვირვალობასა და სტუდენტზე ორიენტირებულობას, არამედ ქმნის წინაპირობას ინდივიდუალური სწავლის სტრატეგიის დაგეგმვისთვის.

შეფასების შედეგები გამოყენებულია როგორც პროფესიული სტუდენტის აკადემიური განვითარებისთვის, ასევე სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება — მათ შორის მოდულთა თანმიმდევრობის შეცვლა, სწავლების მეთოდოლოგიის გადახედვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა ან დამატება და საგანმანათლებლო რესურსების ოპტიმიზაცია.

აღნიშნული მიდგომა იძლევა სწავლის ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას, ხელს უწყობს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ სწავლას და უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს მხოლოდ მიღწევის დადასტურების მექანიზმი, არამედ განვითარებაზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტი.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“;
- ვერიფიკაციის დოკუმენტები;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- გასაუბრებით;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	27 მაისი 2019 წ. ბრძანება N28 „ო”
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	14
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

260

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

4. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;’
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

სსიპ კოლეჯმა „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“(მესამე დონე) განხორციელება დაიწყო 2019 წლიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება დაფუძნებულია მკაფიო და მრავალმხრივად დასაბუთებულ საჭიროებაზე, რაც ასახულია, როგორც კოლეჯის შიდა დოკუმენტებში, ასევე განხორციელებულ კვლევებში.

პროგრამა სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას, რომლის მიხედვითაც დაწესებულება მიზნად ისახავს, შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, ბენეფიციარებს – ასაკის შეუზღუდავად – მისცეს შესაძლებლობა პროფესიის დაუფლების, პროფესიის შეცვლის ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მთელ სიცოცხლის მანძილზე მიიღონ შესაბამისი განათლება. კოლეჯი თავისი მრავალპროფილურობისა და ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხელს უწყობს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას და ამით დადებითად მოქმედებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულება ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ განიხილება. აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება როგორც კოლეჯის მიერ განხორციელებულ შიდა კვლევებს, ისე გარე მონაცემებსა და ანალიზებს, რომლებიც აჩვენებს, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები დღეს ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად პროფესიად რჩება ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

გარდა ამისა, კოლეჯის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც მოიცავდა სკოლის მოსწავლეების დაინტერესების ანალიზს, ცხადყო, რომ სწორედ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამა იყო ყველაზე მოთხოვნადი – 45.6%-იანი ინტერესის მაჩვენებლით. ეს მიუთითებს პოტენციური ბენეფიციარების აშკარა ინტერესზე პროგრამისადმი და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მისი განხორციელების მიზანშეწონილობას.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა არ შეზღუდა მიზანშეწონილობის დასაბუთება მხოლოდ ბენეფიციარების მოთხოვნის აღწერით. დაწესებულება რეგულარულად იღებს უკუკავშირს დამსაქმებლებისგან და სწორედ მათი მოსაზრებების ანალიზზე დაყრდნობით გამოჩნდა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის კვალიფიკაციის საჭიროება. კვლევების შედეგებით დადასტურდა, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები ეფექტურად იყენებენ სწავლის პროცესში მიღებულ ცოდნასა და უნარებს და მზად არიან დასაქმებისთვის. მათი უნარები მოიცავს როგორც ტექნიკურ, ასევე პრობლემის გადაჭრის და ოპერაციული მხარდაჭერის კომპეტენციებს, რაც რეალურად საჭირო და ღირებულ კადრებს ქმნის.

საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. მასში გათვალისწინებულია კოლეჯის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მათ შორის – ტექნიკურად უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო და კომპეტენტური კადრების არსებობა, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ხარისხის მოთხოვნებთან.

ამრიგად, პროგრამის მიზანშეწონილობა მყარად დადასტურებულია შემდეგი არგუმენტებით: შესაბამისობა კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან; მაღალმოთხოვნადი პროფესიების სტატისტიკური და კვლევითი დასაბუთება; პოტენციური სტუდენტების მაღალი ინტერესი; დამსაქმებლების მიერ გამოვლენილი კადრების საჭიროება; კურსდამთავრებულების რეალური დასაქმების პერსპექტივა; რესურსების საკმარისი უზრუნველყოფა პროგრამის ეფექტიანად განსახორციელებლად.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის დონესთან (მესამე დონე) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან (ინფორმაციის ტექნოლოგია), რომელიც წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს.

აპლიკანტთა შერჩევა რეგულირდება 2021 წლის 12 აგვისტოს დირექტორის N56 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესით, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 07 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“;

დადასტურებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაცვა და შერჩევის პროცესის ორგანიზებული მართვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამის განხორციელების ვადაში სტუდენტები აღწევენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ო“ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ზუსტ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას და სტუდენტებისთვის სათანადო საგანმანათლებლო პირობების უზრუნველყოფას.

კერძოდ, პროგრამისათვის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- მოდულის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო (A/B) გარემო – სივრცისა და ლოგისტიკის შესაბამისობა;
- პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა სასწავლო გარემოში – რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას პრაქტიკულ სწავლაში;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა (11 პროფესიული განათლების მასწავლებელი- 5 დარგობრივი და 6- ზოგადი მოდულების განმახორციელებელი) – დატვირთვისა და ხარისხის დაბალანსებული გადანაწილების უზრუნველსაყოფად.

კოლეჯს გააჩნია პროგრამის ხარისხიანად განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ, შესაბამისი სასწავლო გარემო მოწყობილია მისამართზე: **ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10**.

პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 14 სტუდენტით, რაც შეესაბამება ერთი სასწავლო ჯგუფისა და ერთი (A/B/ C) სასწავლო გარემოთა გამტარიანობის შესაძლებლობებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა“ განხორციელებას იმ რესურსებით, რომლებიც სრულად შეესაბამება პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო შედეგებს. პროგრამას თან ერთვის დეტალური ჩამონათვალი ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსისა, რომლებიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით და შიდა რეგულაციებით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს,

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ**

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო" ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია". აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (№28-ო, 27.05. 2019 წ). პროგრამაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 21 თებერვლის ,,25"ო" ბრძანებით. მასში აისახა ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდის თაობაზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს და არ შეიცავს დამაბნეველ ან შეცდომაში შემყვან ფორმულირებებს.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შესაბამისი უნარები და ცოდნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და შეძლებს შრომის ბაზარზე ინტეგრირებას. პროგრამა მოიცავს ზოგად კომპეტენციებსა და საკვანძო უნარის განვითარებას, რაც კურსდამთავრებულს დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“.

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ , კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საფუძველზე. ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ კომპონენტებს და წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს.

პროგრამით დეტალურად გაწერილია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მისაღწევი სწავლის შედეგები; სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების ფორმები, მოცულობა და ხანგრძლივობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, მათ შორის: პროგრამის ძირითად დოკუმენტს; მოდულებს; სასწავლო გეგმას (მათ შორის ქართული ენა A2 მოდულის); პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციას; სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსთა ჩამონათვალს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის შიდა მეთოდოლოგიის დაცვით და სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა“ (N28 „ო“; 27.05. 05. 2019 წ.)
- „აპლიკანტთა შერჩევის წესი“ - სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“ დირექტორის ბრძანება N 56 ,, ო ‘’ 12. 08. 2021 წ;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ.20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”
- „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ - სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წ 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. დირექტორის 2021 წ. 16/03 N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
- პროგრამის დამტკიცებისა და ცვლილების ბრძანებების რეკვიზიტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ქ. ამბროლაურის სასწავლო სივრცეში, სადაც მოწყობილია შესაბამისი A/ B სასწავლო გარემო (რომელიც ამავდროულად C გარემოც არის), აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სპეციალიზებული ტექნიკური საშუალებებით. წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, რომელიც არის რელევანტური კონკრეტული მოდულების შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან.

კოლეჯს შემუშავებული აქვს რესურსების რეგულარული შეფასებისა და სრულყოფის მექანიზმი. ყოველწლიურად ტარდება რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე პროფესიული სტუდენტები. მათი უკუკავშირი აისახება მომდევნო წლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების განახლებაში.

მოდულების დაწყებისას, თითოეულ განმახორციელებელ პირს გადაეცემა პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსები. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სწავლის მთელ პროცესში — მათ შორის ბიბლიოთეკის, ელექტრონული პლატფორმების და პირდაპირი გადაცემის მეშვეობით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ ფორმატში და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია არა მხოლოდ რესურსების განსაზღვრის პრაქტიკული გამოცდილება, არამედ მათი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმიც, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან განხორციელებას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 14 სტუდენტს, შეეფერება არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამით სულ გათვალისწინებულია 11 განმახორციელებელი, ამათგან 5 (ხუთი) დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელია, ხოლო 6 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. უნდა აღინიშნოს, რომ მოდულები ხორციელდება კოლეჯის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ მოდულების სწავლებისთვის შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციით.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ასევე, გამოიკვეთა, რომ პროფესიული მოდულის ყველა განმახორციელებელს შეუძლია ყველა მოდულის წარმართვა, რაც არ არის ასახული პროგრამის №2 დანართში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი –დარგის ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირის განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს პერსონალურ რისკებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას პოტენციური რესურსული ცვლილების საჭიროების შემთხვევაშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი - „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“.

პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითარების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

შეფასება ხორციელდება დაგეგმილი სისტემით. მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების მიზნებისთვის იყენებენ როგორც ფორმალურ (ქულებით შეფასება), ასევე არაფორმალურ მიდგომებს მაგ. ზეპირი უკუკავშირი, ყველა ძირითადი მოდულისთვის შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს ცხადად განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

დადასტურებულია, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ადგილზე ვიზიტისას გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მისი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია დირექტორის 2020 წლის 19 ივნისის №35 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები“.

ხელმძღვანელი ფლობს IT სფეროში შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას და გააჩნია პროფესიული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან მართვას, ისე პროგრამის სტრატეგიულ განვითარებას. მისი ჩართულობა თვალსაჩინოა შემდეგ მიმართულებებში: პროფესიული სტანდარტის საფუძველზე პროგრამის შინაარსობრივი დაგეგმვა, მოდულების შერჩევა და პერიოდული გადახედვა, შეფასების ვერიფიკაცია და შიდა საკოორდინაციო სამუშაოებში მონაწილეობა. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი ჯგუფის საქმიანობაში, რაც ადასტურებს მის ინტეგრირებულ როლს კოლეჯის პროფესიულ განათლებაში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ძირითადი ბეჭდური რესურსები. მიუხედავად სივრცის სიმცირისა, შექმნილია ინდივიდუალური მუშაობისთვის საჭირო პირობები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებს ნოუთბუქებით, რომლებიც რეგისტრირებულია როგორც სახელმძღვანელოს ტიპის რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება); საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ტექნიკის დროებით სარგებლობა, რისი აღრიცხვაც ხდება შესაბამის ჟურნალში. საგანმანათლებლო რესურსები – როგორც დოკუმენტურად განსაზღვრული, ისე პრაქტიკაში გამოყენებული – სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები პრაქტიკაში იყენებენ დამატებით რესურსებს მათ შორის რიდერებს, ჰენდაუთებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ხოლო შემდეგ ადგილზე ვიზიტისას, გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) მქონე პროფესიულ სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათ შორის ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო გარემო.

სსსმ სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი საპასუხო მექანიზმების გამოყენება ხორციელდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე. კერძოდ, დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანებით №16 „ო“ დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესს და არეგულირებს როგორც ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, ასევე მის მონიტორინგსა და შეფასებას.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ მექანიზმის „ ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“ შესაბამისად გუნდის შექმნა ხდება მაშინ, როცა კოლეჯში ჩაირიცხება სსსმ/შშმ პირი. გუნდი უფლებამოსილია სსსმ/შშმ სტუდენტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას აქტიურად დააკვირდეს და მიიღოს გადაწყვეტილებები, თავად პროფესიულ სტუდენტთან ან/და კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდამჭერი მომსახურების შესახებ.

მიმდინარე ჯგუფში სსსმ სტატუსის მქონე სტუდენტი არ ირიცხება, თუმცა ვიზიტისას დადასტურდა, რომ 2023 წლის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ N17 ჯგუფში სწავლობდა სსსმ პროფესიული სტუდენტი, რომელიც კოლეჯმა სასწავლო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყო შესაბამისის მხარდამჭერი მომსახურებით, მათ შორის უფასო ტრანსპორტირებით, სასწავლო პროცესზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფის მიზნით. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა შესაბამისის სასწავლო დოკუმენტაცია, რომლის მორგებაც მოხდა უშუალოდ სსსმ სტუდენტის საჭიროებებზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, პროგრამა რენტაბელური იყო 6 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაშიც.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკის დებულებით
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- შესაბამის პასუხისმგებელპირთა სამუშაო აღწერილობებით
- ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. დადასტურებულია, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

კოლეჯი **აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს** მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად.

კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს და სხვა დაინტერესებულ პირებს. გამოკვეთილი საჭიროებების / რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში.

დადგინდა, რომ პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები სასწავლო გეგმაში, მაგ: პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ასევე არის პროგრამის ერთ - ერთი მოდულის განმახორციელებელი, სხვა განმახორციელებელთან ერთად იყო ინიციატორი არსებულ სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის, კერძოდ: მოდულის „მობილური, Linux და Osx ოპერაციული სისტემები" კვირეული დატვირთვა არ უნდა ყოფილიყო 3 საათზე ნაკლები. ურთიერთშეთანხმებით პროგრამის ხელმძღვანელმა მიმართა დირექციას და აღნიშნული ცვლილების პროგრამაში შევიდა 2021 წლიდან. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გარკვეული ცვლილებები პსდ მხრიდან, გასულ წლებშიც განხორციელდა, მაგ. ცვლილების საფუძველი იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ა) სამოქალაქო განათლების ახალი მოდულის დამტკიცება, რომლის თანახმადაც დაწესებულების მიერ შესაბამისი ცვლილება განხორციელდა 2021 წლის 24 ნოემბრის N100 „ო“ ბრძანებით; ასევე, 2022 წლის 11 ივლისის N73 „ო“ ბრძანების თანახმად მოდულის „სამოქალაქო განათლება“ განმახორციელებელმა პირმა სწავლის შედეგების საათობრივი გადანაწილების გამო, მოითხოვა მოდულში ცვლილების განხორციელება და სხვა. პროგრამაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 21 თებერვლის 25”ო” ბრძანებით- პროგრამაში აისახა ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულობის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“
- დაწესებულების მიერ გაზიარებული პროგრამის შეფასების ფორმა
- სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით № 19 ,,ო’’ 10 თებერვალი 2025 წ დამტკიცებული -პერსონალის მართვის პოლიტიკა
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ -ს დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ -ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერა (ცვლილებებით);
- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- გასაუბრებების შედეგებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევა

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2019 წლის 27 მაისის №28“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა” პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან, კერძოდ: ადგილზე ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და განმახორციელებელ პირებს, გაეცნენ მიმდინარე კალენდარულ გეგმებს და სასწავლო პროცესის ფარგლებში ჩატარებულ საგაკვეთილო თემატიკას. აღნიშნული აქტივობით დაზუსტდა რომ პედაგოგები იყენებენ მათ მიერ გაწერილ კალენდარულ გეგმებს და ის თანხვედრაშია სასწავლო გეგმასთან.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში: სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით; საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას; სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს. პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს აძლიერებს, მაგალითად, სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა რომ გარდა პედაგოგთან ერთად მისი ინსტრუქტაჟის ფარგლებში ასევე დამოუკიდებლად ახდენე მიღებული ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა დავალებების შესრულების პროცესში.

სიმულაციური სწავლება, ხდება იმიტირებული სამუშაო გარემოს გამოყენებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, ასევე დარგის შესაბამის ხელსაწყო დანადგარებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის სისტემურ უზრუნველყოფაზე.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია მორგებულია აუდიტორიას და მისი წარმართვა ხდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს სხვადასხვა მიზნობრიობით, რაც სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესში ზრდის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

კოლეჯში დამკვიდრებულია ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების პრაქტიკა. სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგ გარემოებებში: როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ვერ ხორციელდება ძირითადი სასწავლო გეგმით; შშმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინების მიზნით; სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებისას სასწავლო პროცესში; მობილობის განხორციელებისას; წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისას; ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

ექსპერტების მიერ, ადგილზე ვიზიტისას შესწავლილი მასალებისა და მხარეებთან კომუნიკაციის საფუძველზე, დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან / თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით /

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. პროგრამის განხორციელების ფორმა წარმოადგენს იმიტირებულ გარემოში ჩატარებულ სასწავლო პროცესს,

სწავლების მიმდინარეობისას პროგრამის ძირითადი კომპონენტები სრულად ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე და პროცესი არ სცდება დადგენილ რეგულაციებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესი ხორციელდება კოლეჯი „ერქვანი“-ს ბაზაზე, კერძოდ A/B სასწავლო გარემოებში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას ქ. N10.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ სასწავლო სივრცე შეესაბამება უსაფრთხო სამუშაო გარემოს მინიმალურ სტანდარტებს და სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას.

აღსანიშნავია რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო გარემოს განსაკუთრებული უსაფრთხოების მოთხოვნები არ გააჩნია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“
- კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2019 წლის 27 მაისის №28“ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა”;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

- კალენდარული გეგმები; სასწავლო გრაფიკები;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა სრულად რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურებს, ისე მათი გამოყენების, ადმინისტრირებისა და შემდგომი ანალიზის წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტის შესაბამისად, შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს; შიდა შეფასების მექანიზმებს; შეფასების შედეგების გაცნობისა და კომუნიკაციის წესებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურებს; მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის სტანდარტებს.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ კოლეჯის შეფასების სისტემა რეალურად ფუნქციონირებს და ყველა კომპონენტი პრაქტიკაში ხორციელდება.

შეფასების სისტემა ვალიდურად მიიჩნევა, რადგან თითოეული ინსტრუმენტი შეესაბამება იმ კონკრეტულ სწავლის შედეგს, რომლის შეფასებასაც ის ისახავს მიზნად — შესაბამისად, შეფასება ნამდვილად აჩვენებს დასახული შედეგის მიღწევის დონეს.

შეფასება სანდოა, ვინაიდან მიღებული შედეგები დამყარდება მტკიცებულებებით — შეფასებული სამუშაოები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მასალა ხელმისაწვდომია და წვდომადია საჭიროების შემთხვევაში.

სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების კრიტერიუმები, პირობები და ვადები წინასწარ არის ცნობილი როგორც სტუდენტებისთვის, ისე განმახორციელებელი პირებისთვის. ეს ხელს უწყობს სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას.

შეფასება სამართლიანად მიიჩნევა, რადგან ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთნაირი პირობები შეფასებისას — უზრუნველყოფილია შესაბამისი გარემო, საჭირო რესურსები და დროის ფარგლებში გათვალისწინებული თანასწორი შესაძლებლობები.

ასევე, სისტემა არის ობიექტური, ვინაიდან ერთნაირი შესრულების შემთხვევაში შედეგების შეფასება ერთნაირია — შეინიშნება შეფასების სტანდარტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს — იგი სტრუქტურულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

გამართულია, პრაქტიკაში ფუნქციონირებს ეფექტურად და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების რეალურ და სამართლიან შეფასებას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დოკუმენტური ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტანდარტთან შესაბამისობას, ობიექტურობასა და სანდოობას. შეფასების შიდა ვერიფიკაცია რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შემდეგი ბრძანებებით:

- 2020 წლის 16 ივნისის №27 „ო“ — „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- 2020 წლის 15 ივლისის №46 „ო“ — „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ვერიფიკაციის მიზანია შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, მათ შორის გადაწყვეტილებების სისწორის და შეფასების პროცესის ობიექტურობის დადასტურება.

ვერიფიკაციის პროცესი კოლეჯში ხორციელდება შემდეგი სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია — დასტურდება, რომ ინსტრუმენტები შეესაბამება სწავლების შედეგებს და პასუხობს ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია — შეფასება ხდება სტანდარტის შესაბამისი პროცესის მიხედვით; მტკიცებულებების ვერიფიკაცია — მოწმდება, არის თუ არა შეფასება გამყარებული ადეკვატური მტკიცებულებებით.

შერჩევის მექანიზმი ეფუძნება რისკების სისტემას, რაც განსაზღვრავს, რომელი მოდულები/პროცესებია ვერიფიკაციის ძირითადი სამიზნე. პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკატორი — შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ვერიფიკაციის პროცესს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები: ვერიფიკაციის დაგეგმვა; შეფასების დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზი; დასკვნის შედგენა და განხილვა; გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დაწესებულებაში შეფასების პროცესში ჩართული პირები უზრუნველყოფენ პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს შეფასების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და განვითარებას.

კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცედურების ხარისხს, გამჭვირვალობასა და სტანდარტთან შესაბამისობას, რაც სრულად შეესაბამება განსაზღვრულ კრიტერიუმს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმები, მათ შორის სტუდენტებთან თუ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით. დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას კოლეჯი სრულად ითვალისწინებს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების დაცვასა და მართვას, რაც ეფუძნება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს“.

მოქმედი წესის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს აუდიტორიაში, პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, მოდულის დასრულებამდე. მოდულზე სწავლების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (წინაპირობის არსებობის შემთხვევაში — ერთ სამუშაო დღეში), მასწავლებელი წარუდგენს შეფასების დოკუმენტაციას (მტკიცებულებებს და ხელმოწერილ უწყისებს) სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს მტკიცებულებების სრულყოფილებას და შეადგენს შეფასების უწყისების აღრიცხვის ჟურნალს. პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების შემდეგ კი, შეფასების დოკუმენტაცია — მათ შორის მტკიცებულებები და შეფასების უწყისები — გადაეცემა კოლეჯის არქივს. შეფასების მტკიცებულებები ინახება მინიმუმ სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები — მუდმივად.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, უწყვეტ ადმინისტრირებას და ანგარიშვალდებულებას, რაც მტკიცებულებაზე დაფუძნებული ხარისხის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. დადგენილი პროცესების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები მიეწოდება ინდივიდუალურად, რის შემდეგაც იგი ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტს, რაც ადასტურებს ინფორმირებას, რაც დასტურდება როგორც მოქმედ, ასევე კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ შეფასების გამჭვირვალობასა და სტუდენტზე ორიენტირებულობას, არამედ ქმნის წინაპირობას ინდივიდუალური სწავლის სტრატეგიის დაგეგმვისთვის.

შეფასების შედეგები გამოყენებულია როგორც პროფესიული სტუდენტის აკადემიური განვითარებისთვის, ასევე სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება — მათ შორის მოდულთა თანმიმდევრობის შეცვლა, სწავლების მეთოდოლოგიის გადახედვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა ან დამატება და საგანმანათლებლო რესურსების ოპტიმიზაცია.

აღნიშნული მიდგომა იძლევა სწავლის ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას, ხელს უწყობს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ სწავლას და უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს მხოლოდ მიღწევის დადასტურების მექანიზმი, არამედ განვითარებაზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №24 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით — „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“;
- ვერიფიკაციის დოკუმენტები;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2 - შესაბამისობის გეგმა

თარიღი

09. 07. 2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-